140
1980

ISSN 0132-5973

ჯორჯიანი

8
1980

ლაგაზი, ჭიანაურელიანი ფიფხუ

უკან დარჩა რუსთავი — თანამედროვე დიდი სამრეწველო ქალაქი თავისი აკვამლებული საქარხნო მილებით, ხმაურიანი ქუჩებით, გახურებული ასფალტით, ცხოვრების აჩქარებული რიტმით—და აი, ჩვენ მანავის ტყეში ვართ, სადაც პირველყოფილი სიმშვიდე სუფევს: ნელი ნიავი თუ შეატოკებს დროდადრო ასწლოვან მუხათა კენწეროებს, ბალახში გაიფაჩუნებს ხოჭო, სადღაც შორს დაიძახებს გუგული ან კოდალას ნისკარტის კაკუნი მოსწვდება სმენას... და კიდევ: ხის ნორჩი ფოთლების, ველური ყვავილების, ნამიანი მიწის მათრობელა სურნელი და მზე — მწვანე ოკეანეში ოქროს ჩანჩქერად ჩამოღვრილი ჩახჩახა მზე...

ბავშვის 1926 წლიდან

საქართველოს ალკკ ცკ-ის და ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

პიონერი

8 აგვისტო 1980

საქ. კკ ცკ-ის გამომცემლობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ, ამ ზღაპრულ ადგილას დამკვიდრებულა მანავის პიონერთა ბანაკი „გაზაფხული“, სადაც რუსთაველ ქიმიკოსთა შვილები — პიონერები და ოქტომბრელები ისვენებენ.

პირველ ნაკადში 256 მოსწავლეა, რომლებიც ხუთ პიონერულ რაზმად და ერთ ოქტომბრელთა ჯგუფად არიან დაყოფილი. და ამ 256 ბავშვს იმდენი საერთო რამ უპოვნია, ყოველი დღე ისეა მრავალფეროვანი შთაბეჭდილებებით დატვირთული, რომ ყმაწვილები საღამოობით უხალისოდ შედიან ხოლმე საწოლ ოთახებში და ერთი ფიქრით იძინებენ — ნეტავი მალე გათენდებოდესო.

თვალის წაძიერი გადავლებითაც ჩანს, როგორ ეხალისებათ ბანაკში ცხოვრება ამ თვალმერცხალა გოგობიჭებს.

აი, მაგალითად, მეშვიდეკლასელი ანა დიკი. 5 ივნისს არტეკიდან დაბრუნებულა, 10 ივნისიდან კი უკვე მანავის ბანაკშია. ენერგიული გოგონაა, ოქტომბრელებს პიონერულ დოლზე დაკვრას ასწავლის.

— როგორ მოგწონს მანავის ბანაკი არტეკის შემდეგ? — ვკითხეთ.

— შესანიშნავია, არტეკი კარგია, მაგრამ აქაც საინტერესოდ ვცხოვრობთ. საერთოდ, მე ყველგან კარგად ვგრძნობ თავს.

— ყველგან?!

— დიახ. ხალისიანი და შინაარსიანი ცხოვრება თვით ადამიანზეა დამოკიდებული. უგერგილო კაცისთვის ყველგან მოწყენილობაა — უდაბნოშიც, მთაშიც, ზღვის პირასაც.

ძნელია, არ დაეთანხმო ანას...

— შარშანაც ამ ბანაკში ვისვენებდი, — გვიამბობს მარიკა ქანაშვილი. — მაშინ ოქტომბრელის ვარსკვლავი მებნია მკერდზე, ახლა კი წითელი ყელსახვევი მიკეთია. მომწონს აქაურობა, კონცერტებში, ვიქტორინებში მონაწილეობა. გაისადაც სიამოვნებით წამოვიდოდი.

— მშობლები სად მუშაობენ?

— რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხანაში. დედა მგრეხავია, მამა — შემდუღებელი.

— როგორ ფიქრობ, შენც მათ კვალს გაჰყვები?

— არა, — თითქოს დაირცხვინა. — ექიმი მინდა გამოვიდე.

მერე გაირკვა: მარიკა ქანაშვილი ბანაკის ექთნის, ზინა ბაღდასაროვას მარჯვენა ხელი ყოფილა...

— ყველაზე მეტად რომელი დღე დაგამახსოვრდება? — ვკითხეთ მერვეკლასელ ნარიმან გაფაროვს.

— სოკოს დღე, —უყოყმანოდ მოგვიგო მან. — ნაწვიმარზე აქ უამრავი სოკო იცის, შენ მხოლოდ მიდი და კრიფე. იმ დღეს სიცილ-ხარხარითა და ერთმანეთის წაქეზებით ავავსეთ კალათები. მერე ჩვენმა მზარეულებმა ისეთი წვნიანი მოგვიმზადეს, თითები შევატანეთ.

— მე კი ყველაზე უფრო მომეწონა ექსკურსია თემაზე: „ტყის სართულები“, — მოგვითხრობს მეხუთეკლასელი მამუკა გედომინსკი. — ერთხელ ბანაკის დირექტორმა მანავიდან გამოცდილი მეტყევე ამოიყვანა. წავედით ტყეში. ძია მეტყევემ სულ სათითაოდ გვიჩვენა და ჩამოგვითვალა სხვადასხვა ბალახის, ბუჩქის, ხის სახელები, გვიამბო მათზე ბევრი საინტერესო რამ. რუსთავში მარტო ალვის ხესა და ჭადარს ვცნობდი, ახლა კი შემიძლია ერთმანეთისაგან გავარჩიო მუხა, ნეკერჩხალი, თელა, ცაცხვი, წიფელი, პანტა, შინდი, თხილი...

— ოქტომბრელებისთვის მოვაწყეთ ექსკურსია: „საკვირველება ჩვენს გვერდით“, — ამას მეცხრეკლასელი ტანია შჩებეტოვა გვიყვება.

1977

რა საინტერესოა ტყე! მით უმეტეს მაშინ, როცა უფროსი მეგობარი გიხსნის მის უამრავ საიდუმლოს!..

მოედანზე გრიგალივით დაჰქრიან ნორჩი ფეხბურთელები. ცხელი დღე ადგას დაცვას. დარტყმა, მეკარის ნახტომი და...

ქ. თბილისის სახ. საკ. ბიბლიოთეკის რესპუბლიკური ბიბლიოთეკა

ანა დიკს არტეკიდან ჩამოჰყვა იძაური ცეცხლი და ხალისი. ახლა იგი დოლზე დაკვრას ასწავლის პიონერებს.

ტანია „ვეტერანია“, იგი წელს მეხუთედ ისვენებს „გაზაფხულში“. — ტყეში ზოგი ხე, კუნძი თუ ტოტი უცნაურ ფიგურას ჰგავს — ეს თითქოს კურდღელია, ის კი — ბუ, თრითინა თუ რაღაც ზღაპრული ურჩხული. პატარებმა ძალზე გაიხარეს და ბევრი რამეც ისწავლეს.

მრავალი საინტერესო ღონისძიება ჩატარდა ბანაკში: კონფერენცია თემაზე „ჩვენ მშვიდობა გვინდა“, ტალანტების, სამწყობრო და პიონერული სიმღერების კონკურსები, ლაშქრობა მანავის ციხეზე. ბავშვებმა დაისწავლეს სსრკ და საქართველოს ჰიმნების ტექსტი და მუსიკა.

დიახ, „გაზაფხულში“ მართლაც მაღალ დონეზეა დაყენებული საქმე. რუსთაველებმა ეს კარგად იციან და ამიტომაც სიამოვნებით გამოუშვეს თავიანთი შვილები მანავის პიონერულ ბანაკში რუსთავის ქიმიური და ქიმიური ბოჭკოს ქარხნების მუშაკებმა, მეექვსეკლასელ რობერტ იაზულოვის, მერვეკლასელ ბესარიონ თევდორაძის, მეხუთეკლასელ ზაირა ლომიძის, მერვეკლასელების—ოლეგ სარიას, სერგო მანუკიანისა და სხვათა მშობლებმა. გამოუშვეს და მშვიდად არიან, რადგან კარგად იციან, რომ ყმაწვილები შინაარსიანად დაისვენებენ, ზაფხულს საინტერესოდ გაატარებენ და შემოდგომაზე გაკაჟებულნი დაუბრუნდებიან სკოლასა და ოჯახს.

ნუგზარ აფხაზავა

ფოტო
ვ. ბორისენკოსი

მოზარდის სხეულს ისე არაფერი აკაჟებს, როგორც ცურვა. სპარტაკიადის პროგრამით გამართულ შეჯიბრებებს ბევრი მაყურებელი ჰყავს ხოლმე.

ფეიერული მზის საძებნელად

ანა იმედიძე

მხატვარი ჯემალ ლოლუა

მოთხრობა

გუბე სამი მხრიდან შემორაგული, თავდახურული იყო. ახლა გადახადეს, რომ თავისუფლად ემუშავათ. თუნგებითა და ვედროებით ამოჰქონდათ წყალი და მოშორებით ღვრიდნენ. გუბეში წყალი აიმღვრა, თანდათან იცლებდა. ვიოლამ ლუხუმაანთ ბოსლიდან უზარმაზარი ვარცლი მოათრია, შიგ წყალი ჩაასხეს და კალმახები გადაიყვანეს. დიდი კალმახისათვის ეს ვარცლიც პატარა აღმოჩნდა, წამდაუწუმ მაღლა ხტებოდა და გარეთ ვარდებოდა. ბავშვებს უხაროდათ, ყველა ცდილობდა, ხელი წაეტანებინა და ვარცლში გადაეყვანა. მაგრამ ეს არც ისე ადვილი იყო — კალმახი სხმარტალებდა და ხელიდან უსხლტებოდა ბავშვებს.

— რა ლამაზი ხარ! — უთხრა მანანამ. — დაიხარა, მაგრამ ხელის შეხება ვერ გაბედა, იმოდენა პირს აღებდა თევზი.

— ბიჭები მოდიან! — წამოიძახა მარიხმა.

ბილიკზე თავქუდმოგლეჯილი გამორბოდნენ კახა და ირაკლი. უკან ჯაბო მოსდევდათ.

— ეს მეზურნე საიდან გაჩნდა? — იკითხა მანანამ, როცა კახას გასიებული ლოყა მოხვდა თვალში.

— ფუტკარი ეამბორა ტყეში, — მიუგო ირაკლიმ. — აქ რა ხდება?

გუბეში ძალიან ცივი წყალი იყო და ახალგაზრდები ბალ-ბალე იცვლებოდნენ, ქვებზე მიკრულ მწვანე ხავსსა და ბალახბულახს აცლიდნენ, სლიპინა ქვებს ღოლოს ფოთლებით ხეხავდნენ, ამღვრეული წყალი ამოჰქონდათ. როცა წყალი ფსკერზე დავიდა, ალაზნიდან საგანგებოდ ამოტანილი ლამი დააყარეს და გუბიდან ამოვიდნენ. წყლის დონე ნელა იწევდა მაღლა. ავსებას ალბათ რამდენიმე საათი დასჭირდებოდა.

სოფლიდან ვიოლამ გარმონი და დაირა მოიტანა. გუბესთან ცეკვა-თამაში გაჩაღეს.

დიდი კალმახი სულს ღაფავდა. მანანას ეტირებოდა. მომცრო კალმახები გუბეში გადაიყვანეს.

ირაკლიმ კალმახი ხელში აიყვანა.

— როგორ დამძიმებულა, სამ კილომდე იქნება. მახსოვს, როცა პირველად ჩაუშვეს, რა პატარა იყო. დღეს კი ტაფას ვერ ასცდება.

— ნუ ამბობ!.. — იყვირა მანანამ — თუმცა, რომ მახსენდება, როგორ ჩაგრავდა თავის და-ძმას... პურს რომ ჩავუფშვნიდი, სულ თვითონ ჭამდა... — მანანა უცბად გაშორდა იქაურობას, საცეკვაო წრეში შეცურდა-ტაშმა იმატა. მეგობრები ყველა სათითაოდ ამოეკვა. ბოლოს ჯაბოს წინ დაბზრიალდა. ჯაბოხანემ დაირცხვინა, უხერხულად ამოძრავდა.

— რაკი უარზე ხარ, მეც ვამთავრებ! — უთხრა მანანამ ჯაბოს, გამხიარულებულ ხალხს თავი დაუკრა და ისევე მოულოდნელად გამოვარდა წრიდან.

ბოგონებმა თუნგებს წამოავლეს ხელი და სოფლისაკენ გაემართნენ.

სოფელში ნახირი შემოდიოდა. მგელაის კართან ხვდებოდნენ ბავშვები ძროხებს და შინისაკენ მიერეკებოდნენ. მარიხმა თუნგი მიდგა და ისიც ქვევით დაეშვა. ერთი გაგარეულებული ძროხა ჰყავდათ და, თუ დროზე არ შემოიყვანდნენ, თავისით არასოდეს არ მოვიდოდა, ხშირად საძებნი უხდებოდათ. მიუსწრო მგელაის კარზე ამომავალ ძროხას და სახლისაკენ წამოიყვანა. სხვა ძროხები თავისით მოვიდნენ, როგორც ყოველთვის. მარიხმა ძროხები დაიბა, ცურები მობანა და მოწველას აპირებდა, რომ დედამისი გამოჩნდა.

— მე მოვწველი, — გამოართვა დურკი.

— ცოტა ხნით წავალ, — სთხოვა მარიხმა.

დედამ ნება დართო. მარიხმა მანანას გაუარა და დათქმული ადგილისაკენ გაემართნენ. გზაზე გიგის შეხვდნენ, მზე უფრო მოჰკიდებოდა. ორივე ხელში რქები ეჭირა.

— ამოირჩიე, — უთხრა მანანას. — გთხოვ...

მეტი რა გზა იყო, მანანამ ვაცის რქებს წაატანა ხელი.

როცა ბიჭები მივიდნენ, კახაც მანანასავით დაიბნა საჩუქარზე, უსიტყვოდ ატრიალებდა ჯიხვის რქას.

— რას ვიზამთ, კახა, ჩვენ თბილისში მოვიქაჩლოთ თავი, როცა გვესტუმრებიან, — თქვა მანანამ.

VII. ფიჭვის კევის მოხარშვა.

იმ დღეს, რაკი ხბოების სანახავად ფერმაში წასვლა ველარ მოახერხეს, ბავშვებმა გადაწყვიტეს კევი მოვხარშოთო.

— კევს მე მოვხარშავ, — ითავა მარიხმა. — რამდენჯერ მიყურებია დედაჩემისათვის. ოდესმე დამოუკიდებლად ხომ უნდა ვსინჯო. დღეს იყოს, რა უშავს, თქვენ ოღონდ მომეხმარეთ.

სამუშაო დაინაწილეს. ბოგონები ქვაბებთან დატრიალდნენ, ბიჭები კი შესაფერი ფიჭვის ნაფოტებისათვის სახლებში გაიქცნენ.

ბოგონებმა მოზრდილი, ახლახანს ლეკებისაგან მოკალული ქვაბი შეარჩიეს. ნაცარში შეხვეული ნაღვერდალი გამოქექეს და ცეცხლი ისევ გააღვივეს.

ცოტა ხნის შემდეგ მანანამ ნაღვერდლები ჩამოფანტა და ჩააქრო. ბავშვებიც გამოჩნდნენ.

— რატომ ჩააქრე? — დაინტერესდა მარიხი, თუმცა არც ისე ძალიან გაჰკვირვებია, რადგან მის მეგობარს ხშირად ეცვლებოდა გუნება.

— რატომ ჩავაქრე და... აჰა, ბიჭებიც მოვიდნენ! ბიო პაპას ნაჩუქარი კვეს-აბედითა და ხავსით უნდა დავანთო, ხომ ვაპირებდით. მართალია, ბუნების წიაღში გვინდოდა ამის გაკეთება, როგორც ძველი დროის ადამიანებს შეეფერება, მაგრამ არა უშავს, აქ ვცადოთ. გიგი, მომეცი!.

გიგიმ ჯიბე ტახტზე ამოაბრუნა. მანანამ თვალები დაეჭყიტა. კვეს-აბედის გარდა ტახტზე ეყარა კოჭები, დანა, ნალი, ლურსმნები

გაგრძელება. იხ. „პიონერი“ № 7.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანანა კვეს-აბედს მისწვდა. ტალზე კვესს აკვესებდა. ვარსკვლავა ნაპერწკლები ცვიოდა აქეთ-იქით.

— რა ლამაზია! — თქვა მანანამ. მერე ტალს აბედი დაადო და რამდენჯერმე კვესი ჩამოჰკრა. აბედს ბოლი აუვიდა.

— ახლა თქვენ გააგრძელეთ, ამირანებო! — უთხრა ბიჭებს და აბოლებული აბედი გადააწოდა.

გიგიმ ჩამოართვა და კერასთან ჩაიმუხლა. კახაც ეხმარებოდა ცეცხლის დანთებაში.

ირაკლი ფიჭვის ისეთ ნაჭრებს არჩევდა, რომელსაც მეტი შრე, მოყვითალო ფერი და წებოვანი გამონაყოფი ჰქონდა. წალდით აწვრილებდა. მარიხი კი ამ ნაჭრებს ქვაბში ერთიმეორეზე აწყობდა. რომ ამოავსო, წყალი დაასხა, ბიჭებმა კი ზედადგარზე შემოდგეს ქვაბი და თავსახური დააფარეს, რომ მალე ადუღებულიყო.

ვიდრე კევი მოიხარშებოდა, უსაქმოდ რას გაჩერდებოდნენ. ერთ მოზრდილ კუნძს თხელი ფენა ჩამოახერხეს. ეს ჩამოხერხილი ფირფიტა ირაკლიმ მუხლებზე დაიდო და ლურსმნით მიკაწრ-მოკაწრა.

— ვერაფერს ვარჩევ! — გამოტყდა მანანა.

— ამირანმა ღმერთებს ცეცხლი მოსტაცა, — აუხსნა დაკაწრული ფირფიტის კომპოზიცია ირაკლიმ. — მალე გარკვევით დაჩნდება.

კერაზე მიყუდებული შამფურები წვერებით ნაღვერდლებზე დააწყო. როცა ერთ-ერთ შამფურს წვერი გაუვარვარდა, ირაკლიმ იგი დაკაწრულ ადგილებზე მიმოატარა. მონაცვლეობით იღებდა შამფურებს. მომწვარი ადგილები თანდათან იკვეთებოდა. ხის ფირფიტამ სული ჩაიდგა.

— შესანიშნავია! — წამოიძახა მანანამ, სხვები კი თავშეკავებით ათვალიერებდნენ ნამუშევარს. — ყველაფერაღაც ეხერხება. მე ვის დავემსგავსე ასეთი უნიჭო?

— თავს ნუ იკატუნებ! აეროპორტში დედაშენი იკვეხნიდა, ფრიადოსანია, მეექვსე კლასი სიგელით დაამთავრაო, — შენიშნა კახამ.

— მე სხვა ნიჭზე ვჩივი... ქსოვაც გამიჭიანურდა... რამდენი ნაქსოვები აქვთ აქაურ გოგოებს...

ქვაბიდან ნახარში გადმოიღვარა და ცეცხლმა შიშინი დაიწყო.

ბავშვები გამოფხიზლდნენ, საქმიანად დატრიალდნენ. ქვაბს თავსახური ახადეს. წყალს ზედაპირზე ნახარშის ფენა მოსდებოდა. მარიხმა ქვაბში ხის კოვზი შემოატარა, კოვზს წებოვანი ნახარში შემოეკრა. გასაცივებლად წყლით სავსე ჯამში ჩადეს კოვზი.

— ესეც კევი! — თქვა მარიხმა. — აბა, დაღეჭეთ. თუ მომეტებულად რბილია, ცოტა კიდევ ვადუღოთ.

მაგრამ რბილი იყო თუ მაგარი, ვინ დაეძებდა, ყველამ პირში იტაცა.

ამ დროს საჯარედან ზურნის ჭყვიტინი მოისმა. ვიღაცამ დაიძახა, ლეკი ჯამბაზები მოსულანო.

ბავშვებს კევიანი ქვაბი მიავიწყდათ და საჯარესაკენ გაცვივდნენ, სადაც ჯამბაზები უკვე თოკებს ჭიმავდნენ ბოძებზე.

VIII. ზვინეების დადგმაზე მომუშავე გოგო-ბიჭები. ჯამბაზობა მოაჯირსა და თოკზე. პაპა ლაზარეს შეგონება.

მარგალიტი ბერდედამ და ლაზარე პაპამ წინა საღამოს ბოსლის საკარმიდამოში ბალახი მოთიბეს. გოგო-ბიჭებიც დაეხმარნენ, ახლა კი თივის შეგროვება-დაზვინვაზე მუშაობდნენ.

ლაზარე პაპამ უკანასკნელ სარს წალდით წვერი წამოუმახვილა და იქვე მდგომ თუნგმომარჯვებულ მანანას ანიშნა, სად უნდა დაესხა წყალი.



ბიჭები ჯიჯურიანთ საბოსლე ნაკვეთიდან ეზიდებოდნენ თივას.

მანანამ გაიხედა. ყანებში გამავალ ვიწრო ბილიკზე სამი თივის ბულული მოირწეოდა.

— ლაზარე პაპა, ერთ სოფელში ორ-ორი სახლი რად გინდათ, მათ შორის მანძილი კილომეტრი ან კილომეტრნახევარი თუ იქნება? — შეეკითხა მანანა.

— აბა, გაიხედე, სოფელი ანუ საზაფხულო საცხოვრებელი ღია, გაშლილ ადგილზეა გაშენებული, ბოსლები კი — პირმზით ფერდობზე, რომელიც აქეთ-იქიდან გორებით არი დაცული სუსხისაგან. ზამთარში აქ ჩამოვბარგდებით ხოლმე.

გახვითქულმა და დაღლილმა ბიჭებმა სიხარულის ყიჟინა დასცეს, როგორც კი ზურგიდან ტვირთი მოიხსნეს. კახა მაისურის გახდას შეუდგა, მაგრამ პაპამ არ დაანება.

— ჯერ ოფლი შეგაშრეს, წყალზეც თავი შეიკავეო. მარიხ! თითო ჭიქა მაწონი მოართვი!

გიგიმ პირთან მიტანილი კოკურა ადგილზე დადგა.

ირაკლი თოკისაგან ნატკენ მხრისთავებს იზელდა.

მანანამ ლაზარე პაპას ნახევარლიტრიანი კათხით მოუტანა მაწონი. მოხუცის შემყურე ბიჭებიც ჩაისავით სვამდნენ მაწონს.

შესვენება ხანმოკლე გამოდგა.

— ერთი ეს ზვინიც მოვათავოთ. მონაცვლეობით მომაწოდეთ თივა, თქვენს შემოსევას მე რას გავუძლებ! — აქეზებდა ლაზარე პაპა ბავშვებს.

ფიწლებს ლაპლაპი გაუდიოდა მზეზე. ბიჭები თივას აწოდებდნენ, მოხუცი კი ზვინს ასწორებდა, რომელიც სულ მაღლა-მაღლა მიიწევდა.

— ესეც ასე. დაგელოცოთ მარჯვენა — თქვა მოხუცმა და ბოლო ბულული წამოაცვა ზვინის წვერს. — ახლა, როგორც გაგიხარდებათ, ისე დაისვენეთ.

ბავშვები ჟივილ-ხივილით გაემართნენ ბოსლისაკენ.

მარგალიტი ბერდედა კარტოფილს მარგლავდა.

— ერთი ამ ბალღებზე თვალი გეჭიროს, არაფერი დაიშაონ, — უთხრა ლაზარე პაპამ. — მე ცოტა თვალს წავატყუებ.

კარგა ხანი გავიდა. მარგალიტი ბერდედას ყური მზირად ეჭირა, ბავშვები ხან სულ მიჩუმდებოდნენ, ხან ისევ ახმაურდებოდნენ. როგორც კი მანანას წამოკივლება და ჯაბოს წკმუტუნი მისწვდა მოხუცი ქალის ყურს, ყველაფერს თავი მიანება და ჯიქურ წავიდა. მაგრამ მისვლისთანავე გაშეშდა, ხმა ვეღარ ამოიღო და იქვე ჩაიკეცა. თან თვალს არ აშორებდა აივნის მოაჯირის სვეტსა და ხეს შუა გაბმულ თოკს, რომელზედაც ირაკლი სარმომარჯვებული გადიოდა.

როგორც იქნა, გაილია მანძილი ხემდე. ბავშვებმა ისეთი ყიჟინა დასცეს, რომ ლაზარე პაპამ თავი წამოსწია.

მარგალიტი ბერდედა ძლივს წამოდგა, აივანზე ავიდა და თოკის შეხსნას შეუდგა. ლაზარე პაპაც მოახლოვდა.

— რა მეხი გავარდა, დიაცო?

— თოკზე ჯამბაზობენ...

— განა არა, გუშინვე ეჭვი შემეპარა. ამ სიმაღლეზე რამ გაგაბმევინათ ეს თოკი? მტრისას, თუ ჩამოვარდით. თავს გაუფრთხილდით...

ლაზარე პაპამ ულვაშები მოიქექა, მგონი ძილი დამაკლდაო, თქვა და ისევ ზვინებისაკენ გაბრუნდა.

გიგიმ თავისი თოკები მოაგროვა.

ბავშვები მარგალიტი ბერდედას გამოემშვიდობნენ და სოფლის გზას დაადგნენ.

რაც ლეკი ჯამბაზების თოკზე სიარული ნახეს, ბიჭები ბევრს ვარჯიშობდნენ, მაგრამ შედეგი, როგორიც მათ დააკმაყოფილებდა, არ ჩანდა. ირაკლის მეტი თოკზე წონასწორობას ვერავინ ინარჩუნებდა.

— ასე არაფერი გამოგვივა. როგორც სპორტშია, ჯერ დაბალ სიმაღლეებს დავჯერდეთ. ჯერ ნახევარი მეტრის სიმაღლეზე გავჭიმოთ თოკი, მერე მეტრზე და ასე გავაგრძელოთ. რას იტყვით? — იკითხა მანანამ.

— მგონი, აჯობებს, სულ შევეშვათ, — თქვა მარიხმა, რომელსაც თავიდანვე არ მოსწონდა ეს ჯამბაზობა.

მაგრამ რაკი თოკები ჰქონდათ, თოკთან დაკავშირებული ყველა გასართობი მოუნდათ. მარტო გასართობი კი არა, ცოტა უფრო მეტიც, რამაც ბავშვებიც სერიოზულად შეაკრთო და უფროსების აღშფოთებაც გამოიწვია.

აი, რა მოხდა.

IX. სამზადისი ქარაფზე ჩასაშვებად. თოკზე გამობმული კახა. მოგებულია სარისკო სანაძლეო.

— სიტყვა „მეკლდეური“ თუშური ლექსიკიდან შევიდა სპორტულ ტერმინოლოგიაში ამ რამდენიმე წლის წინათ, — თქვა კახამ. ყველა მისი ხელების მოძრაობას მისჩერებოდა. — ესეც — მეზღვაურული კვანძი. აბა, გიგი, გაქაჩე!

— მარტო გაქაჩვით ვერ შევამოწმებთ, ორ-ორი მაინც უნდა ჩამოვეკიდოთ.

— მეც ჩამიშვით! — დაიძახა მანანამ.

— მაგას ჩაშვება არ უნდა, აგერ ხეზეც შევამოწმებთ.

— გიგი ხეზე აძვრა, თოკი დაამაგრა, ბოლო ჩამოუშვა. კვანძი შუა ადგილზე ჰქონდა ჩამოშვებული თოკს. — აბა, ვიწყებთ! ირაკლი, დააჩქარე და ჩამოეკიდე!

ირაკლიმ გიგის მითითება მთელი მონდომებით შეასრულა.

— მანანა, მიეხმარე, ახლა ორივე ჩამოეკიდეთ როგორმე! — გაისმა გიგის მორიგი ბრძანება.

მანანა და ირაკლი კარგა ხანს იყვნენ ჩამოკონწიალებულნი თოკზე.

— საიმედოა! — მოისმა ზემოდან. — ახლა სხვა კვანძები გავსინჯოთ.

გიგიმ თოკი ასწია, რამდენჯერმე გადაახვია ხეზე. ახლა მიმდევნო კვანძი შეამოწმეს.

— მესამეც შეამოწმეთ!

გიგიმ სამივე კვანძი მოიწონა.

კახა მთელ ამ ფაციფუცს მხართეძოზე წამოწოლილი უყურებდა. ქარაფზე ჩაშვება წილისყრით მას შეხვდა და უფლება ჰქონდა, ამ სამზადისში მონაწილეობა არ მიეღო, დაესვენა. ისე, სიმართლე რომ ვთქვათ, ცოტა გული კი უფანცქალებდა, მაგრამ არ უნდოდა ამაზე დაფიქრებულიყო.

— კახა, გაემზადე! — უბიძგა მანანამ და ფიქრებიდან გამოიყვანა.

წასნე მთაა, რომელსაც მწვერვალი თითქოს ხმლით წაკვეთესო, ისეთი მოსწორებული აქვს, ოღონდ — ტყით დაფარული. იმ ადგილიდან, სადაც მეგობრები საქმიანობდნენ, ხუთიოდე ნაბიჯის დაშორებით ქარაფი იწყებოდა, რომელიც სადღაც ქვევით, აქაფებულ მდინარეში იკარგებოდა. აი, სწორედ ამ ქარაფზე აპირებდნენ ჩაშვებას ბიჭები.

ერთხელ კიდევ გულდასმით შეამოწმეს კახა თავიდან ფეხებამდე და გზა დაულოცეს.

სანამ კახა ქარაფზე ჩაეფარებოდა, მანანაც ებღაუჭებოდა თოკს, რომლის ბოლო ყოველი შემთხვევისათვის ხეზე იყო გამობმული, მაგრამ მალე თავი მიანება და ნაპრალის პირთან მივიდა. ჯაბოც მასთან გაჩნდა. კახა ნელა ეშვებოდა კლდეზე. უცებ ჰაერში დაიწყო ქანაობა.

— მოიცათ! — ხელის აწევით იყვირა მანანამ. ბიჭებმა თოკის ჩაშვება შეაჩერეს. — ცოტაზე ამოქაჩეთ, ჰაერშია გამოკიდებული!

თქმა ადვილია! თურმე რა ყოფილა კაცგამობმული თოკის უკან გამოქაჩვა! ძლივს ამოსწიეს კახა რამდენიმე მეტრზე.

კახამ ხელები დაიკაწრა. როგორც იქნა, ცოტა გვერდზე გაჩოჩდა, რომ გადმოშვერილ კლდეს არიდებოდა.

— უთხარი, სადმე გაჩერდეს, დავისვენოთ! — გასძახა ირაკლიმ მანანას. მანანა გაფაციცებული უთვალთვალებდა და, როცა კახამ ფეხმოსაკიდ ადგილს მიაღწია, დაუძახა. მანდ გაჩერდიო.

როგორც კი მოდუნდა თოკი, ბიჭებმა ხელი უშვეს და ქარაფის პირთან მიცვივდნენ.

იმ ერთადერთ ხემდე, რომელიც ამ კლდეზე რაღაც სასწაულად ამოსულიყო და რომელზედაც ბაირაღი უნდა აეფრიალებინათ, კახას ნახევარზე მეტი მანძილი უკვე ჩაევლო.

— ჰეჰეჰეი! — ჩასძახა ირაკლიმ ძმობილს.

კახა ზურგით მიეყრდნო კლდეს, ორივე ხელი გაშალა,

უფრო საიმედოდ აეკრა და მეგობრებს ახედა. სადღაც ზემოთ, ცისა და გადმოწეული მწვანე ტოტების ფონზე მანანას სომბრერო დალანდა. მზე თვალებს სჭრიდა. ხელს რომელი იქნევდა, ირაკლი თუ გიგი, ვერ გაარჩია. ძერე იმ ხეს გადახედა, რომელთანაც უნდა ჩასულიყო. ეშორა. წელზე და მკერდზე თოკები მოისინჯა. ყველაფერი წესრიგში იყო. წყურვილი იგრძნო. იქვე ახლოს კლდის დუმა შეამჩნია. ხელი გაიწოდა, ვერ მისწვდა. უფრო გადაიხარა, თავი ვეღარ შეიკავა და მოსწყდა კლდეს. მაღლიდან ყვირილ-კივილი მოესმა.

გონს რომ მოვიდა, იმ ხეზე იყო შემოხვეული. თოკი სულ დაქაჩულიყო. „ძლივს მოსწვდა“, გაიფიქრა კახამ. დასისხლიანებულ ხელებზე დაიხედა. თავი უბრუოდა. ზევით, ალბათ, გამარჯვების აღსანიშნავად ყიჟინებდნენ. როგორც იქნა, მიაბრუნა თავი და აიხედა. აქედან უკეთ მოჩანდა ქარაფის პირი.

— ცოცხალი ხარ, მიხეილ ხერგიანის მოდგმავ? — ჩამოსძახა გიგიმ. — მოვიგეთ სანაძლეო!

სანაძლეოს ხსენებაზე კახამ ჯიბეები მოიქექა და ჭრელ-ჭრელა ნაჭერი ამოიღო. ხეს შემოახვია. მოპაექრე ბიჭების ჯგუფს ხომ უნდა ენახა დაპყრობილ ხეზე რაიმე ნიშანი.

— კარგია, კარგი! — ჩამოესმა ირაკლის ხმა.

— მანანა, დამეხმარე! — ასძახა კახამ.

მანანა არ გამოჩენილა, მაგრამ უხილავმა ხელმა ყველის ბილების თაიგული გადმოისროლა კლდეზე. თაიგული კახას თავთან ფიჭვის ტოტზე ჩამოეკიდა.

— ვაშა!.. — აყვირდნენ ზემოთ.

ბიჭებს შორის მანანამ გამოყო თავი. კახას ხელისქნევით გაუზიარა თავისი სიხარული.

— გაემზადე, ვიწყებთ ამოქაჩვას... — შეცვლილი ხმა ჰქონდა მანანას.

კახამ კლდეებში როგორღაც გაჩერებული გირჩა დაიხახა. ჯიბეში ჩაიდო.

კახასთვის ჩაშვება იყო უფრო ძნელი, ზემოთ მყოფთათვის კი მისი ამოყვანა. თოკის კვანძები ხანსად წამოდებოდა კლდის შვერილს და ხანსად. ასეთ ადგილებში ისევ ადუნებდნენ თოკს და კახა ცდილობდა, როგორმე იქეთ ან იქით გადაექაჩა თოკი. როცა ბოლოს ქარაფის კიდეზე თავი ამოყო, დაინახა, რა ჭაპანწყვეტაშიც იყვნენ ბიჭები.

როგორც კი კახამ თოკი შემოიხსნა, ყველანი იქვე ჩაიკეცნენ, ისე იყვნენ დაღლილნი.

სული რომ მოითქვეს, სიცილით ხელები გადმოაბრუნეს. ხელისგულები ყველას გადაყვლეფილი ჰქონდა.

კახამ ჯიბიდან გირჩა ამოიღო და მანანას გაუწოდა.

წასვლა მთაზე მომხდარი ამბავი მთელ სოფელს მოედო. თურმე აგეურთის მხრიდან იმ მოპაექრე ბიჭების ბელადი გოგალე უთვალთვალებდა მთელ მათ საქმიანობას.

რასაკვირველია, ამის შემდეგ პაპების დარიგებასა და ბერდედების ვიშვიშს ბოლო აღარ უჩანდა.

ბავშვებიც მცირე დროით მიწყნარდნენ.

X. შეჯიბრი მშვილდ-ისრის სროლაში. ბიჭები კარგად ისვრიან, მაგრამ... პაპა ლაზარემ აჯობა, ყოჩის მაგივრად კურს გულში გაუტარა ისარი. ყოჩი კახას გადასცეს.

შენაქოელებს ცოტა შეღავათიანი დღეები დაუდგათ. თიბვა მოთავდა, ყანები კი ჯერ არ შემოსულიყო. ხალხი შიგა სამუშაოებს მიუბრუნდა. იყო ერთი ცელ-ნამგლების ლესვა და მჭედელ დავითოსთან მისვლა-მოსვლა. ტყეებიდან ჩახაჩუხის ხმა ისმოდა. წისქვილის გზაზე საფქვავაკიდებულ ცხენებსა და სახედრებს მიერეკ-მოერეკებოდნენ. ცხვრის ბინებიდან ყველ-მატყლი ჩამოჰქონდათ. საქვაბეში სადღეობო ლუდს ხარშავდნენ, ძელზე ჩამოკიდებულ საგანგებოდ მოქსოვილ ტომრებში სწურავდნენ და სვიის ნახარშს უმატებდნენ.

ბიჭები მთელი კვირა მშვილდ-ისრის სროლაში ვარჯიშობდნენ. ჯიჯურიანთ დიდი პაპის წლისთავზე ყველას უნდოდა თავის გამოჩენა. მანამდე კი ჭერხოებში დაძვრებოდნენ, სხვენში უქმად გარჭობილ მშვილდებსა და ისრებს აგროვებდნენ, ასწორებდნენ, ლარებს ჭიმავდნენ.

ნანატრი დღეც დადგა. ბავშვები დილიდანვე ნისტაყოს გორასთან ტრიალებდნენ, სადაც შეჯიბრება უნდა ჩატარებულიყო.

მოიტანეს საჩუქრები და ერთმანეთისაგან დაშორებით ფერდობზე დააწყეს. ყველას თვალი დიდი პაპის ვერცხლის ქამარ-ხანჯალზე იყო მიკრული. ჭედილის ნაცვლად პური ჩადგეს. რას არ დაინახავდით ფერდობზე — ტანსაცმელს, ფეხსაცმელს, ქვამარილის გოროხს, ყველის თავს... ცენტრში აბრეშუმის ალამი ჩაერჭოთ.

შჯიბრებაში ყველას შეეძლო მონაწილეობის მიღება. ასაკის მიხედვით სხვადასხვა მანძილზე დააყენეს მსროლელები. სულ წინ სკოლამდელი ბიჭუნები იდგნენ. სწორედ იმათ დაიწყეს. თითოეულს სამ-სამ ისარს უტოვებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დნენ. თუ რომელიმე უმცროსის ნასროლი საუკეთესო აღმოჩნდებოდა, საჩუქარი მაშინვე იხსნებოდა შეჯიბრებიდან.

სანიშნო ფერდობს აქეთ-იქიდან ორ-ორი მეთვალყურე ედგა, რომელნიც სროლის შედეგს ატყობინებდნენ ხალხს.

პირველად თითქმის ყველა ისარი ქამარ-ხანჯლისა და ალმისაკენ იყო მიმართული. ქამარ-ხანჯლისაგან შემოსაზულ წრეში მეხუთე ისარი კახამ შეაფრინა, მაგრამ ცენტრს მანაც სხვებსავით ააცდინა. გოგო-ბიჭებმა მაინც სიხარულის ყიჟინა დასცეს. ირაკლიმ ალმის ქვედა კიდე შეარხია. გიგი არ მონაწილეობდა შეჯიბრში. წინა დღეს მამას მორების დაგორებაზე ეხმარებოდა და ხელი იტკინა. მაჯაშეხვეული ახლოს ტრიალებდა ძმობილებთან, რჩევებს აძლევდა.

მეორე სროლაზე ჯერ ქამარ-ხანჯალი და ალამი მოიხსნა შეჯიბრებიდან, შემდეგ საჩუქარი საჩუქარს მიჰყვა და ბოლო სროლისათვის რამდენიმე სანიშნოლა შერჩა ფერდობს.

— რაღა ახლა სტკივა გიგის ხელი... — თქვა სინანულით მარიხმა.

გიგიმ ბიჭებს ანიშნა, უკან მიიხედეთო. ლაზარე პაპა ხელში მშვილდს ატრიალებდა, ლარს ჭიმავდა. ბიჭები მისკენ გაცვივდნენ.

— პაპა, რას აპირებ? — შეეკითხა კახა.

— ჩვენს ასაკს შორის ნახევარ საუკუნეზე მეტია სხვაობა. მინდა დაგაჯეროთ, რომ ჯერ ყველაფერი წინ არი.— ლაზარე პაპამ მხრები შეათამაშა, მშვილდ-ისარი რაღაც თავისებურად შემართა, მერე ზევიდან ქვემოთ დაუშვა და სრულიად მოულოდნელადვე უშვა თითები ლარს. ისარმა გაიზუზუნა და პურს ჩაერჭო. მეთვალყურემ პური მოარბენინა. პურზე ცხრა ნაისარი დაითვალეს, მაგრამ უკანასკნელი ისარი ჯერაც ისევ შუაგულში იყო გარჭობილი.

— პური რაა, — გულნაკლულად აღმოხდა მანანას, — რა კარგი საჩუქრები იყო!..

— ეგ პური ჭედილას უდრის, —აუხსნა გიგიმ.

ყველა ლაზარე პაპას შემოეხვია. ერთი ახალგაზრდა მაინც სულ გადაირია, ინსტიტუტში პირველი ვარ მშვილდოსნობაში და ამ ბერიკაცმა როგორ მაჯობაო. მანანამ სტუდენტს შეუბღვირა, ხალხის წრე გაარღვია, ლაზარე პაპას გადაეხვია და გამარჯვება მიულოცა. ბიჭებს გუნება გამოუკეთდათ და ტაში დასცხეს.

სიკო ჯიჯურიძე საბელგამობმულ ყოჩს მოათრევდა.

— დისწულო! — გასძახა კახას და საბლის ბოლო გადაუგდო. — ჩაიბარე!

კახამ საბელი დაიჭირა.

— ეს ჭედილა კი არა, კაი მოზრდილი ყოჩი ყოფილა, — შენიშნა გიგიმ და საქმიანად შეათვალიერა ცხვარი.

— რა ქნა, კაცო, სამოცდაშვიდი წლის ბერიკაცმა! — ისევ ჰკვირობდა სტუდენტი.

— არ გაგიგია, — ბებერი ხარისა რქანიც კი ეწევიანო... — ჩაილაპარაკა სიკო ჯიჯურიძემ.

ბავშვებმა ყოჩი წრეში მოიქციეს. მათ ყივილ-ხივილზე ცხვარი დაფეთდა, უკან დაიხია და საბრძოლველად დახარა რქები. მანანა შეშინდა და გიგის ამოეფარა. გივიმ საღი ხელი რქაში სტაცა ყოჩს. მეორა რქას კახა მისწვდა. ირაკლი უკანიდან აწვებოდა. ასე გაემართნენ სახლისაკენ.

კახა გზადაგზა თითქოს მეცხვარის ლექსიკონს ფურცლავდა: ცხვარი, ბატკანი, ბეკეკა, კრავი, ციკანი, თიკანი, ჭედილა, თოხლი, ნერბი, ვერძი, ყოჩი, ბოტი, თხა...

XI. შენაქოელები გალმა ფერდობიდან უყურებენ პირველი მანქანის, ანდა უკეთ, პირველი ტრაქტორის შემოსვლას ომალოში.

მთელი სოფელი აიყარა. ვინც ომალოში ვერ გადავიდა, საცხენე ცერისაკენ მიისწრაფოდა. ასეთ მნიშვნელოვან ამბავს ვინ გააცდენდა, შორიდან მაინც რომ არ მოეკრა თვალი.

საცხენე ცერი ზემოდან დასცქეროდა ომალოს მინდორს. მათ შუა დაკლაკნილი ბილიკებით დასერილი ღრმა ხევი გაწოლილიყო. დაბლა ალაზანი ხმაურობდა.

ომალოში დიდი გამოცოცხლება იგრძნობოდა. შენაქოელები დურბინდებით გასცქეროდნენ გალმა მხარეს.

— ღმერთო დიდებულო, ნუთუ რკინის რაში შემოჯირითდება თუშეთში? ნუთუ ჩვენი საცალფეხო ბილიკები შარაგზებით შეიცვლება? — ჩაილაპარაკა გიო პაპამ და ფერდობზე შეფენილ თანასოფლელებს გვერდით მიუჯდა.

— შემოჯირითდა და ეგაა! — ლუხუმმა საათზე დაიხედა. — ნახევარ საათში დავინახავთ.

მთაში მზის საათია ძალაში ისევ. მზის ამოსვლამდე, შემოთენებულზე დგებიან, საქონელს სწველიან და საძოვარზე ისტუმრებენ. შუადღემდე ყანებში მუშაობენ. მზეგადახრამდე ისვენებენ, მერე კიდევ წაიმუშავებენ, მზე რომ შუბის ტარზე დავა, სოფელში ბრუნდებიან. მზეჩასვლით საქონელს აბინავებენ, შემდეგ ვახშმობის თადარიგს იჭერენ ქალები. ვახშმობენ და იძინებენ.

ლუხუმმა საათი რომ ახსენა, გიო პაპამ ცას ახედა. მერე ხეების ჩრდილს მოავლო მზერა. ჯერ შუადღე არ არისო. — გაიფიქრა.

— შენ ახალგაზრდა ხარ, ეგ ეშმაკის თვალები მე წამაშველე,— უთხრა ლუხუმს და დურბინდისათვის ხელი გაუწოდა.

გზაზე გოგონების ჯგუფი გამოჩნდა. ფარსიკაანთ ევა გარმონს უკრავდა, მარიხი მღეროდა:

ზეზვაო გაფრინდაულო,
თუშო, მოკლეო ენითა,
საცა კი შეიყრებიან,
ამოგარჩევენ ხელითა,
კარზე მოსულსა მოძალეს
ირეკავ ნაბირივითა...

ჯაბო გოგონებისაკენ წაძუნძულდა. მთელმა სოფელმა იცოდა, რომ, როგორც კი ჯაბო გარმონისა და სიმღერის ხმას გაიგონებდა, მაშინვე იქ გაჩნდებოდა.



XII. მანანამ წინდის ქსოვაც ისწავლა. კახა და ირაკლი განმარტოებით საუბრობენ. ბიჭებს არ ეგონათ, მაგრამ მანანა საიდუმლოს მაინც მიუხვდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანანა წინდის ქსოვითა და ღიღინით მიდიოდა შუკაში. საქვაბესთან კახა და ირაკლი შეამჩნია. გაუხარდა, ჩემს ნახელავს ვაჩვენებო. მერე იფიქრა, მოდი, ჯერ ერთს გემოზე შევახტუნებო. შემოუარა და ზურგიდან მიეპარა ბიჭებს.

— ძალიან შორსაა ეგ აკლდამები? — იკითხა კახამ.

— ცხენით ალიონზე გასული კაცი საღამომდე მივა.

— ბუჰ!.. — დაიძახა მანანამ და ძალიან გაუკვირდა ბიჭები რომ არ შეკრთნენ.— მართლა გამოდგებით ქაჯებთან და ურჩხულებთან საბრძოლველად, არ დაიბნევით. რას გაჩუმდით? განაგრძეთ საუბარი! მე...

მაგრამ ბიჭები, თითქოს ენა მუცელში ჩაუვარდათო, გაჩუმებულიყვნენ.

— აჰ, არ შეკრთით, დაიბენით კი! გასაგებია! მე ასე მემართება, როცა გაკვეთილებს ვამზადებთ-თქო, ვამბობ, და სულ სხვა წიგნის წაკითხვაზე კი წამასწრებენ.

— მოსამზადებელი კურსების გახსნაზე ვსაუბრობთ, აი, იმათთვის, ვინც პირველ კლასშია შესასვლელი, — გაბედა ხმის ამოღება ირაკლიმ.

— იქნებ უცხო ენების მასწავლებლად მიმიწვიოთ? — იკითხა მანანამ.

— უცხო ენებამდე შორია! — უპასუხა კახამ. — ჭადრაკზე ვსაუბრობდით.

მანანას ეშმაკურად აუციმციმდა თვალები.

— კაი, ბატონო, გახსენით სკოლა გაძლიერებული ჯგუფებით, ითამაშეთ ჭადრაკი... მაინც ვერაფერს გამომაპარებთ!

ბიჭებმა ერთმანეთს გადახედეს.

მანანამ ონკანი გახსნა და წყალი მოსვა.

— ფუი, რა დუბელაა! ვინა თქვა, ეს წყალი ერეკლე მეფემ ინატრაო?..

შვნაქოელებმა ბარიდან მილები გამოზიდეს და ნივრეს გორიდან წყალი სოფელში გამოიყვანეს. საქვაბესთან, სადაც წინათ ადამიანის სიმაღლე ჭინჭარი ამოდიოდა, ახლა წყარო მოჩუხჩუხებდა. წყალს მაინც ზოგავდნენ და ხანდახან ონკანით კეტავდნენ. მილები კლდიან ადგილებში მიწიდან ზემოთ ეწყო, მზისგულზე წყალი თბებოდა მილებში. ასეთ დროს სასმელად გუბიდან ეზიდებოდნენ წყალს. ახლა ამ მილებით გამოყვანილ ნივრეს ქებულ წყალზე გაჯავრდა მანანა. ბიჭებმა ხმა არ გასცეს.

დასასრული შემდეგ ნომერში

მარიხს გვერდით მანანა მოჰყვებოდა.

— თქვენს მოსვლას გაუმარჯოს — უპასუხა სალამზე მოახლოებულ ახალგაზრდებს გიო პაპამ.

ომალოს მინდორზე ქუმელაურთის მიმართულებით მიჰქროდნენ და მოჰქროდნენ ცხენოსნები. ეტყობა, ამბები მოჰქონდათ, რა ხდებოდა გადაღმა ხევში.

გიო პაპამ ცას ახედა.

— არ გავიდა ის ნახევარი საათი? — იკითხა.

— გავიდა.

ომალოში ყველა მოძრავ წერტილად იქცა. საცხენე ცერზე დურბინდები ხელიდან ხელში გადადიოდა.

შორს წითელი ბაირაღი გამოჩნდა, გზაზე რაღაც მანქანა მოდიოდა.

— წითელი ფერი თვალს როგორ იტაცებს, მეც კი დავინახე! — გაუკვირდა გიო პაპას, რომელიც დურბინდს თვალებიდან არ იცილებდა. — ეს რა მობაჯბაჯებს?

— ტრაქტორია, ტრაქტორი! — აყვირდნენ ბავშვები.

ოდნავ აღწევდა ბათქაბუთქის ხმა, ისროდნენ.

შენაქოელებმა ტაში დასცხეს და მთა-ხევებს ვაშას გრიალმა გადაუარა. ყველა ფეხზე იდგა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲛᲝᲠᲬᲧᲚᲘᲡ

„ᲩᲔᲛᲘ ᲨᲠᲝᲛᲐ ᲔᲠᲬᲣᲛᲘᲡ ᲩᲔᲛᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲨᲠᲝᲛᲐᲡ“

1980 წლის შრომით მეოთხედში სოფლის მეურნეობის, მრეწველობის და მომსახურების სისტემებში მუშაობდა რესპუბლიკის 217.000-ზე მეტი მოსწავლე.

44.375 უფროსკლასელი გაერთიანებული იყო 563 შრომისა და დასვენების ბანაკში. ამდენივე უფროსკლასელი მუშაობდა მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადებში. 61.000-ზე მეტი მოსწავლის შრომითი გზა გადიოდა ქარხნების საამქროებსა და სამშენებლო ობიექტებზე. 33.000 მათგანი შრომობდა სკოლების, საბავშვო ბაღების, კლუბების, მეცხოველეობის ფერმების შენობების შეკეთება-კეთილმოწყობაზე.

30.325 უფროსკლასელი იყო დასაქმებული სკოლების სატყეოებში.

შრომითი ზაფხულის განმავლობაში უფროსკლასელთა მიერ შესრულებული იქნა 30 მილიონი მანეთის სამუშაოები.

კიდევ ერთხელ იძალა ზაფხულმა. გადაფერადდა, ნაყოფის სიმძიმისაგან დაიზნიქა ხეხილი.

ხვავი და ბარაქა ისევ გადღეგრძელდა ორი ალალი ქართველი გლეხის — ქიტესასა და წნელას დანატოვარ, ნაფუძარ მიწაზე. მათ შვილთაშვილებს, იმათ შვილებს სულში ჩაანათა და დიდი ადამიანური სიკეთით დაამწყალობა ჯერ სიმწიფეში შეუსვლელი, თვალებბრიალა ქიწნისური ვაშლები.

მზე ჰორიზონტზე შემაღლდა. რა ხანია, სოფელსაც გამოვცდით.

თითქოს ერთფეროვანი ყოველდღიურობა მეფობს ქიწნისის სახელმწიფო სანერგე მეურნეობის ბაღებში, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. სიმეტრიულ მწკრივებად ჩარიგებულ ხეებს შორის თავისუფლად გარბი-გამორბის ნიავი. ზარმაცად მიიზლაზნება წვიმაშეუმშრალ მიწაზე სატვირთო მანქანა, ძლივს მიათრევს დიდრონი ქვებით გავსილ ძარას.

დღეს 16 ჰექტარი ახალგაზრდა ხეხილის ბაღის გაწმენდაზე მუშაობენ თბილისელი მოსწავლეები. რა თქმა უნდა, სტანდარტული არ არის მათი სამუშაო. ერთ დღეს ბაღის გათოხნაზე მუშაობენ, მეორე დღეს — გაწმენდაზე, მესამე დღეს ახალამოყრილ მუხლგაუმაგრებელ ნერგებს უვლიან — როგორც საქმისათვის არის საჭირო, როგორც მეურნეობის ორგანიზებული და გეგმიანი შრომის ინტერესები და საჭიროება მოითხოვს.

თუმცა, ეს რა სათქმელია, როცა აქ ისინი ნამდვილ მორბედებად ეგულებათ და თავისებურად სიტყვისაკობაშიც, საქმისაკობაშიც სცდიან.

კარგა ხანია, მოსწავლეთა შრომითმა მოძრაობამ სახელი და ასპარეზი მოიპოვა ჩვენს რესპუბლიკაში. მისი ფასი და მნიშვნელობა ახლა სოფლის მეურნეობის სისტემაშიც კარგად იციან და სკოლებშიც, —ამგვარ შრომას რა ხანია, ჭაშნიკი აუღეს ორივეგან.

კაცი საქმეში იცნობაო, — ბრძენ ხალხს უთქვამს. გაკეთებული საქმის მიღმაა ყოველთვის ადამიანის ავტორიტეტი, მოწოდება და მრწამსი საძიებელი. ისიც ცნობილია, ყოველი კაცი თავის ტოლფასსა და ღირსს საქმეს აკეთებს მუდამ.

ამ უბრალო ჭეშმარიტების არსს მხოლოდ ახლა ეცნობიან და უკვირდებიან თბილისის 142-ე საშუალო სკოლის უფროსკლასელები და რაოდენ სასიამოვნოა, რომ ეს გაცნობა-დაკვირვება ასეთ ნამდვილ, კაცურ ატმოსფეროში, ცხოვრებასთან, პრაქტიკასთან, მშრომელ ადამიანებთან და, ბოლოს, ბუნებასთან, მიწასთან სიახლოვისას ხდება.

12 ივნისიდან საქმიანობს თბილისის 142-ე სკოლის უფროსკლასელ მოსწავლეთა შრომითი რაზმი ქიწნისის ბაღებში. უკვე მოგვარებულია ყველა საორგანიზაციო საკითხი. მეურნეობა ყოველნაირად ეცადა, არ ეღალატნა ახალგაზრდული შრომითი რაზმების დახვედრის უკვე თავისადმიჩნეული, სტუმარმასპინძლური ტრადიციისთვის: საცხოვრებელიც მოსაწონი გამოუყვეს და სასადილოც. მეურნეობის მუშაკთათვის არსებული ყველა პრივილეგიაც გაავრცელეს თბილისელ მოსწავლეებზე და მათ გართობა-დასვენებაზეც იზრუნეს.

შრომისა და დასვენების ბანაკის უფროსი, ისტორიის მასწავლებელი ბორის სადღობელაშვილი „მაყოფი-

ᲑᲐᲦᲘᲡ ᲤᲐᲠᲗᲝᲒᲘᲡ ᲥᲕᲐᲦᲝᲠᲦᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲒᲐᲡᲣᲤᲗᲐᲕᲔᲑᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲔᲠᲗᲘ ᲨᲔᲮᲔᲓᲕᲘᲗ ᲩᲐᲜᲡ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲐᲓᲕᲘᲚᲘ.

ეს თბილისელი გოგო-ბიჭები კარგა ხანია, ხელმარჯვე დამხმარეებად ეგულებათ მეურნეობის მუშაკებს.

ლია — მოსწავლეებს საკმაოდ მნიშვნელოვანი სამუშაო ანდო მეურნეობის ხელმძღვანელობამ: 5 ჰექტარი სანერგეებისა და 20 ჰექტარი ხეხილის ბაღების გათოხნა, ხუმრობა როდია; მარტო თუთის პლანტაციები 4,5 ჰექტარს იჭერს, თუთის ფოთლების დროულად ჩამოკრეფა კი თბილისელი გოგონების შრომასა და გარჯაზეა დამოკიდებული, უმეტეს წილად.

ვეცნობით რაზმსა და მიმღებ ორგანიზაციას შორის დადებულ სახელშეკრულებო პირობებს: გეგმა საკმაოდ სოლიდური ციფრით გამოუსახავთ; 50 მოსწავლისაგან შემდგარმა რაზმმა 2 000 მანეთის ღირებულების სამუშაო უნდა შეასრულოს.

...გოგონების მხიარული ტკარცალი იკლებს მშვიდ სოფელს. მთელი ეზოა მოფენილი თუთის ფოთლითა და გოგონების მხიარული კისკისით.

თუთის ტოტებით დატვირთული მანქანა ორღობეში ჩამოდგა. ახლა ერთი — ორი მარჯვე ბიჭია საჭირო, რომ ტოტები გადმოტვირთონ და ამ გოგონებსაც უხვად ექნებათ სამუშაო. სირცხვილიც არის, უკვე ნორმად ქცეული 10 ყუთი რომ ვერ აავსოს პირთამდე თითოეულმა.

ნანა ებანოიძე, ნინო მირიანაშვილი, მაია ინასარიძე, ნინო ესებუა, ტყუპი დები — მეგრელიშვილები, ბელთაძეები, ხასიშვილები... შრომაში თავის გამოჩენა ბიჭებმაც მოასწრეს უკვე, ერთმანეთს ტოლს არ უდებენ მამუკა ალავიძე, მორის გზირიშვილი, ბიძინა ბერიძე და ვინ მოთვლის, კიდევ რამდენი რაზმელია ქებისა და კეთილი სიტყვის ღირსი.

რაზმის კომისარს, გეოგრაფიის მასწავლებელს გოგუცა ყიფიანს უამრავი საინტერესო ღონისძიება აქვს ჩაფიქრებული — ექსკურსიები, საშეფო კონცერტები, პოეზიისა და მუსიკის საღამოები, სოფლელ თანატოლებთან სპორტული შეჯიბრებები...

იმედია, მოწყენისთვის დრო არ დარჩებათ თბილისელ მოსწავლეებს. მით უმეტეს, მათ დამატებითი საზრუნავიც გაიჩინეს: სოფლის ისტორიისა და ბუნების შესწავლაც დაიწყეს.

შრომითი რაზმების საკავშირო პატრიოტულ მოძრაობა „ხსოვნას“ და სამამულო ომში ჩვენი ქვეყნის გამარჯვების წლევანდელ, 35-ე წლისთავს თავისებურად აღნიშნავენ 142-ე სკოლელები. ეს რაზმის გაზეთის ფურცლებზეც აისახება და სოფლის ვეტერან მებრძოლებთან, ომში დაღუპულთა ოჯახებთან ბავშვების ურთიერთობაშიც.

ეს ერთგვარი ნობათი იქნება, ისევე, როგორც დამკვრელური შრომის ის ორი დღე, რომლის განმავლობაში გამომუშავებული თანხაც მოსწავლეებმა საკუთარი სურვილით გადარიცხეს ქალაქ გაგარინისა და საკავშირო კომკავშირული და პიონერული აქტივის ბანაკის მშენებლობათა ფონდებში.

მალე ჩათავდება მეგობრული შრომის დღეები და მერე, როცა ეს ზაფხულიც მოგონებად იქცევა, ალბათ, ბევრჯერ, ბევრჯერ მოიხედავენ ბავშვები ოცნების თვალით ამ პატარა სოფელში გატარებული შრომითი მეოთხედისაკენ, ამ მამაშვილური სითბოსა და კეთილმასპინძლური დახვედრისაკენ; მათ ცხოვრებაში პირველი შრომითი კოლექტივისაკენ, სადაც ასე ეიმედებოდათ მათი, შრომას, სოფლის საქმეს ჯერ შეუჩვეველი ხელით გათოხნილი ყოველი გოჯი მიწა, ჩამოკრეფილი და გადარჩეული თითოეული ფოთოლი.

ნინო ხარაზიშვილი

გადაწყდა: ხვალ სოფლელ თანატოლებთან ფეხბურთს ითამაშებენ.

შესვენების დროს უფრო იკვეთება ხალისიანი განწყობილება.

ზინა სოლომნიშვილი



ეროვნული ბიბლიოთეკა

წიქარა

ჩემი ფიქრები
ზამბახებივით
ზეცამ თავ-პირზე
გადაიყარა...
ვაიმე,
იქნებ
მგლებმა შეგჭამეს,
რომ აღარ მოხველ,
ჩემო წიქარავ.
გეძებ,
გეძებ და
უკან მომყვება
ჩემივ ცრემლებით
დანამული გზა,
თუ ცოცხალი ხარ,
ნუთუ არ გესმის
წიოკი ჩემი
სალამურისა!..

●

იაიებით და ენძელებით
მოლს გაუვსია
კალთა და უბე...
გახარებული
ჭყივის მერცხალი,
გამოვჩეკეო
ბარტყები უკვე...
მიმოიცინა
მზემ აქეთ-იქით
და ბატკანივით
დალია გუბე!

●

ბოსტანში ლაღად
კუტკუტებს კრუხი
და წია-წია
ისმის წიწილის...
მინდა გავათბო
ჩემი ტუჩებით, —
ხელში ტიტველა
ბარტყი მიტირის...
ქარი გორაობს
და გვირილები
იგუდებიან
თეთრი სიცილით.

●

გაზაფხულდაო, —
ჩაუნისკარტეს
ყივილ-ხივილით
ტოტებს კვირტებმა...
ხომ არ ვუყვარვარ,
მე რომ ვუყურებ,
ნეტა ყაყაჩო
რატომ წითლდება!
არ დამინახონ
ტიტლიკანაო, —
ჭრელი საბანი
მინდორს ახურავს...
რა აკუნტრუშებთ
ყუნყრუკელებსო, —
სამივე ყური
ცქვიტა სამყურამ...

მიხეილ ჩაჩუა

დილა

აი, გაიღო კარი აღსავლის
და მზე ამოჰყვა კიბეს უჩინარს.
დილამ — გაშლილმა
მტრედის ფრთასავით —
მზეს გაუცინა.

ცვარი შეაშრა ალორთქილ ბალახს,
მზემ შეიწოვა რძესავით ნისლი,
ყვავილმა პირი ჩამოიბანა,
თავს იწონებს და კეკლუცობს
მზის წინ.

კვირტი თვალების გახელას
ცდილობს,
პატარა კვირტი,
ჩვილივით თოთო.
უხილავ ბაგით შეეხო სიო
და გააჟრჟოლა სიამით ფოთოლს:



●

ცა გაფატრა ელვის დანამ,
დაეთხლიშა მიწას მეხი.
თელა შიშმა აიტანა,
აკანკალდა შიშით ვერხვიც.
აკაციას,
რცხილას,
თხმელას —

შეეპარა შიში ყველას.
ჯერ წიფელის გულში ჩადგა,
მიაკითხა მერე ჭადარს,
შიშმა ყველა შეაწუხა —
გულადიც და ჯაბანიცა,
ვერ შეჰბედა მხოლოდ მუხას
და შორიდან თაყვანი სცა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნორჩ კორესპონდენტთა ჟურნალი № 8

შრომა — უდიდესი სიქველე

პაპაჩემი ანდრო ნიკოლაძე ჯერ კიდევ საშუალო სკოლაში სწავლისას დაეუფლა მეფუტკრეობას და ოთხი წლის მანძილზე, სწავლასთან ერთად, მეფუტკრედ მუშაობდა ლენინგორის საბჭოთა მეურნეობაში.

სკოლა მან ქების სიგელით დაამთავრა, სამედიცინო ინსტიტუტში შევიდა და 1942 წელს, დიპლომი მიიღო თუ არა, მოხალისედ წავიდა ომში. 1946 წლის დასაწყისში სამხედრო ექიმი, კაპიტანი ანდრო ნიკოლაძე ჯილდოებით მკერდდამშვენებული დაბრუნდა სამშობლოში.

პაპას არ დაუსვენია, მაშინვე სოფელს მიაშურა, სადაც ძალზე სჭირდებოდათ ექიმი. სოფელში მან შვიდი წელი დაჰყო. აქვე გაიხსენა ძველი ხელობა — მეფუტკრეობა და მთელ თავისუფალ დროს ფუტკრებთან ფუსფუსში ატარებდა.

ანდრო პაპამ მეც შემაყვარა ეს საოცრად გამრჯე, „ჭკვიანი“ მწერები. პაპა ხომ თავად ძალზე შრომისმოყვარე კაცია და, როგორც ჩანს, ფუტკრებთან „სულიერ ნათესაობას“ გრძნობს. ყოველთვის მეუბნება: აი, ყოველმა ადამიანმა ასე თავგამოდებით რომ იშრომოს, დედამიწაზე ყველაფერი რიგზე იქნებაო; როგორც კონსტანტინე გამსახურდიამ თქვა, „შრომაა უდიდესი სიქველე ამ ქვეყნად“ და ვისაც შრომა უყვარს, ის ცხოვრების გზაზე მუდამ ამაყად წელგამართული ივლისო...

პაპამ მასწავლა ფუტკრების მოვლა, ჩამახედა მათ „ოჯახურ მეურნეობაში“, ვისწავლე მუშა, მამა და დედა ფუტკრების გარჩევა, შემიძლია ზეპირად დავახასიათო სკის მთავარი ფიგურა — დედა ფუტკარი: სიგრძე 20-25 მმ; ხორთუმის სიგრძე 3,2 მმ; წონა 280 მგ; დებს 1500—2000 კვერცხს, დედად ვარგა 2-3 წელიწადს, მერე კი უნდა შეიცვალოს...

მეფუტკრეობის შესწავლაში მეხმარება ვალიკო მასწავლებელი, რომელიც შრომის გაკვეთილებს გვიტარებს. მისი ხელშეწყობით გავაკეთეთ ფუტკრების საკვებური, წავიკითხეთ საინტერესო წიგნები: ც. ლევანდოვსკაიას „პატარა ფუტკრის დიდი შრომა“, აპ. წულაძის „ფუტკარი და მეფუტკრეობა“, „დედა ფუტკრის ნაამბობი“ და სხვ.

რა გზასაც უნდა დავადგე ცხოვრებაში, ანდრო პაპასავით ყოველთვის ვიმეგობრებ ფუტკრებთან, ამ შრომისმოყვარე, უწყინარ არსებებთან.

ანდრო არსენიშვილი,
თბილისის მე-3 საშუალო სკოლა, VII კლასი.

სოფელში

საათის ტიკტიკი რად მინდა,
მამალიც ჩამაწვდენს ხმებს.
მზესთან ვარ, როდესაც სიზმარი
ისევ სასთუმალთან თვლემს.
ჩემი სიცოცხლეა ის წყარო,
ფერხთით რომ ჩაუდის მთებს,
მათ მუხლზე ვნავარდობ შველივით,
მზე მვარცხნის სხივებით თმებს...

ია ხასია,
ქ. ზუგდიდის მე-2 საშუალო სკოლა, VIII კლასი.

მფაწმინდა

საბნად გხურავს, მთაწმინდავ,
დიდი, თეთრი ღრუბელი.
ტატო, გალაკტიონი
ჩაკრული გყავს უბეში.

როცა შენთან მოვდივარ,
ვტკბები ლამაზ ბუნებით,
მერე სახლში ვბრუნდები
დაწმენდილი გუნებით.

ის საამოგზლია ფენი

ვისაც რომ ლომი გაურბის,
ის ხომ ძმა არის შენი;
რაიც მდინარეს მოთოკავს,
ის ხომ ძალაა შენი;
რასაც მუდამ მზე დაჰნათის,
ის სამშობლოა შენი.

გელა გელაშვილი,
თბილისის 67-ე საშუალო სკოლა, IV კლასი.

სიმღერა

ათი ათასი, ასი ათასი —
დო, რე მი, ფა, სოლ, ლა, სი;
შვიდი კოკა მზით აივსო
ცისარტყელასი,
ქოშზედ ამყვა ყვავილები, ნამი
შევასვი
იის, შროშნის, ვარდ-ენძელასი;
დო, რე, მი, ფა, სოლ, ლა, სი...
ცამ სიმღერის შუბლი გახსნა,
დო, რე, მი, ფა, სოლ, ლა, სი,
ყვავილების კაბა დაწნა,
დო, რე, მი, ფა, სოლ, ლა, სი;
მიწა და ცა, ვარსკვლავები
საქართველოსი....
შვიდი კოკა მზით აივსო
ცისარტყელასი...
...დო, რე, მი, ფა, სოლ, ლა, სი.

მაია კილაძე,
მახარაძის რაიონის ძიმითის საშუალო სკოლა, VI კლასი.

უცხოური ფუმორი

ვაგაბონდი

ფიზიკის მასწავლებელი კლასში დიდხანს საუბრობდა სითბოსა და სიცივის კანონების შესახებ. როდესაც მან იკითხა, გასაგები იყო თუ არა ყველაფერი და მოსწავლეებისაგან დადებითი პასუხი მიიღო, კითხვების დასმა დაიწყო:

— ჯონ, რა ხდება გათბობის შედეგად?

— გათბობით სხეულები ფართოვდებიან, სერ.

— კარგი, გაცივების შედეგად რაღა ხდება, ტომ?

— გაცივებით სხეულები იკუმშებიან, სერ. — უპასუხა ტომმა.

— სწორია, ტომ.

— ახლა, — თქვა მასწავლებელმა — ვის შეუძლია მაგალითის მოყვანა?

— მე შემიძლია, სერ, — თქვა დიკმა. — ზამთარში, როცა ცივა, დღეები მოკლეა. მაგრამ ზაფხულში, როცა ცხელა, დღეები გრძელია.

ინგლისურიდან თარგმნა
ნონა ჯანგირაშვილმა,
რუსთავის მე-4 საშუალო სკოლა, IX კლასი.

თბილისის 134-ე საშუალო სკოლაში განსაკუთრებული გატაცებითა და სიყვარულით სწავლობენ მშობლიურ ენასა და ლიტერატურას, სიყრმიდანვე ეწაფებიან ქართული მწერლობის მაცოცხლებელ წყაროს. თვე არ გავა, რომ მოსწავლეებმა რომელიმე ქართველი მწერალი არ ისტუმრონ.

ქართული ენისა და ლიტერატურის კაბინეტში სათუთად ინახება ამ შეხვედრების მასალები, ფოტოები, ჩანაწერები და ეს საუნჯე წლიდან წლამდე მდიდრდება. საპატიო სტუმრებს მოსწავლეები თავიანთი შემოქმედების ნიმუშებს აცნობენ და მათ აზრსაც ისმენენ.

ასე გაჩნდა აზრი ხელნაწერი ლიტერატურული ჟურნალის დაარსებისა იმ კლასში, სადაც ყველაზე მეტი ნორჩი შემოქმედია თავმოყრილი — VI[1] კლასში.

მასწავლებელმა მზია კიწმარიშვილმა თავის მოსწავლეებს განზრახვა მოუწონა და... მალე დაინიშნა ჟურნალ „კვირტების" გზის დალოცვის დღე, რომელზეც მოსწავლეებმა თავიანთი უფროსი „კოლეგები" — ჟურნალ „პიონერის" თანამშრომლები მიიწვიეს.

შეხვედრაზე გადაწყდა: ამიერიდან 134-ე საშუალო სკოლის VI[1] კლასის ლიტერატურული ჟურნალი „კვირტები" „პიონერის" კოლექტიური კორესპონდენტი იქნება.

ამჯერად გთავაზობთ რამდენიმე ნაწარმოებს ჟურნალ „კვირტებიდან", რომლის რედაქტორია თეა გვასალია, ხოლო ლიტერატურული თანამშრომელი — VI[1] კლასის ყველა მოსწავლე.

ქრუხი და მურია

მზიანი ამინდი იყო. ეზოში ბალახი ბიბინებდა. უშველებელი კაკლის ხე ამაყად გადასცქეროდა არემარეს. ეზოს ერთ კუთხეში პატარა ლეკვი მიწოლილიყო, მზეს ეფიცხებოდა, თან ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდა ცაზე ღრუბლების თეთრ ქულებს.

სამზარეულოდან მოხუცი ქალი გამოვიდა, თან ქილით ხორბალი გამოიტანა და წიწილებს მოუხმო.

ფუნჩულა წიწილები დედის გარშემო ფუსფუსებდნენ. კრუხი თავის პატარებს კენკვას ასწავლიდა, წიწილებიც გულდასმით უსმენდნენ და ხან რას ჩაუნისკარტებდნენ, ხან რას.

უცბად კრუხმა მურია შენიშნა, რომელიც მათკენ მოიწევდა, კრუხი აიფოფრა, შვილებს მოუკრუხუნა და ისინი ფრთებქვეშ შეისვა, თან „საბრძოლველად" მოემზადა.

მურია ნელა, აუჩქარებლად მიიწევდა წინ. მას სულაც არ ჰქონდა განზრახული კრუხთან ჩხუბი. უბრალოდ უნდოდა ენახა კრუხი და მისი პატარა წიწილები. ის ხომ სულ პატარა იყო, და სწორედ ამიტომ აინტერესებდა ყველაფერი. გაიმართა „სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა". კრუხმა ერთი ჩაუნისკარტა მურიკელას, თავგზა აუბნია, ისედაც გზააბნეულს.

საცოდავმა ლეკვმა წკმუტუნი მორთო, იქაურობას გასცილდა და ბინის გვერდით გაინაბა.

წიწილებს შეეცოდათ ლეკვი, გამოვიდნენ დედიკოს ფრთებიდან და მურიკასთან მივიდნენ. კრუხს ჯერ შეეშინდა, მაგრამ როცა დაინახა, ლეკვი მის პატარებს არაფერს უშავებდა, ძალიან გაუხარდა და თვითონაც მივიდა მურიასთან.

ამ დღის შემდეგ მათი ჩხუბი აღარავის უნახავს. პირიქით, მურია კარგი მცველივით სულ გვერდით დაჰყვებოდა ეზოში მოფუსფუსე წიწილებს.

ლელა ბერიძე

წვიმის წვეთები

გაზაფხულის მზიანი დილა იდგა. ჩიტები საამურად ჭიკჭიკებდნენ. პირბადრმა მზემ დედამიწას გულმკერდი გაუთბო. ძალიან ჩამოცხა. უცებ ამინდი შეიცვალა. ღრუბლებმა ერთად მოიყარეს თავი და წამოვიდა გაზაფხულის უუუუნა წვიმა. მზე პირს იბანსო, გაუხარდათ ჩიტუნებს. დედამიწამ თითქოს შვება იგრძნო, ამოისუნთქა. ბოლოს წვიმამ გადაიღო და ღრუბლებიდან ცხრათვალა მზემ ისევ გამოანათა. ტყის განაპირას ერთი უშნო რცხილა იდგა, მუდამ თავჩაქინდრული, თითქოს ეშინია გამვლელი არ შეაშინოსო. დღეს რცხილას კი ლამის ზეცისთვის ეხალა თავი. მის დამჭკნარ ფოთლებზე მარგალიტებივით ბრწყინავდა ცვარი. მაგრამ ეს სიხარული ხანმოკლე აღმოჩნდა. წვეთებს მალე მოსწყინდათ უქმად ყოფნა და ერთმა თქვა:

— ძმებო, აქ ყოფნა ხეირს არ დაგვაყრის. გავიაროთ, ვნახოთ ქვეყანა.

წვიმის წვეთებმა ერთხმად მისცეს თანხმობის ნიშანი, მხოლოდ ერთი პრანჭია წვეთი იდგა ამხანაგებისაგან განმარტოებით და თავისი სილამაზით ტკბებოდა.

რიგრიგობით ჩაგორდნენ ძირს ანცი წვეთები, ნაკადულს შეუერთდნენ და ბოლოს მოგზაურობა ზღვაში დაასრულეს.

პრანჭია წვეთს კი მოსწყინდა მარტოდ ყოფნა და ჩაიძინა, მძინარეს მზის სხივი მოხვდა და აორთქლდა. ახლა კი უნდა უცადოს წვიმას, რომ ახალი ცხოვრება დაიწყოს.

თამარ შანიძე

ვინ გვაძლევს რძეს?

პატარა რომ ვიყავი, დედამ სურათებიანი წიგნი მომიტანა, რომელშიც ძროხა ეხატა. იგი მწვანე ბალახს ძოვდა.

— ეს ძროხაა, — ამიხსნა დედამ. — ძროხა გვაძლევს რძეს.

სხვა სურათებიც დავათვალიერეთ. შემდეგ დედამ ისევ იმ გვერდზე გადაშალა წიგნი, რომელზეც ძროხა ეხატა და მკითხა:

— რა არის ეს?

— მუუ! — ვუპასუხე მე.

— სწორია, — შემაქო დედამ, რომელმაც, რა თქმა უნდა, გაიგო, მე რასაც ვგულისხმობდი ამ სიტყვებში.

— ვინ გვაძლევს რძეს?

— ძა-მა - დაუყოვნებლივ ვუპასუხე ღრმად დარწმუნებულმა ჩემს სიმართლეში, რადგან ვხედავდი, ყოველ დილით რძე მამიკოს მოჰქონდა და უმადურობაც კი იქნებოდა ამის დავიწყება.

თეა გვასალია

გაზაფხული

ბუნებამ ფერი იცვალა
ჩიტებმა იწყეს ფრენაო,
ტყეზე ჩანჩქერი გადმოქუხს.
მზემ გააცოცხლა ყველაო.

თოვლი დამდნარა მთაზედა,
ბარში ადიდდა მდინარე,
ტყეში გაისმა გალობა,
მზე ამოვიდა ბრწყინვალე.

იებმა გამოიღვიძეს,
ენძელამ იწყო ლხენაო,
სურნელს აფრქვევენ ყველანი,
საამური დღე დგებაო.

ნ. ჩიხლაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

კლავდია დევდარიანი

დაბადების 70 წლისთავი

დედ-მამა, და-ძმა, ბებია და ბაბუა! ცხოვრობ ამ უახლოეს ადამიანებთან და ბედნიერი ხარ. რამდენი საალერსო სიტყვა და სახელი გესმის, რამდენი მოსიყვარულე ადამიანი ზრუნავს შენზე, რამდენს სტკივა შენი ტკივილი და უხარია შენი სიხარული — ალალად, გულწრფელად! მაგრამ მიდის დრო და მიდიან ეს ძვირფასი, მზრუნველი ადამიანებიც. მერე რა, რომ შენ უკვე ხანდაზმული ხარ, ძვირფასი ადამიანების ზრუნვა ისევ ძველებურად გჭირდება, მათი ერთი მანუგეშებელი სიტყვაც კი მთელ სიცოცხლედ გიღირს...

ქუჩაში მიმავალი ნაცნობმა ხმამ შემაჩერა.

„ისე ჩამიარე, ჩემო გოგო, ვერც კი შემამჩნიე", — მომაძახა კლავდია დევდარიანმა.

„მაპატიეთ", — მივედი და გადავეხვიე. ისე თბილად, დედაშვილურად ჩამიკრა გულში, მივხვდი, მისთვის ისევ „გოგო" ვიყავი და გული ამიჩუყდა, მაგრამ შევეცადე, არ შეემჩნია.

„როგორა ხარ, რაღაც ფერმკრთალი მეჩვენები, გული ხომ აღარ გაწუხებს?" — შუბლი შეიკრა და მზრუნველი თვალით ჩამაცქერდა.

ნათელი, ალერსით სავსე თვალები, მოსიყვარულე გული აქვს კლავდია დევდარიანს, მისი სიდარბაისლე და ადამიანებთან დედაშვილური დამოკიდებულება, საოცრად ახლობელს ხდის ყველასთვის.

კლავდია დევდარიანის მამისეულ ოჯახში ოთხი ბებია და ოთხი ბაბუა ცხოვრობდა თურმე თავ-თავისი მონაგარით. ეს გვერდასავლელი ამბავი როდია, აი, სად დევს სიკეთის სათავე. შემთხვევით არაფერი ხდება ამ ქვეყნად, არც მოსიყვარულე გული ჩნდება შემთხვევით.

საჭირო, კარგი წიგნებიც ადამიანივით იბადებიან, ისინიც ტკივილის, ბრძოლებისა და სიყვარულის პირმშოები არიან. ამიტომ მუდამ მოკრძალებით და ფრთხილად უნდა ვილაპარაკოთ წიგნებზე, როგორც კარგ ადამიანებზე.

ძნელია, ერთი ხელის მოსმით სწორად შეაფასო ამდენი წლის ნამუშევარი, რასაც კლავდია დევდარიანის წიგნები ჰქვია: „ნიას ქოჩორა", „გია", „სიცოცხლე და უკვდავება", რომელიც ჩვენი დიდი პედაგოგისა და მოაზროვნის, „დედა ენის" ავტორის იაკობ გოგებაშვილის ცხოვრებას აღწერს, „სიჭაბუკე პოეტისა" — ნიკოლოზ ბარათაშვილის რომანტიკულ და ტრაგიზმით სავსე ცხოვრებაზე.

კლავდია დევდარიანს ეკუთვნის სცენარები კინოფილმებისა — „შოთა რუსთაველი", „ნიკოლოზ ბარათაშვილი", „გალაკტიონ ტაბიძე" და პიესა (რომელიც წარმატებით დადგა ქართულმა მოზარდ მაყურებელმა თეატრმა) „ჩვენ ვფიქრობთ ბარათაშვილზე".

„გულო" — კლავდია დევდარიანის ეს ფსიქოლოგიური მოთხრობა — ჭეშმარიტად პოეტური ნაწარმოებია. სიმბოლურია ამ მოთხრობის გმირის, გულოს სახელი — კეთილი, გულისხმიერი, გულწრფელია მოთხრობის გმირი.

სულ პატარა გოგონა გულო, ცხოვრების მრავალ უკუღმართობას, ადამიანების ეგოიზმსა და გულგრილობას ჯერ კიდევ სიცოცხლის დასაწყისში ხვდება.

მოთხრობის ერთი ძლიერი ხაზი — ქალური, ზნეობრივი სიმკაცრეა. გულოს დედა ძალზე სათნო, გონიერი, განათლებული და მოსიყვარულე ადამიანია. იგი აღმერთებს ქმარ-შვილს, სამაგიეროდ კი გულგრილობასა და ღალატს მიიღებს. ქმრის ორგულობით გაოგნებული ქალი ტოვებს უმწეო შვილებს და უგზო-უკვლოდ იკარგება. ქეთევანის განდგომას მკითხველი თვითმკვლელობაზე უფრო მწვავედ აღიქვამს. დედმამის გაუმართლებელი საქციელით ბავშვები იჩაგრებიან. პატარა გოგი დედის ნატვრაში იღუპება, ოჯახი გულოს საზრუნავი რჩება.

გულო თუმცა ახალგაზრდაა, მაგრამ ადამიანური ინსტინქტი და სამართლიანობის გრძნობა აკეთებინებს მრავალ უაღრესად კეთილშობილურ, ძნელ საქმეს.

კლავდია დევდარიანის ყველა ნაწარმოები მნიშვნელოვანი და საჭიროა, მაგრამ განსაკუთრებით აღსანიშნავია „უკვდავება", რომელიც ვახუშტი ბატონიშვილის ნაყოფიერ ცხოვრებასა და მოღვაწეობას აღწერს. რომანი ალბათ მალე გამოვა და ჩვენი ახალგაზრდობის ერთ-ერთი საყვარელი წიგნი გახდება.

მწერალი, ლიტერატურულ მოღვაწეობასთან ერთად, მთელი სიცოცხლე მეტად საპატიო საზოგადოებრივ საქმიანობას ეწეოდა. წლების მანძილზე განათლების სამინისტროში აქტიურად მონაწილეობდა ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელოების შექმნასა და რედაქტირებაში.

იგი დღესაც მწერალთა კავშირის საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის სექციის თავმჯდომარის მოადგილეა.

ჩვენს საყვარელ მწერალსა და მეგობარს, კლავდია დევდარიანს, სამოცდაათი წელი შეუსრულდა. მივულოცოთ, ვუსურვოთ ხანგრძლივი, ნაყოფიერი, ბედნიერი სიცოცხლე, ტკბილი მოხუცებულობა, ჯანმრთელობა და წარმატებები თავის საყვარელ საქმიანობაში.

დოდო ვადაჭკორია

უვალ ეკვეკვალთა ეოლაუჭრელი

თუ გინდა რადიოსპორტულ შეჯიბრებაში გაიმარჯვო, ღრმა ცოდნასთან ერთად, ნებისყოფისა და ყურადღების კონცენტრირების უნარიც უნდა გჯონდეს. მაშინ წარმატება გარანტიდრებულია.

მირონ ხერგიანი

წუთით წარმოვიდგინოთ ცის კაბადონი უთვითმფრინავებოდ, ჩვენი ქვეყნის უკიდეგანო სივრცეები უმატარებლებოდ, ზღვები და ოკეანეები — უგემბოდ, კოსმოსური სივრცეები — უთანამგზავრებოდ, სახლი უტელევიზოროდ, ანდა საღამოობით ელექტროდენის ნაცვლად კვარის შუქით გაციაგებული ჩვენი საცხოვრისები (შემთხვევით რომ გამორთულა სინათლე, რა საგონებელში ჩავვარდნილვართ ხოლმე)...

მართლაც თანამედროვე ადამიანისათვის ძნელი წარმოსადგენია ეს: კიდევ ერთი მაგალითი მოვიყვანოთ — ზაფხულის არდადეგებზე ზღვაზე დასვენება გადავწყვიტეთ, მატარებელი, მანქანა თუ თვითმფრინავი არა გვყავს და წინაპრებივით ცხენზე უნდა ავმხედრდეთ, ან ურემი გავამზადოთ — ხარები შევუბათ... ჰოდა, ვიდრე ზღვაზე ჩავაღწევდეთ, არდადეგების ნახევარი უკან მოგვრჩება კიდეც... ახლა წამოსვლა? იმ ცხენ-ურმის დაბინავება და მოვლა-პატრონობა? რა დასვენება გამოგვივიდოდა? წარმოვიდგინოთ კიდევ ათასი სხვა სიკეთე, რომელიც თანამედროვე ტექნიკურმა რევოლუციამ მოუტანა საზოგადოებას და ჩვენთვის კიდევ უფრო ნათელი შეიქმნება, თუ როგორა ვართ დავალებულნი მისი მადლისაგან, [illegible] თხელ აღვივსებით იმ ადამიანებისადმი პატივისცემით, რომლებმაც დაუღალავი შრომის ფასად გვარგუნეს ეს უზღვავი სიამოვნება...

ვინ არიან ეს ადამიანები? კომენტარს არ საჭიროებს მრავალი მათგანის გვარი — ციოლკოვსკი, მენდელეევი, ლომონოსოვი, კოროლიოვი, მუსხელიშვილი, ვეკუა და სხვანი და სხვანი ჩვენშიაც და საზღვარგარეთაც; ახლა ისინი, ვინც დღეს კოსმოსური ხომალდების სამართავ პულტებთან დგანან, აგებენ თანამგზავრებს, ქმნიან ახალ თეორიებს, საძმავლო სიტყვას ამბობენ მეცნიერების სხვადასხვა დარგში... დიახ, ასეთები მრავლად არიან. მაგრამ ამჯერად ჩვენ საუბარი გვექნება ტექნიკური დარგის ყველაზე ნორჩ წარმომადგენლებზე, მათზე, ვინაც ამ სახელოვან მეცნიერთა ნაკვალევზე პირველი გაუბედავი, მაგრამ სწრაფვით აღსავსე ნაბიჯი შედგა... ვესტუმროთ თბილისის ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალურ სადგურს, რესპუბლიკაში ტექნიკური კადრების სამჭედლოს...

ამონაწერი ნორჩ ტექნიკოსთა სადგურის ისტორიიდან:

„ნორჩ ტექნიკოსთა სადგური დაარსდა 1929 წელს. ეა იყო პირველი საბავშვო დაწესებულება არა მარტო ქალაქ თბილისში, არამედ მთელს რესპუბლიკაში. სადგურთან პირველად ჩამოყალიბებულ სადურგლო, ავიასამოდელო და ფოტომოყვარულთა წრეებში გაერთიანებული იყო მხოლოდ 38 მოსწავლე...

მალე საქართველოს ქალაქებსა და მსხვილი რაიონების ცენტრებში შეიქმნა ნორჩ ტექნიკოსთა ახალი სადგურები — მათმა რაოდენობამ 1939 წლისათვის 22-ს მიაღწია.

1959 წლის სექტემბერში ნორჩ ტექნიკოსთა სადგური რესპუბლი-



ეს ფოთურ კატარღათა მოდელები გახლავთ.

კური მნიშვნელობის სკოლისგარეშე დაწესებულებად იქცა. დღეისათვის მის 12 ლაბორატორიასა და კაბინეტში მუშაობს 100-მდე სხვადასხვა ექსპერიმენტული, სამეცნიერო-ტექნიკური წრე, რომლებშიც გაერთიანებულია ქალაქ თბილისის სკოლების 1500-მდე მოსწავლე...“

სადგურის დანიშნულებაზე გვესაუბრება მისი დირექტორი **გიორგი ეპიტაშვილი**:

„წლების განმავლობაში საქართველო აგრარულ რესპუბლიკად ითვლებოდა. წამყვანი დარგი ჩვენში სოფლის მეურნეობა იყო. მაგრამ ტექნიკურმა პროგრესმა თავისი კორექტივები შეიტანა ცხოვრებაში — საქართველო მოწინავე ინდუსტრიული რესპუბლიკა გახდა. რესპუბლიკაში შეიქმნა ისეთი მძლავრი საწარმოო კერები, როგორიც არის რუსთავის მეტალურგიული ქარხანა, ქუთაისის საავტომობილო ქარხანა, ელმავალმშენებელი და ბევრი სხვა საწარმო, სადაც ათასობით ტექნიკური დარგის სპეციალისტია დასაქმებული. ყოველივე ამან, ბუნებრივია, გაზარდა მოთხოვნილება ამ დარგის კადრებზე. ალბათ უკვე გასაგებია, თუ რატომ არის, რომ ზემდგომი ორგანოები დიდ ყურადღებას აქცევენ ჩვენი სადგურის საქმიანობას, რის წყალობითაც საქმიანობის ყველა მიმართულებით კოლოსალურ მასშტაბებს მივაღწიეთ. ჩვენს საგამოფენო დარბაზში ნაჩვენებია დიაგრამა, რომელზეც ზრდის მაჩვენებელი ისარი რიცხვებს 38-სა და 40000 აერთიანებს, ეს ნიშნავს, რომ ამ ორმოოცდაათი წლის მანძილზე ნორჩ ტექნიკოსთა კონტიგენტი 38-დან 40000-მდე გაიზარდა!“ ასეთია ციფრობრივი მაჩვენებელი; მაგრამ უკეთ რომ გავერკვეთ სადგურის საქმიანობაში, შევიხედოთ მის ლაბორატორიებსა და კაბინეტებში, გავესაუბროთ აქ მოფუსფუსე ნორჩ ქიმიკოსებს, ფიზიკოსებს, ავია და გემთმოდელისტებს, ელექტრონული ავტომატიკის „სპეციალისტებს“, რაკეტული მოდელირების წრის წევრებს, ნორჩ კოსმონავტებს, ავიაკონსტრუქტორებს, რადიოკონსტრუქტორებს, ფოტომოყვარულებსა და სხვებს...

ვთხოვოთ მათ, გვიამბონ თავიანთ გატაცებაზე, მიღწევებზე, მომავლის გეგმებზე.

ლარისა აბულაძე — თბილისის მე-16 საშ. სკოლის VI კლასის მოსწავლე, რადიომოყვარულთა წრის წევრი:

— მახსოვს, რა გულისფანცქალით ველოდი ჩემს მიერ შესრულებული დავალებების შეფასებას. შეფასება, ისევე, როგორც სკოლაში, აქაც ხუთბალიანია. ბოლოს და ბოლოს, გამიმართლა და საწევრო წიგნაკიც მივიღე.

— რას გვეტყვით თქვენს ტექნიკით გატაცებაზე, სამომავლო გეგმებზე?

— მე მგონია ყოველგვარი გატაცება შინაგან თვისებად იქცევა ადამიანისათვის, დაახლოებით ისეთ გრძნობად, როგორიც არის მშობლების სიყვარული, უფროსის პატივისცემა, მამულიშვილობა და სხვა. მართალია ჩვენი გატაცება შეძენილია, მაგრამ იმდენად ახლობელია, რომ ჩვენგან ყოველდღიურ, ასე ვთქვათ, სასიამოვნო „ხარკს“ ითხოვს. ამაღელვებელია ის წუთები, როცა ეთერში გაგზავნილ ინფორმაციას დამიდასტურებენ ხოლმე. მსოფლიოს რომელი ქვეყნიდან არ მოგვდის საპასუხო ბარათები. ნახეთ ჩვენი კარტოთეკა და დარწმუნდებით, რა ცხოველ საქმიანობას ეწევა ჩვენი კაბინეტი. საპასუხო ბარათები გაფორმების თვალსაზრისით ერთმანეთისაგან მეტად განსხვავებულია. ჩვენ ერთმანეთს ვეჯიბრებით, ვის უფრო ლამაზ ბარათს გამოუგზავნიან... სამომავლო გეგმებზე ის შემიძლია ვთქვა, რომ სერიოზული ჩანაფიქრები მაქვს და თუ იქაც ბედმა გამიღიმა...

კობა ბურნაძე — ცხინვალის პირველი საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლე, რესპუბლიკურ კონკურსში — „ნორჩი ნატურალისტები — სამშობლოს“ გამარჯვებული:



ეს მინიატურული გავშვთა ქალაქებისთვისაა განკუთვნილი, მანქანის საჭეს მისი ერთ-ერთი ავტორი გია ინჯია უზის, მასთან ერთად ამ მოდელის შექმნაზე მუშაობდნენ დათო მეტონიძე, გია და მამუკა როყვები, სოსო ხაჩატურიანი, დათო ტაბატაძე (ხელმძღვანელი — ნ. ინჯია).

— ასეთი კონკურსები ყოველწლიურად ტარდება. ჩემმა ელექტრომაგნიტური დამხარისხებელი მანქანის მოქმედმა მოდელმა საყოველთაო ინტერესი გამოიწვია. აქამდე ასეთი მანქანა არავის წარმოუდგენია კონკურსზე და ამიტომ, ბუნებრივია, ტექნიკურ მონაცემებთან ერთად სიახლის ფაქტორმაც გარკვეული როლი ითამაშა მის შეფასებაში. ამჟამად ეს მოდელი საგამოფენო დარბაზშია ექსპონირებული...

— რაში მდგომარეობს თქვენი მოდელის მთავარი ღირსება?

— ჩემს მანქანას შეუძლია დაახარისხოს ახლად მოწეული სასოფლო-სამეურნეო და ბაღჩეული კულტურების მოსავალი. აქამდე ხილის, კარტოფილის, პამიდვრის, მანდარინისა და სხვა კულტურების დახარისხება უმთავრესად ხელით ხდებოდა, ანდა ქარხანაში უამრავი მუშახელი სჭირდებოდა, ახლა კი შეიძლება ადგილობრივად, მინდორშივე ჩატარდეს ეს ოპერაციები. მანქანას სამი განყოფილება აქვს, ესე იგი, შეუძლია მოგვცეს მაგალითად, კიტრის, კარ-

ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის (ნტცს) საგამოფენო დარბაზში ბევრი საინტერესო, თვალწარმტაცი ექსპონატია.

ტოფილის თუ მანდარინის სამი ხარისხი...

საგამოფენო დარბაზს ამშვენებს ასევე ქუთაისის 31-ე საშ. სკოლის მოსწავლეების ჭაბუკ ბაბუნაშვილისა და რომან ჯაფარიძის მსუბუქი ავტომანქანის შესანიშნავი მოდელი, მოქმედი თვითმფრინავების მოდელები, ნაბიჯმზომი აპარატის მოდელი, დაბალი სიხშირის გამაძლიერებელი ხელსაწყო, დენის გარდამქმნელი, ამიაკის მისაღები კომბინირებული ხელსაწყო, ნავთის შორ მანძილზე გადამტუმბავი ხელსაწყო და მრავალი სხვა. ეს მოდელები იმდენად ორიგინალურნი და საინტერესონი არიან, იმდენად მოხერხებულნი, კომპაქტურნი და მარტივნი, რომ მათი წარმოებაში დანერგვა დღესვე შესაძლებელია... მრავალი ხელსაწყო-იარაღი, რომელთა დეფიციტსაც განიცდიან სკოლების ტექნიკური დარგების კაბინეტები, ბავშვების ხელით არის დამზადებული...

— უთუოდ ჯილდოებიც ექნება თქვენს სადგურს? — ვკითხე სადგურის დირექტორს.

— ბევრი, მაგრამ ამჯერად მხოლოდ უმნიშვნელოვანესებზე მოგახსენებთ, — სადგური დაჯილდოებულია სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის კომიტეტის პირველი ხარისხის საპატიო დიპლომით, თექვსმეტჯერ არის დაჯილდოებული პირველი ხარისხის დიპლომით, სამჯერ მეორე ხარისხისა და სამჯერაც მესამე ხარისხის დიპლომით, ავტომანქანითა და სტაციონალური კინოდანადგარით. ოთხი წრის ხელმძღვანელს აქვს მიღებული ოქროს მედლები, შვიდასამდე ნორჩ ტექნიკოსს — „სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ნორჩი მონაწილის“ მედლები, ფულადი პრემიები. სსრ კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და საკავშირო პროფსაბჭომ ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგური დააჯილდოვეს ლენინის საიუბილეო საპატიო სიგელით...

ჩვენი სადგურის ნორჩი ტექნიკოსები მსოფლიო მასშტაბის ღონისძიებებშიც მონაწილეობენ. ამასწინათ, მონაწილეობა მივიღეთ ამერიკაში ჩატარებულ საბჭოთა ბავშვების ტექნიკური შემოქმედების გამოფენაში და წარმატებაც გვქონდა. მაღალი ჯილდოები დავიმსახურეთ ჰოლანდიაში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და იაპონიაში გამართულ გამოფენებში...

შარშან გამარჯვებულნი გამოვედით სკოლისგარეშე დაწესებულებათა საკავშირო დათვალიერებაში და ფულადი პრემიაც მივიღეთ.

●

ტექნიკურ დარგებს შორის ყველაზე ლამაზი და რომანტიკული სახეობა ავიამოდელიზმიაო, ასე ამბობენ „მფრინავი ხალიჩების“ შემოქმედი ნორჩები. მართალია, კაცობრიობის უძველესი ოცნება სივრცეთა შეჯერებისა უკვე ახდენილია, მაგრამ ჯერ კიდევ რამდენი საიდუმლოა გამოუმზეურებელი, რამდენი შესაძლებლობა იმალება მიღწეულს მიღმა! ადამიანის ცნობისმოყვარეობა კი ლოკატორივით არის მიმართული სიახლეებისაკენ. როგორც ლაინერები სერავენ ცის ლაჟვარდებს და უკან იტოვებენ ხოლმე უკიდეგანო სივრცეებს, ასევე, ადამიანის გონებაც ისწრაფვის, ახალი და ახალი საიდუმლეობანი ამოხსნას და ხალხის სამსახურში ჩააყენოს... ნორჩი ტექნიკოსებიც გრძნობენ, თუ რა მნიშვნელოვანი და საპატიო მისია აკისრიათ და ამიტომაც ბუნებრივია მათი აღტკინება სასტარტო მოედანზე; მშვენიერი დასანახავი არიან ისინი, ყელმოღერილი და თვალებანთებული რომ გასცქერიან ჰაერში მიმქროლავ საკუთარ ნაოცნებარს... ალბათ უზღვავია ამ წუთებში მათი ბედნიერება, მზესავით არის გაკაშკაშებული მათი გონსაწიერი — ოცნება ასრულდა — ლაინერი სივრცეებს შეეჭიდა!... და მართლაც, დღეს თუ არა, ხვალ ხომ ყოველივე რეალობად იქცევა. არც ერთი ავიაკონსტრუქტორი არ ჩამოფრენილა ციდან, ყველამ ეს გზა გაიარა — გზა დამოუკიდებელი მუშაობისა, წვალებისა, შრომისა, ფიქრისა...

ოთიაშვილი კახა, თბილისის 142-ე საშ. სკოლის IX კლასის მოსწავლე— ავიამოდელისტი:

— ოცნება, მთვარე, ცა, ვარსკვლავები განუყოფელი ცნებებია. ცამ და ვარსკვლავებმა თვითმფრინავები შემაყვარა. მოვედი აქ, სადგურში და მჯერა, რომ გამოცდილი ხელმძღვანელების დახმარებით ბევრ რამეს მივაღწევ. პირველი გაფრენები და გამარჯვებები მხოლოდ დასაწყისია... და როგორც ერთ სიმღერაშია ნათქვამი — „ცოვცოველა წყაროთი იწყება ამ ქვეყნად ყველა დიდი მდინარეო...“ ჩვენი სურვილია, დიდი ავიაციაც ამ ჩვენი ჯერ კიდევ გაუბედავი, მაგრამ მოწადინებული ნაბიჯებით დაიწყოს...

●

ზურგის ქარი ვუსურვოთ საქართველოს ნორჩ ტექნიკოსთა 40-ათასიან არმიას თავის სამომავლო ლაშქრობებში.

ფოტო ს. ვართანესოვისა

ნტცს-ის საავიამოდელო ლაბორატორია. ლაბორატორიის გამგე რ. შმადკოვი კლანერის დეტალების დანიშნულებას უხსნის დამწყებ მემოდელეებს.



იაკ-40 რეაქტიული თვითმფრინავის მოდელი — სოხუმელ ნორჩ ტექნიკოსთა ნამუშევარი.



მოხდენილი გარეგნობით მოწონება დაიმსახურა სამგზავრო ხომალდ „ხულაკის“ მოდელმა, რომელიც გათუმელმა გავშვებმა წარმოადგინეს.

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲠᲗᲔᲑᲘ

ამჟამად ბევრ კაპიტალისტურ ქვეყანაში მუშაობს ბავშვთა პიონერული და დემოკრატიული ორგანიზაციები.

ევროპის ქვეყნებში ეს არის: „იუნგე გარდე“ (ავსტრია), ბელგიის პიონერთა კავშირი, იტალიის პიონერთა ასოციაცია, ნორვეგიის „ნორჩ პიონერთა“ კავშირი, ფინეთის პიონერთა დემოკრატიული კავშირი, ორგანიზაცია „საფრანგეთის პიონერები“, ბერლინის თავისუფალი გერმანელი ახალგაზრდობის კავშირების პიონერული ორგანიზაცია, ა. შ. შ. პიონერული ორგანიზაცია და სხვა.

ევროპის კაპიტალისტური ქვეყნების ბავშვთა პიონერული და დემოკრატიული ორგანიზაციებისათვის ბოლო წლები იყო იდეურ-პოლიტიკური და ორგანიზაციული განმტკიცების წლები, ბავშვებზე და მოზარდებზე მათი გავლენის გაძლიერების, მათი ავტორიტეტის ამაღლების წლები. ევროპის მთელი რიგი ქვეყნების ბავშვთა დემოკრატიულმა ორგანიზაციებმა მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანეს თავიანთ პროგრამებსა და წესდებებში. უფრო ზუსტად, კონკრეტულად გამოკვეთეს მიზნები და ამოცანები მოზარდი თაობის აღზრდის საქმეში.

ევროპის ქვეყნების ბავშვთა პიონერული და დემოკრატიული ორგანიზაციები აქტიურად მონაწილეობენ კომუნისტური და მუშათა პარტიების ბრძოლაში სასკოლო განათლების დემოკრატიზაციისათვის, ბავშვებთან სკოლის გარეშე მუშაობის პირობების შექმნისათვის. (სპორტული და სათამაშო მოედნების, საცხოვრებელ მასივებში კლუბებისა და ბავშვთა ოთახების მშენებლობა და მოწყობა. ბავშვებისათვის სახელმწიფოს გამგებლობაში მყოფი სტადიონებით, პარკებით, კლუბებით და სხვა კულტურული ობიექტებით უფასოდ სარგებლობის უფლების მოპოვება და სხვ.).

ბავშვთა და მოზარდთა პიონერული და დემოკრატიული ორგანიზაციები აქტიურად იბრძვიან იმ ლიტერატურის გამოცემისა და გავრცელების, იმ ფილმებისა და ტელეგადაცემების წინააღმდეგ, რომლებიც მავნედ მოქმედებენ მოზარდი თაობის აღზრდაზე. ამ მიზნით ისინი წიგნის მაღაზიების და კინოთეატრების წინ აყენებენ პიონერულ პიკეტებს, რომლებიც მოუწოდებენ დიდებსა და პატარებს არ იყიდონ ასეთი წიგნები და ბოიკოტი გამოუცხადონ კინოფილმებს, რომლებიც ეწევიან სისასტიკის, მკვლელობისა და სექსის პროპაგანდას; გამოდიან ქუჩებში პლაკატებით, მოუწოდებენ უფროსებს დაიცვან მოზარდები იმპერიალისტური პროპაგანდის მასობრივი საშუალებებისაგან, რომლებიც ამახინჯებენ ბავშვის სულს.

იტალიისა და სხვა ქვეყნების პიონერები არაერთხელ ყოფილან არასრულწლოვანთა ექსპლოატაციის წინააღმდეგ, ბავშვთა შრომის, როგორც ყველაზე იაფი მუშახელის გამოყენების წინააღმდეგ მიმართული საპროტესტო მიტინგებისა და დემონსტრაციების ინიციატორები.

კაპიტალისტური ქვეყნების ბავშვთა პიონერული და დემოკრატიული ორგანიზაციები მიზნად ისახავენ მოზარდთა აღზრდას სოციალიზმის იდეების, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, პატრიოტიზმის, ჰუმანიზმის, მეგობრობის სულისკვეთებით; მოზარდებში საზოგადოებრივი აქტიურობის ფორმირებას მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესისათვის მათი ქვეყნის მშრომელებისა და პროგრესული ძალების ბრძოლაში ჩართვის მეშვეობით.

ბავშვთა ეს ორგანიზაციები ეყრდნობიან ახალგაზრდული, ქალთა, პროფკავშირული და სხვა პროგრესული ორგანიზაციების და გაერთიანებების მხარდაჭერას. რაზმები და ჯგუფები ყალიბდება ბავშვების საცხოვრებელი ადგილების მიხედვით; მათ სამუშაო ადგილებს, ჩვეულებრივად, კომუნისტური და მუშათა პარტიები აძლევენ. ამ ორგანიზაციის ჯგუფებისა და რაზმების მუშაობასაც პერიოდულად კომუნისტური და მუშათა პარტიების პრესა აშუქებს.

ბავშვთა ორგანიზაციების საარსებო სახსრების ნაწილია თანხა, რომელსაც ბავშვები გამოიმუშავებენ მაკულატურის, ჯართის ჩაბარებით, ფასიანი კონცერტების მოწყობით, ნაწილი კი კომუნისტური და სხვა პროგრესული საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ გაღებული თანხა.

სახელმწიფო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, მით უმეტეს, კერძო სკოლებში ოფიციალურად აკრძალულია, პიონერული და სხვა დემოკრატიული ბავშვთა ორგანიზაციები. ამ სკოლებში მოსწავლეთა შორის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა წარმოებს ბურჟუაზიული საზოგადოების იდეოლოგიის შესაბამისად.

ამრიგად, კაპიტალისტური წყობილების პირობებში, პიონერული და ბავშვთა დემოკრატიული ორგანიზაციები ვითარდებიან აღზრდის ბურჟუაზიულ სისტემასთან ბრძოლაში.

აფრიკის, აზიის და ლათინური ამერიკის ქვეყნებში პიონერული და დემოკრატიული ბავშვთა ორგანიზაციების შექმნა და განმტკიცება განუყოფლად არის დაკავშირებული ეროვნულ განმათავისუფლებელ მოძრაობასთან.

ეს ორგანიზაციები აქტიურად მონაწილეობენ ეროვნულ მშენებლობაში, კოლონიალიზმისა და ნეოკოლონიალიზმის მძიმე მემკვიდრეობის ლიკვიდაციაში; ეხმარებიან უფროსებს საწარმოების, სკოლების, ბიბლიოთეკების, სარწყავი სისტემების მშენებლობაში, სოფლის მეურნეობის განვითარებაში.

ბავშვები და მოზარდები აღადგენენ და აწყობენ სახალხო სკოლებს, ამზადებენ უბრალო თვალსაჩინო საშუალებებს. ორგანიზაციის აქტივისტები მუშაობას ატარებენ მშობლებთან, განუმარტავენ მათ ბავშვების სკოლებში სიარულის, ცოდნის შეძენის აუცილებლობას; მონაწილეობენ უფროსებს შორის უწიგნურობის ლიკვიდაციაში.

პიონერები დიდ ყურადღებას უთმობენ ეროვნულ კულტურის აღორძინებასა და აყვავებას. პიონერული რაზმები მზრუნველობით კრებენ და იწერენ ხალხურ სიმღერებს, ცეკვებს, ლეგენდებს, რომლებსაც შემდეგ მხატვრულ თვითმოქმედებაში იყენებენ.

საზაფხულო ბანაკებში, წრეებში ბავშვები ამზადებენ ეროვნულ სამკაულებს (მძივებს, ბეჭდებს, სამაჯურებს, საყურეებს), წნავენ კალათებს, კერავენ უბრალო ეროვნულ ფეხსაცმელებს და სხვა და ამ ნივთების გაყიდვით შეგროვილ ფულს ახმარენ სკოლისა და თავინთი ორგანიზაციის საჭიროებებს.

ლათინური ამერიკის ქვეყნებში პიონერული და ბავშვთა დემოკრატიული ორგანიზაციების შექმნა მჭიდროდ არის დაკავშირებული კომუნისტური პარტიისა და მუშათა კლასის ბრძოლასთან ჭეშმარიტი ეროვნული დამოუკიდებლობისათვის იმპერიალიზმის და ოლიგარხიის წინააღმდეგ.

1966 წ. არგენტინაში შეიქმნა პიონერთა კავშირი, რომელმაც მოკლე დროში მოიხვეჭა პოპულარობა და საერთო სახალხო აღიარება.

ურუგვაიში დიდი ავტორიტეტით სარგებლობს 1966 წელს შექმნილი პიონერული ორგანიზაცია „ჩურიჩე“ (ჩურიჩე — პატარა წითელბუმბულიანი ჩიტია, რომელიც მხოლოდ თავისუფლებაში ცხოვრობს).

1972 წ. ფაშისტურ გადატრიალებამდე შეიქმნა ჩილეს პიონერული ორგანიზაცია. ჩილელ მეგობრებს ამ საქმეში დიდი დახმარება გაუწიეს საბჭოთა კავშირის პიონერულმა მუშაკებმა, რომლებიც ამ მიზნით სამი თვე იმყოფებოდნენ ჩილეში.

ბოლო 5-10 წლის მანძილზე პიონერული ორგანიზაციები და რაზმები (ჯგუფები) შეიქმნა კოლუმბიაში, პერუში, კოსტა-რიკაში, ვენესუელაში და ლათინური ამერიკის ბევრ სხვა ქვეყანაში.

უფროსი ამხანაგების — კომუნისტებისა და მუშათა კლასის გვერდით ამ ქვეყნების პიონერული ორგანიზაციები მონაწილეობენ ბრძოლაში ანტიიმპერიალისტური, ანტიოლიგარხიული პროცესების გასაძლიერებლად, ეროვნული სუვერენიტეტის დასაცავად, ბუნებრივი რესურსების ხალხის საკუთრებაში გადასაცემად, უცხოური მონოპოლიის ძალადური გავლენის მოსასპობად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკაკი ჯორჯაძე

მხატვარი ზაურ დეისაძე

ბიჭო-გოგია!..

მოთხრობა

ნეტავ იცოდეთ, როგორ შეიცვალა, რაც მეექვსე კლასში გადავიდა. სულ ცოტა ხნის წინ დილიდან საღამომდე ქუჩაში სირბილით და ხტუნვით თავს აბეზრებდა ყველას; ახლა თითქოს ბევრი რამ აღარ მოსწონს, მარტოდ ყოფნას მიეძალა, მხოლოდ ბოსტან-ბოსტან დახეტიალობს ქვევით, ხევის პირას...

— ბიჭო-გოგია!.. ბიჭო, გოგია!.. ხშირად ისმის ორსართულიანი სახლის აივნიდან შეწუხებული ქალის ყვირილი.

— ბიჭო, გოგია, გეყოფა ჩიტების დევნა და ბარდებში ძრომიალი, ამხანაგები გეძახიან!..

— ბიჭო, გოგია!.. მოდი, გაკვეთილები მოამზადე!..

— ბიჭო, გოგია!.. გაგარეულდა და გაველურდა მთლიანად... არ გესმის, ბიჭო, გოგია!..

როდის-როდის მოვა, დაჯდება და ხმას არავის სცემს; ვერც გაუგებ, აწუხებს რამე, თუ ლაპარაკი გადაავიწყდა მარტოკა ხეტიალში.

მაინც ვერავინ გაიგო, რა დაემართა ასე უცბად. არ ცდილან, თორემ რა ძნელი გასაგებია, მეექვსეკლასელს საკუთარი ფიქრიც აქვს, აზრიც, იქნებ დარდიც, მაგრამ ყველას ისევ პატარა ჰგონია, ისეთი პატარა, რომ რაც არ უნდა უთხრან, კვლავინდებურად ვერაფერს მიხვდება, არაფერი ეწყინებაო.

— რა მოგვიდა, ბიჭო, გოგია, გაიცინე, დაგვანახე შენი ოცრობოკრო კბილები, — არ ეხსნებიან ღობეს მომდგარი უბნის ტოლ-ბიჭები.

— სიმაღლე ჯერ არ ემატება, თორემ დაკაცდა ჩვენი ბიჭო-გოგია, დაკაცდა, — ამბობენ მეზობლები.

„დავკაცდი, აბა რა, დავკაცდი“, ფიქრობს თვითონაც და ამაყობს, რომ ასეთი გახდა. ქუჩაში რატომ უნდა იხეტიალოს?—კარგი ბოსტანი აქვს, დიდი ვენახი. ბოსტანში ლეღვიც უდგას, ქლიავიც, თუთაც, თხილიც; ვენახის ქვემოთ ხევია; ხევის პირას კი ბევრი მაყვალი იცის, ღიჭი, ტყემალი. ცოტა ქვემოთ, პატარა მინდორთან უშველებელი კაკლის ხეებია, გაზაფხულობით გულყვითელა ჩიტი შემოჯდება ხოლმე ზედ და ეძახის იქიდან ყველას გასაგონად: „ბიჭო, გოგია!.. ბიჭო, გოგია!..“ აი, მაშინ შეგახედათ, როგორ ეძალება სახეზე ღიმილი, გულში უხარია რაღაც და თავსაც ბედნიერად თვლის.

ხევს წილიანას ეძახიან. ბიჭო-გოგიამ ვერაფრით გაარკვია, რატომ ჰქვია წილიანა ხევი. ალბათ — პატარაა და იმიტომ. არც წყალი მოდის შიგ; მხოლოდ დიდი წვიმების დროს ვერ მიეკარები ახლოს, უცაბედად მოვარდნილი ნიაღვარი მოგლეჯილ ხეებს, ქვებს მოაგორებს ღრიალ-ღრიალით; ეგეც შენი წილიანაო, ამბობენ სოფლელები.

ხევიდან ხელმარცხნივ, ვენახის ხვრეპსა და ბიჭო-გოგიას ბოსტანს შორის კიდევ ერთი პატარა ბოსტანია, გამხმარი კუნლის ფიჩხით შემოფარგლული, მოუვლელი. ბოსტანის თავში ძველისძველი ერთსართულიანი გრძელი სახლი დგას, კუთხეში ადგილ-ადგილ აგურგამომძვრალი, ფიცრებშემოღლეტილი საჩეხით, ჩაზნექილი ჭერით, ზემოდან ღარიანი კრამიტით გადახურული. გვერდითი კედლის ბოლოში საუბნო გზაზე გასასვლელი ჭიშკარია, ისიც მონგრეული; იქვე რამდენიმე აკაცია დგას; აკაციის გასწვრივ მაყვლის ბარდები, ბავშვებისაგან გადაკორტნილ-გადატრუსული. ღობის ძირას, თითქმის ყველგან დოყა-დოყა ჭინჭარი იზრდება, ეზოში — სამყურა და მატიტელა.

იმ სახლსა და ეზო-ყურეში თურმე მხიარული, სიცოცხლით სავსე ოჯახი ცხოვრობდა: ძროხაც ჰყავდათ, ღორებიც, ქათმებიც, ძაღლიც ურბენდა გარშემო, ბავშვების ჟივილ-ხივილი აყრუებდა მიდამოს. მერე ოჯახის თავკაცი გარდაიცვალა, ბავშვები გაზრდილან, ზოგი გათხოვებულა, ზოგი ომში დაღუპულა, ზოგი ქალაქში გადასახლებულა და არის ახლა სახლში მარტოდმარტო მართა ბებო. სწორედ მასთან თუ მივა ბიჭო-გოგია, წყალს მოუტანს, ცეცხლის დანთებაში მიეხმარება, გაზეთს წაუკითხავს, იშვიათად — წერილსაც, სამაგიეროდ, მართა ბებო უყვება ძველისძველ ამბებს, ზღაპრებს: მონადირეზე და დიდ არწივზე, ხელმწიფეზე და მის ცხრა ვაჟზე, დედის გულზე და რაღაზე არა, ოღონდ გაუჩერდეს, ოღონდ გააჩერონ; დედა ხომ მალ-მალე ეძახის, მოდი, გაკვეთილები მოამზადეო...

დედა ჩია ტანის ქალია, გამხდარი, დალეული; მამა, — მაღალი, ჩამკვრივებული, მხარბეჭიანი. სანამ პატარა იყო, სანამ მართლაც ბევრი

არაფერი გაეგებოდა, მამას ღმერთკაცად თვლიდა. უხაროდა, ის რომ დიდი ჩექმებით აივანზე დააბოტებდა, ან შვილს ჰაერში რომ შეაგდებდა და ჰაერშივე იჭერდა, ან მხარზე საჭმელ-სასმელით და ტყვია-წამლით გაბერილ ზურგჩანთას მოიგდებდა, ორლულიან თოფს ხელს წამოავლებდა და შესძახებდა: აბა, გზა დამილოცეთ, ვეფხვებზე სანადიროდ მივდივარო.

ბიჭო-გოგიას ღამე ესიზმრებოდა, როგორ ხოცავდა მამამისი ვეფხვებს, ლომებს, დათვებს, მგლებს, როგორ უჭირდა გაავებულ მხეცებთან ჭიდილი, მაგრამ მაინც გამარჯვებული გამოდიოდა. გავიდა დრო, წლები მოემატა ბიჭო-გოგიას და მერე და მერე უფრო მეტად უკვირ-, და, რატომ ბრუნდებოდა მამამისი ხშირად ხელცარიელი, რატომ არ მოჰქონდა ნანადირევი, რატომ იყო ბევრჯერ ნასვამი, თითქოს ვიღაცით თუ რაღაცით უკმაყოფილო.

ერთხელაც მამა ისეთი ნასვამი იყო, საკუთარი ძაღლი მოკლა. მერე ბევრს ნანობდა, მაგრამ ბიჭო-გოგიას სწორედ იმ დღიდან გაუგებარი შიში დაეუფლა. რამდენჯერაც ჩაუვლიდა გვერდით კედელზე ჩამოკიდებულ თოფს, იმდენჯერ ტანში ერუანტელი უვლიდა, ეშინოდა ახლოს მისვლისა. ზოგჯერ მოიბუზებოდა თავისთვის და ფანჯრიდან გაჰყურებდა მართა ბაბოს მოძველებულ სახლს. სიბრალულით ივსებოდა, სინათლის სხივს თუ მოჰკრავდა თვალს მის ფანჯრებში გვიან ღამით, ზეპირად იცოდა, მართა ბაბო მერამდენედ კითხულობდა ასო-ასო ქალაქიდან გამოგზავნილ შვილის წერილებს...

●

კიდევ ერთი ახალი წელი დადგა. თებერვალია... თოვლი დნობას იწყებს. ხშირად სისინებს ქარი და ბიჭო-გოგია სულმოუთმენლად ელის თბილი დღეების დადგომას, ველმინდვრების, ხეების ამწვანებას..

გაიღვიძა ერთ დილას, თბილად ჩაიცვა, გამოვიდა აივანზე და რას ხედავს: მამამ მეზობლის ვირზე გადაკიდებული ფქვილით სავსე ტომრები მოიტანა წისქვილიდან. ტომრები მარანში შეიტანა თუ არა, დედამ ცოცხით დაუწყო ბერტყვა, ასე სახლში ვერ შეგიშვებო (ვანო თავიდან ბოლომდე მეწისქვილესავით ფქვილში იყო ამოგანგლული).

— მოიცა, დედაკაცო, გეყოფა, — არ სიამოვნებს ვანოს დიდხანს ცოცხით ბერტყვა, — მგელი შეგჭამსო, იტყვიან, გეყოფა-მეთქი.

— ნეტამც, ნეტამც, — გაუბრაზებლად ამბობს თამარი.

ბიჭო-გოგიას ეღიმება, თან მიდამოს ათვალიერებს. აგერ მართა ბაბოს სახლიც, საჩეხთან ვიღაც გოგოს მოჰკრავს თვალს, ალბათ ის არისო, გულში გაიფიქრებს და მოუსვენრობა შეიპყრობს. აივნის ქვევიდან კი კვლავ ესმის:

— გაზაფხული მოდის და ნადირობის დროც ახლა დგება, რომ იცოდე! — ამას მამა ამბობს.

— ვითომც ვენახის გასხვლა გეფიქროს. სარი და ჭიგო გასასწორებელია, მავთული დასაჭიმია, შეყელვა უნდა, მოხვნა; ბოსტანიც დასაბარია.

— სულ გააუქნარე ის ბიჭი, ბოსტანს მაინც ვერ დაბარავს?

— ბარისოდენა არაა, მაგის ბარვა ჯერ ვინ გაიგონა, ვერა ხედავ, როგორი სუსტია? — პასუხობს დედა...

„არა ვარ მე სუსტი, არა ვარ სუსტი...“ — წამოდგება ბიჭო-გოგია, ამაყად ჩაივლის საფეხურებს, გვერდით გაუვლის მშობლებს, საჩეხიდან ბარს გამოიტანს. ძალიანაც უნდა მართა ბაბოსთან იმ პატარა გოგოს ნახვა, მაგრამ დღეს არსად არ წავა, მთელ დღეს უნდა მხოლოდ ბაროს და ბაროს...

დედა ვიშვიშით დაედევნება უკან. ვანო ცოლს შეაჩერებს, თავი დაანებეო. ბიჭო-გოგიას კი მხარზე გაუდევს ბარი, თოვლში მიალაჯუნებს კაცივით...

ვანო ვენახში წავიდა. თამრომ თონე გაახურა, ლავაშები და გრძელგრძელი შოთები ამოალაგა, ხახალზე გაშალა. სანამ ცხელი იყო, ლავაშში ორი შოთი გაახვია, ბიჭო-გოგიას მართა ბაბოსთან გაატანა: ქალაქელები ჩამოვიდნენ, რაღაცებს კი ჩამოუტანდნენ, მაგრამ ჩვენგან ესიამოვნებაო.

საუბნო გზით არ წავა ბიჭო-გოგია, კუნლის გამხმარ ფიჩხებში თავისივე გაკეთებულ ხვრელში გაძვრება, გაბობღდება და ისე მიადგება მართა ბაბოს სახლს. საჩეხთან ისევ ის გოგო დგას. დილით აივნიდან რომ დალანდა, გუნდას წურავს, თითებიდან წყალი წურწურით ჩამოსდის. „არა სცივა?“ — გაიფიქრებს მხოლოდ, არ მიესალმება.

გოგონას თხლად აცვია, თავზეც არაფერი ახურავს. თეთრი კაბა, თეთრი რეიტუზი და ქერა თმა... და საოცრად მოლივლივე, ცისფერი თვალები... სხვას ვერაფერს შეამჩნევს ბიჭი უცბად, გვერდით გაუვლის, მართა ბაბოსთან შევა ოთახში.

— მოდი, ბიჭო-გოგია, მოდი, — მოფერებით შეიპატიჟებს მართა ბაბო, პურებს და ლავაშს ჩამოართმევს, რამდენჯერმე დაყნოსავს. — მაია!.. — გასძახებს. — ჩემი ყველაზე პატარა შვილიშვილი უნდა გაგაცნო. თუმცა შენც იცნობ წერილებით, მაია.

— მე წავალ, — მორცხვად ამოლუღლუღებს ბიჭო-გოგია. — დედა მარტოა და მიხმარება უნდა.

— მოიცა, — შეაჩერებს მართა ბაბო. — ეს კამფეტები გამომართვი... წუხელის ჩამომივიდნენ, მაია დამიტოვეს და წუხელისვე წავიდნენ, სასწრაფო საქმე გვაქვსო; ხომ იცი, რა სამუშაოც აქვს ჩემს გიორგის. ერთ თვეში ჩამოვალთ და ყველას ერთად წაგიყვანთო...

— შენც, მართა ბაბო? — გულისცემა აუჩქარდება ბიჭო-გოგიას, მართა ბაბო კი უწყობს და უწყობს ქუთუკის ჯიბეში კამფეტებს.

— ეჰ, რა ვიცი, შვილო, მე ვინღა მეკითხება. ახალგაზრდები არიან, რასაც უნდათ, იმას იზამენ... მაიაა მოწყენილი; თან კაკაბი ჩამოიყვანა, მაგრამ მაინც მოწყენილია. იქნებ ეთამაშო და გაართო. მაია!..

„ნეტავ რას ფიქრობს თვითონ მაია?.. მაია ლამაზია, ლამაზებს კი მხოლოდ საკუთარი თავი მოსწონთ. იქნებ სჯობია, შევბრუნდე და მოვკურცხლო, მაგრამ თუ მოწყენილია?..“

მაია შემოდის. ბიჭო-გოგიამ ახლა შეამჩნია, როგორ შემოუარა გოგონამ კოჭლობით მაგიდას, შოთებთან გაჩერდა.

— ბიჭო-გოგიამ მოგიტანა, შვილო, მოიტეხე. იცი ვინ არის ბიჭოგოგია? შენს წერილებსაც ეს მიკითხავს, საქმეშიც კაცივით მეხმარება. — ხელს მოხვევს მართა ბაბო მაიას, ბიჭო-გოგიასთან მიიყვანს. — ასე ამბობს, ჩვენთან წამოვიდეს თონეზე, ნახოს სოფელში პურს როგორ აცხობენო. აბა, გაიცანით ერთმანეთი.

მაია ხელს უწვდის. ბიჭო-გოგიას თავი ვერ აუწევია მაღლა, ვერ გაუბედავს თვალებში შეხედვა, გული საშინლად უცემს, რაღაც მოუთმენლობა ყელში ებჯინება, თითებს გაშლის მხოლოდ და გადმობრუნებულ ხელებს დაანახვებს.

— უი, მომიკვდეს თავი, — წამოიძახებს მართა ბაბო, გაუსინჯავს ბებერებ-დამსკდარ, ჩასისხლიანებულ ხელისგულებს, შებრუნდება და მეორე ოთახში საშინაო ჩუსტებით გაფაჩუნდება, — ახლავე მალამოს გამოგიტან.

— რაზე მოგვიდა? — მოულოდნელად ჰკითხავს მაია დიდი ხნის ნაცნობივით.

ბიჭო-გოგიას საამოდ მოესმება მისი ნათქვამი ყოველი სიტყვა, პირზე ღიმილი მოადგება.

— არაფერია, თავიდან ასე იცის.

— რას აკეთებდი? — კვლავ საამოდ ჰკითხავს.

— ვბარავდი, — მთლად გაებადრება სახე ბიჭო-გოგიას, — წყალი ჩამიდგა, მერე გასკდა; აქ კი გავიჭერი.

— უნდა დაგებანა და შეგეხვია, ინფექცია რომ შეგეჭრას?

— ინფექცია? — გაეცინა. — რო შემეხვია, დედა გაიგებდა. დაბანით კი დავიბანე, მაგრამ მაინც გამოვიდა წყალი და სისხლი.

— ოო, არ გეწვება?

— არა! — ისე ამაყად იტყვის, თვითონვე გაუკვირდება, რატომ ატყუებს უცნობ გოგონას.

მართა ბაბო მალამოს გამოიტანს. მაიას დახმარებით ჯერ სისხლს მოწმენდენ, მერე მალამოს წაუსვამენ დიდი სიფრთხილით, რადგან, რამდენჯერაც შიშველ ხორცს შეეხებიან, ბიჭი მთელი ტანით ტოკავს, იძაგრება, მაიას კი არ უნდა, რომ ტკივილი მიაყენოს.

— ალბათ ჩემს კაკაბსაც ასე სტკივა, არა, მართა ბაბო? — წუხს მაია.

— ყველა ცოცხალმა იცის ტკივილი, შვილო, — წუხს მართა ბაბოც. ბიჭო-გოგიას კი უხარია რაღაც...

— კაკაბი ჩამოიყვანაო; მართლა გყავს კაკაბი? — გულაფფორიაქებით ეკითხება გოგონას, თან კუთხე-კუნჭულს თვალით ზომავს, რატომ ვერ ვხედავო, უკვირს.

— წამოდი, წამოდი, გაჩვენებ, — ხელს ჰკიდებს მაია და მეორე ოთახში გაჰყავს, სადაც უშველებელ გალიაში თვალებბრიალა, აქოჩრილი, მაგრამ ფრთაჩამოვარდნილი კაკაბი დაბაჯბაჯებს.

რა მოხდა, რომ სოფლელი ბიჭია? — კაკაბი ჯერ არ უნახავს. უკვირს, რამოდენა ყოფილა; ისიც უკვირს, რატომ აქვს პატარა თათები, ხშირი ბუმბულით დაფარული, გრძელი ბრჭყალები, რომლებიც თურმე ზამთრობით თვრამეტ-ოც მილიმეტრამდე ეზრდება, ზაფხულობით კი სამი-ხუთი მილიმეტრით უმოკლდება, და კიდევ ბევრი რამ, რაც არ იცოდა და მაია უხსნის. ისიც უკვირდა, როგორ ეცვლებოდა მაიას თვალების ფერი, რა ხალისით უხსნიდა და როგორ სიამოვნებდა, როცა იმ საცოდავ კაკაბს ხელს შეახებდა, ის კი ჩანისკარტებას დაუპირებდა.

— ახლა იცის, რომ ვმკურნალობ, თორემ, თუ გამიმეტა, ხორცს ამომაგლეჯს. განსაკუთრებით მამალმა კაკბებმა იციან გაავება; გაზაფხულობით, როცა საქორწინო დრო უდგებათ, თავის საცოლეებს ეწონებიან და ახლოს არ გაიკარებენ სხვას. თუ უცხო გამოჩნდა, ჩხუბზე გადადიან.

— მერე, როდემდის ჩხუბობენ? — გაოცებით კითხულობს ბიჭო-გოგია და მაიაც ხალისიანად უპასუხებს:

— სანამ არ გააგდებენ, ბიჭო, ვერ უნდა მიხვდე?..

იმ დღიდან ბიჭო-გოგია მეგობარს გაიჩენს, უბრალო ნაცნობს კი არა, ნამდვილ მეგობარს, რომელსაც არც მისი დაჭორფლილი ცხვირ-პირი აკვირვებს, არც სიგამხდრე, არც ტანმორჩილობა. გოგონა ხალისით ესაუბრება, გუნდაობით კი არ ეგუნდავება—ახალი ნაოპერაციები აქვს ფეხი. სულ ერთი კვირის წინათ შეუხსნიათ თაბაშირი.

ბიჭო-გოგიას ბრაზი მოსდის, რატომ გრძელდება ცუდი ამინდები, რატომ დროულად არ გამწვანდება ველ-მინდვრები, რატომ არ იწყებენ ხეები ყვავილობას, რატომ არ ამოიწვერებიან კვირტები და არ დასკდებიან; მაშინ ხომ მაიასაც შეეძლება უკვე ეზოში, ბოსტანში, ხევის პირას სიარული; თვითონაც გაუჩნდება სათქმელი, მოსაყოლი, ასახსნელი; რომელი რა ხეა, როგორ უნდა განასხვავოს ერთი მეორისაგან კვირტების, ყვავილების, ფოთლების მიხედვით. მაია პირველად არის სოფელში და ბევრი არაფერი იცის კაკბის გარდა. თუმცა რა გასამტყუნია — ქალაქში დაიბადა, მერე საზღვარგარეთ ჰყავდათ მშობლებს წაყვანილი, მერე — სადღაც ციმბირში, ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაზე; მისი მამა ხომ ცნობილი მშენებელი ინჟინერია და, სადაც მიდის სამუშაოდ, ცოლ-შვილიც თან მიჰყავს. მაიას ბევრი ქვეყანა აქვს ნანახი, ბევრი ქალაქი, ბიჭო-გოგია კი თავის სოფელს არ გასცილებია. ამიტომ მაიას ბევრი მოსაყოლიც აქვს, ბიჭო-გოგიას კი — მოსასმენი. მაგრამ მალე დადგება თბილი ამინდები, გავლენ გარეთ და ესეც გააკვირვებს მშობლიური ბუნების, ველ-მინდვრების, ბალახების, ყვავილების, ხეების, ჩიტების ცოდნით; ოღონდ მალე დადგეს თბილი ამინდები, ოღონდ მაიას შეეძლოს თავისუფლად სიარული...

მაია ორი წლით უმცროსია ბიჭო-გოგიაზე; გამხდარია, მაგრამ უფრო მაღალია. ბიჭო გოგია ამიტომ ყოველთვის ცდილობს ამაღლებულ ადგილზე თვითონ დადგეს, დაბალზე — მაია. არ უნდა, გოგოსთან შედარებით დაბალი გამოჩნდეს, ხანდახან თითის წვერებზეც კი დადის, ვითომ შეუმჩნევლად, მაგრამ მაია ეშმაკი გოგოა, ყველაფერს ამჩნევს, ყველაფერს ხვდება; თქმით კი არაფერს ეუბნება, მხოლოდ კაკბის ცხოვრებაზე უყვება და უყვება:

— აი, სწორედ ამ დროს, თოვლის დნობის დროს აქვთ კაკბებს ქორწილი. მამლები თავს მაღლა ასწევენ, ბოლოს შლიან და ყვირიან: „ერრ-ერ-ერ-ერ...“ ეს ხმა ასეთ შეძახილში გადადის: „კაბაო-კაბაო-კაბაო...“ დედალი კაკბები კი წყნარად უპასუხებენ: „მია... მია... მია...“ უცნაურია, არა?

— ჰო, უცნაურია!

მაია აგრძელებს:

— საქორწინო თამაშების დროს, ამაღლებულ ადგილზე უყვართ ჯდომა ან ქვაზე, ან ხეზე, საიდანაც ყველაფერი კარგად ჩანს; მაღლიდან როცა იყურებიან, უფრო ამაყები არიან...

და დაეშვება ბიჭო-გოგია თითის წვერებიდან. თავს ჩაღუნავს დამნაშავესავით, მალე მამა მოვაო, იტყვის და... ისევ მოწყენილი მიუჯდება სასწავლო წიგნებს; თან დარდობს, რატომ სწყინს ყველაფერი ასე მალე, რატომ იჩქარა წამოსვლა.

„არა, მაია ცუდი გოგო არ არის. პატარაა მხოლოდ. სოფლური კილო გადაედო მალე: ჩვენსავით რომ-ის მაგივრად რო-ს ამბობს. საყვარელი გოგოა, მაგრამ ეშმაკიც როა?.. ჩვენი გოგოები, რა, ნაკლებნი არიან? სიეშმაკე ამათი ნახე ერთი!..

— გოგოებო, გოგოებო, ბიჭო-გოგიას შეხედეთ, როგორ კოხტად გამოწყობილა!..

— მართლა, შეხედეთ, როგორ უფრთხილდება, პერანგი არ გამეჭუჭყოსო; როგორ იბერტყავს შარვალს!..

— სწავლასაც რო მოუმატა?!.

— რა მოგვიდა, ბიჭო-გოგია, ჩვენც გვითხარი, რა!..

— შეყვარებულია, ბიჭო-გოგია, ნამდვილად შეყვარებულია... —აღარ ეხსნებიან თანაკლასელები.

— ეგეც თქვენ! — ნიშნის მოგებით მიახლის ყველას და, სკოლიდან დაბრუნდება თუ არა, წესიერად არც კი დანაყრდება, მარანში შეიპარება, ჯიბეებს დაიტენის ხორბლით, კაკაბისთვის, თან ვაშლსაც გააყოლებს, მსხალსაც, ბროწეულსაც, იქნებ ჩურჩხელასაც — თუ თავღია სკივრი მოახელთა, და გამხმარი კუნლის ღობეში გაძვრება, გაბობღდება, რომ საჩეხთან მდგარ მაიასთან დროულად მივიდეს, ხორბალიც, ხილიც მაგიდაზე ამოუყაროს ჯიბეებიდან.

მაია ხელისგულებს გაუსინჯავს; გირჩებაო, — ეტყვის და მერე ხალისით აცნობებს, ჩვენს კაკაბსაც ურჩებაო ფრთა. უშველებელ გალიას შუა ოთახში გადმოდგამენ, ხორბალს დაუყრიან, გარშემო უტრიალებენ და კაკაბიც ტრიალებს მათთან ერთად, იფხორება, ქოჩორს იწეწავს, თვალებს აბრიალებს, თითქოს თავს აწონებსო პატარა მეგობრებს.

— სულ რომ მოურჩება, რა უნდა უყო? — ეკითხება ბიჭო-გოგია, — ასე გალიაში უნდა გვყავდეს, თუ გაუშვებ?

— არსადაც არ გავუშვებ! — შეკრთება მაია, — სულ ჩემთან მეყოლება, არსადაც არ გავუშვებ.

— მერე, ცოდო არაა?

— რატომ? ვაჭმევ, ვასმევ, მოვუვლი, მოვეფერები. განა მე არ ვიქნები ცოდო?

— ალბათ, ჰო, ალბათ, მაგრამ გალიაში ჯდომას თავისუფლად ყოფნა ურჩევია მაინც.

— არ ვიცი, ბიჭო-გოგია, არ ვიცი. უამისოდ ბევრს ვიდარდებ; უშენოდაც ვიდარდებ, მაგრამ მამას ვთხოვ, ჩამომიყვანოს ხოლმე. კაკაბი კი ჯერ ჩემთან იქნება...

— მე, მე რაღა დამრჩება შენგან?

— ჩემგან? — ჩაფიქრდება მაია, მიიხედ-მოიხედავს, ტუჩებს დაიკვნეტს, მერე თავის პატარა ხელჩანთას გადმოქექავს, ლამაზ კალმისტარს ამოიღებს და მისცემს, — აიღე.

— გმადლობ, მაია, გმადლობ! — უხარია ბიჭო-გოგიას და ლოგინშიც კი იმ კალმისტართან ერთად წვება, მასთან ერთად იძინებს...

ბოლო ორ დღეს მზიან ამინდს დაიჭერს, თოვლი სწრაფად იწყებს დნობას, აქა-იქ ამოიწვერება ბალახის ხასხასა მწვანე ღერები.

ხევის პირას წრიპინებენ წანწკარები და ღობემძვრალები, ნისკარტებით თივის ღერებს დააფრიალებენ ბეღურები. სულ მალე კაკლის ხეს შემოაჯდება გულყვიფელა ჩიტი და მთელ ხევისპირს გადაურბენს მისი გამძახილი: „ბიჭო-გოგია!.. ბიჭო-გოგია!..“

კვირა დღე გათენდა...

ბიჭო-გოგია როცა ადგება, მშობლებს ვერსად ნახავს, ალბათ ბაზარში წავიდოდნენო, იფიქრებს; დაიბანს, დაივარცხნის, ახალნაყიდი ბამბაზიის პერანგის უბესთან, ღილკილოში მაიას ნაჩუქარ კალმისტარს გაირჭობს და მართა ბაბოს სახლისკენ წავა.

როგორც ყოველთვის, მაია უკვე საჩეხთან ელოდება, მერე შევლენ და გალიას გარეთ გამოათრევენ. გამოტანისას გალიას ერთი მხრიდან ხმელი ჩხირები შეატყდება, მაგრამ იფიქრებენ, არაფერი უჭირსო და დამშვიდდებიან.

— მაია, ხომ აღარ გტკივა ფეხი, ხომ შეგიძლია ხევამდე ჩამოსვლა?

— შემიძლია, შემიძლია, რატომ არ შემიძლია, — უპასუხებს სიცილით მაია და ბავშვების მხიარული კისკისი საამოდ ეფინება ხევისპირს...

მზის სხივებზე გალაღდა კაკაბიც, მოუსვენრად აწრიალდა, აკუტკუტდა, ინდაურივით გაიფხორა, ნისკარტით შეეთამაშა დამტვრეულ ღერებს.

ხელიხელჩაკიდებული მაია და ბიჭო-გოგია ბოსტანზე გავლით მიჰყვებიან თოვლისა და მზისაგან დამბალ, აფუებულ ბილიკს, უჭირთ, ფეხი ეფლობათ, მაგრამ მალე ჩადიან კაკლებთან, პატარა მინდორთან ტალახს იმორებენ, მერე ხევს დაუყვებიან ქვევით-ქვევით.

მიწას ორთქლი ასდის და ჰაერში იფანტება. ჰაერი სუფთაა, საამო სურნელით გაჟღენთილი; ხევის პირს ეკლიანი ბარდებია, მაგრამ მათ ძიში უკვე აყვავებულან გაზაფხულის პირველი მახარობლები.

— ეს ენძელაა, ეს ზაფრანა, — ხალისით ყვება ბიჭო-გოგია, — მიწიდან პირდაპირ იციან თავის ამოყოფა, უფოთლოდ: რამდენიმე დღის შემდეგ ამათ მოსდევს მბრწყინავი, ოქროსფერთმიანი ჩიტისთავა. მხოლოდ ღრუბლები არ უყვართ, მაშინვე იმალებიან, ფოთლები ეხურებათ, ყვავილის შიგნით ექცევა ბუტკო დინგით და მტვრიანებით...

— რატომ, ბიჭო-გოგია, რატომ აკეთებენ ასე? — კითხულობს გაოცებული მაია.

— სიცივეს აფარებენ თავს. მზეზე ისევ იშლებიან და ლამაზდებიან.

— უი! — შეჰკივლებს მაია. —რაღაც გასრიალდა, გველი ხომ არ გამოგვიდგება?

— ნუ გეშინია, გოგო, — ღიმილით მიუგებს ბიჭო-გოგია, — ამ დროს გველს რა უნდა. წანწკარაა, ღობეში ძრომიალი უყვარს.

— რა გულადი ხარ, ბიჭო-გოგია, — სახე გაებადრება მაიას. — სოფლელ ბიჭებს არაფრის ეშინიათო; შენც ასეთი ყოფილხარ. ხომ შენც ასეთი ხარ?

„ეჰ, რა იცი შენ, ქალაქელო გოგო, ამ სოფლელ ბიჭს როგორ ეშინია სიბნელის. სიბნელისა და თოფის. თოფის გვერდით გავლისას ტანში ჟრუანტელი მივლის, ღამე კი ცა და დედამიწა რომ ინგრეოდეს, აივანზე ვერ გამომიყვან... არა, აივანზე გამოვალ, მაგრამ სახლს იქით ერთ ნაბიჯსაც ვერ გადავადგამ...“

მაიას მალე უწყნარდება გული და ისევ ხალისით ეკითხება:

— უფრო შიგნით, ბუჩქის ქვეშ რომ ჩანან, იმათ რაღა ჰქვიათ?

— თოვლის გვერდით რო არიან? — აკვირდება ბიჭო გოგია. — ცხენის-კბილას და ცისთვალას ვეძახით. ეგენიც გაზაფხულის პირველი სტუმრები არიან, მაგრამ ენძელასავით სიცივეში არ ქრებიან. არა, მაგათაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეშინიათ, მაგრამ ისე არა, — უფრო გულადები არიან.

— ყველაზე პირველად ენძელა და ზაფრანა ამოდიან, ესე იგი ენძელა და ზაფრანა გაზაფხულის პირველი ყვავილებია, არა?

—უფრო თბილი ამინდები რო ყოფილიყო, ამათზე ადრე ყოჩივარდა ამოვიდოდა.

— ყოჩივარდა როგორიღაა?

— როგორია და მარჯნისფერია, სუსტი, ნაზი, პატარა ყვავილია...

სიტყვას თოფის გრიალი აწყვეტინებს. დაფრთხებიან ჩიტები ბარდებში, აკრიახდებიან ქათმები ეზოებში, შეიყეფენ აქა-იქ ძაღლები, შეუფრთხიალდებათ გული ბავშვებსაც.

„ვაიმე!“ — რაღაც წინათგრძნობა ჩვეულ შიშს მოჰგვრის ბიჭო-გოგიას; თოფის ხმა ხომ ბოსტნიდან მოესმა, მართა ბაბოს ბოსტნიდან კი არა, თავისი ბოსტნიდან!..

— ბიჭო-გოგია, თითქოს ჩვენ გვესროლესო... წავიდეთ რა სახლში!

— ჰო, წავიდეთ. შავი ღრუბლები მოიწევენ მთიდან: მთაში დიდი წვიმა ჩანს და აქაც მალე მოგვადგება; აგერ, ხევში წყალმა იწყო დინება...

შეუყვებიან პატარა აღმართს. ბიჭო-გოგიას შუბლი შეკრული აქვს და გული ძალუმად უფანცქალებს, მაინც უფრო უჭირს სიარული, უფრთხილდება ფეხს...

როგორც იქნა, ამოდიან. მაშინვე გალიას მიაშურებენ, მაგრამ... გალიაში კაკაბი აღარ არის. იქვე დგას მართა ბაბო დაღვრემილი სახით, ბავშვების შეხედვას ერიდება.

— მართა ბაბო, რა იქნა ჩემი კაკაბი? — სახტად დარჩენილი მაია ხან გალიას მისჩერებია, ხან თავის ბაბოს, ხან ბიჭო-გოგიას და ახლა შეშფოთებით ეკითხება:—რა იქნა-მეთქი ჩემი კაკაბი?

— მე გავუშვი, შვილო, ასეა საჭირო. გალიაში დამწყვდეული ფრინველი ყოველთვის იწყევლება. ჰოდა, იმიტომ გავუშვი...

— რატომ გაუშვი, რატომ!.. —ატირდება მაია, ცრემლები ღვარად ჩამოსდის ლოყებზე. — ჩემი კაკაბი მინდა, ჩემი კაკაბი!..

— კარგი, ნუ ტირი, გაჩერდი, — ამშვიდებს მართა ბაბო მაიას, მაგრამ ბიჭო-გოგია სხვა რაღაცას გრძნობს, მართა ბაბოს თვალებში უცნობი წუხილი ჩანს, ატყუებს ალბათ, რაღაც სხვა იცის და ატყუებს.

შებრუნდება და მოჰკურცხლავს ბიჭო-გოგია შინისკენ. მასაც თვალებზე ცრემლები მოსდგომია, გული ამოვარდნაზე აქვს, გზად დედას გადაეყრება და ისიც თვალებს არიდებს; მამა არ ჩანს...

●

ესეც გაზაფხული!..

გველებივით იკლაკნებიან ცის თაღზე ცეცხლის ენები. შავ ღრუბელთა ლაშქარი სწრაფად წვება მიწის პირზე; გრუხუნი და გრიალი აყრუებს არემარეს; წვიმის წვეთებს ქარი სეტყვასავით ახეთქებს თუნუქის სახურავებზე, ღარიან კრამიტებზე, ფანჯრის მინებზე...

„ისეთი კეთილი მამა მყავს, ეს კაკაბიც იმან მომიყვანა, გალიაც გამიკეთა, რასაც ვთხოვ, ყველაფერს მისრულებს. შენ რატომ გყავს რაღაცნაირი მამა?..“

„ისეთი არაა მამაჩემი, მაია, შენ როგორიც გგონია: დედა უყვარს, მე... რასაც ვთხოვ, ყველაფერს ყიდულობს, მეც ყველაფერს მისრულებს...“

„რო იტყვი ხოლმე, მამა მოვიდოდა, უნდა წავიდეო?! გეშინია და იმიტომ, არა?..“

— „არ დამიჯერო, მაია, არავინ არ მიკრძალავს შენთან ყოფნას; არც სხვა რამეს მიკრძალავენ. მე თვითონ ვარ ასეთი, მე თვითონ...“

„მაინც როგორი?.. არა, მაინც როგორი?..“

„ჭორფლიანი, ოკრობოკრო კბილებიანი, დიდყურა, დაბალი, სუსტი, მშიშარა... იცი, როგორ მეშინია თოფის და სიბნელის? ბრაზიც მომდის, ვნაღვლობ, მაგრამ... მამაჩემი კი, ხომ ხედავ, რამოდენაა; ისიც ბრაზობს, ვის დაემსგავსა ასეთი მშიშარა, როდის უნდა გახდეს ნამდვილი ვაჟკაცი“...

„მამაშენმა მოკლა ჩემი კაკაბი!..“

— „არა, მაია, მამაჩემს უყვარს ნადირობა, მაგრამ...“

„მაგრამ, მაინც მამაშენმა მოკლა

ჩემი კაკაბი!.. შე მშიშარა შენა, — მამაშენმა მოკლა ჩემი კაკაბი!..“

ბიჭო-გოგია მარტო მიმჯდარა თავისთვის ოთახში და მთელი სხეულით კანკალებს. არა, არ სცივა, თითქოს აღარც ეშინია, ტირის და იმიტომ კანკალებს; ცრემლები არ მოსდის, თორემ ნამდვილად ტირის, გულიანად, ნიკაპიც იმიტომ უკანკალებს და ოკრობოკრო კბილებს კაწკაწი გაუდით.

„კი მაგრამ, აქამდის სად არის მამაჩემი?.. დილიდანვე არ ჩანდა სახლში. იქნებ ტყუილად მგონია, რომ იმან მოკლა მაიას კაკაბი?..“

ქვევით გაიხედავს. ძველისძველი სახლის ფანჯრები ისევ განათებულია. ტირის მაია, დაძინება არ უნდა; ვინ იცის, იქნებ სიცხე მისცა და მართა ბაბო ლოგინთან უზის, ცდილობს დაარწმუნოს, რომ არაფერია, კიდევ მოუყვანს მამა სხვა კაკაბს, მაგრამ მაიას აღარ ესმის მისი სიტყვები, ბიჭო-გოგიასავით მთელი ტანით ძაგძაგებს, ოფლში იწურება, კაკაბი, ჩემი კაკაბი, — აბოდებს გონდაკარგულს.

მერე თითქოს ყველაფერი ბურუსში იძირება; გრუხუნი, წვიმის ტყაპუნი გაბმულ შუილში გადადის. ძილი იტაცებს ბიჭო-გოგიას. უცებ თვალებს აჭყეტს. ნაცნობი ბრახუნი გამოაფხიზლებს: მეორე ოთახში მამა შემობრაგუნდა თავისი უშველებელი ჩექმებით. დედა რაღაცას ეკითხება, თან იატაკს წმენდს.

— რაო, არ შეგპირდნენ მაინც?

— ხვალ მოგიყვანთო, აუცილებლად მოგიყვანთო.

— დაიხოცნენ ბავშვები დარდით...

გაიელვებს და გრუხუნი შეაზანზარებს ფანჯრებს. წამიერად გამოჩნდება ბიჭო-გოგიას დაჭყეტილი თვალები, დაცქვეტილი ყურები. მეორე ოთახში ძლივს გასაგონი ხმით კამათობენ:

— გემრიელი იყო, არა? ხომ ამოიყორეთ მუცლები!..

— რა ვიცოდი, ქალო, აბა, რა ვიცოდი. მე მეგონა, რომ...

„ალბათ, ალბათ... არ იცოდა. რა თქმა უნდა, არ იცოდა... თოფია ყველაფერში დამნაშავე, თოფი!.. თოფი რომ არ ყოფილიყო, ხომ იქნებოდა მაიას კაკაბი ცოცხალი?.. ჩვენი ძაღლიც იქნებოდა ახლა ცოცხალი და არც მე ვიქნებოდი ასეთი მშიშარა...“

ჯერ ისევ აკანკალებს, მაგრამ მაინც ადგება, წინდებს ჩაიცმევს, კარებს გამოაღებს. ვერაფერს დაინახავს, შავ წყვდიადშია ჩაძირული ყველაფერი. ალბათ ჯოჯოხეთიც ასეთიაო, — ფიქრობს, მხოლოდ მამის ხვრინვა შერწყმია საერთო ბუბუნს.

„ხვალ წაიყვანენ მაიას; წავა და აღარასოდეს იფიქრებს სოფელში ჩამოსვლას. ბიჭო-გოგიას ბრალიაო, იტყვის, მართლა მხდალი ყოფილაო ბიჭო-გოგია, მშიშარა, მშიშარა, მშიშარა...“

გაბედავს და გადადგამს ნაბიჯს. გვერდით ჩაუვლის მშობლების საწოლს, აივანზე გავა. იქიდან მამის საკუჭნაო ოთახს მიადგება. გზად სკამს წამოედება, იატაკზე ბრახუნით ეცემა სკამი; ისევ შეეკვრება ბიჭს სუნთქვა შიშისგან, მაგრამ თვით ბუნება ისე ხმაურობს და გრიალებს, არავის ესმის სხვა რამ ხმაური.

ტყუილად უსვა კედელზე ხელები, მაგიდის ქვეშაც შეძვრა, კუთხეკუნჭული მოათვალიერა; მერე კიბე ჩაირბინა, მარანში შევიდა, ორი ნაბიჯი არ ექნებოდა გადადგმული, კვლავ წამოედო რაღაცას, ახლა თვითონ დავარდა ქვევრებთან. როცა ასანთს გაჰკრა, დაინახა, რომ მამის ზურგჩანთაზე წევს, გვერდით, კედელთან კი თოფია მიყუდებული...

„ტყვიები შიგ იქნება ჩადებული. ასე იცის დატოვება. მხოლოდ ჩახმახს შევაყენებ ფეხზე, სასხლეტზე გამოუსვამ თითს და... არა, არ მეშინია, არ მეშინია... არ მეშინია...“

თოფით ხელში, ზურგზე ჩანთამოკიდებული ერთხანს აივნის ქვეშ იდგა. ვერ გადაეწყვიტა ნაბიჯის გადადგმა, საშინელი სიბნელე შემოჭკროდა გარშემო, ერთი ნათურაც არსად ანათებდა; ქარი პირისახეში სცემდა წვიმის ცივ წვეთებს, ნახევრად შიშველს კვლავ უძაგძაგებდა კბილები, თავისდაუნებურად თვალებიდან ცრემლი მოსდიოდა...

„გაიცინე, გაიცინე და კიდევ დაგვანახე შენი ოკრობოკრო კბილები!..“

„სწავლასაც რო მოუმატა?!“

„რა მოგივიდა, ბიჭო-გოგია, ჩვენ გვითხარი, რა?“

„არაფერიც არ მოსვლია! მართლა მხდალი და მშიშარაა ეგ თქვენი ბიჭო-გოგია, მშიშარა, მშიშარა!..“

„სოფლელ ბიჭებს, არაფრის ეშინიათო...“

გადადგამს ერთ ნაბიჯს, მეორეს, მესამეს, შეიტყუებს სიბნელე სიღრმეში და მაშინ მოეხსნება გულზე უცხო შებოჭილობა, ქვემოთ, ბოსტნისკენ დაეშვება.

გზა ნაცნობია, თვალიც შეეჩვია სიბნელეს, მხოლოდ წვიმა სცემს უფრო მეტი მოძალებით, ფეხები ტალახში ეფლობა.

კაკლებთან შეჩერდება. წილიანა ხევი ღრიალებს. ნიაღვარი მიარღვევს ხევს ქვევით, ალაზნის ველისკენ.

ჩანთიდან ტყვია-წამალს ამოალაგებს, სათითაოდ მოისვრის წყალში. მერე თოფსაც მიაყოლებს და ღრმად ამოისუნთქავს, თითქოს რაღაც სიმძიმე მოეხსნაო.

— ბიჭო, გოგია!.. — ბუნების ღრიალს ერწყმის დედის სასოწარკვეთილი კივილი.

— ბიჭო, გოგია!.. ბიჭო, გოგია!.. — უერთდება დედის კივილს მამის ყვირილი, მაგრამ ბიჭო-გოგიას აღარაფერი ესმის იმ ხმაურში, არხეინად ზის მომღიმარი სახით და ეს უკვირს მხოლოდ: რატომ ეშინოდა აქამდე სიბნელისა...

ციხია-გორა

აღდგენა ისტორიისა ერის გამოცოცხლებაა. გამხნევებაა, აწმყოს გაგებაა და წარმართვაა. მერმისის გამოკვლევაა სიგნელისაგან.



ხარისთავებიანი სვეტის თავი

ჩვენი ქვეყნის ისტორიაში იყო დრო, როდესაც ადამიანი საცხოვრებლად ბუნებრივ შემაღლებებს ირჩევდა, რათა გაადვილებოდა მტრისა და მტაცებელი ცხოველებისაგან თავდაცვა. ამ დროს მეცნიერები ადრებრინჯაოს ხანას უწოდებენ. მოსახლეობის ძირითადი საქმიანობა მაშინ იყო ხვნა-თესვა და მესაქონლეობა. საზოგადოების განვითარების შემდეგ საფეხურზე მეტი მოთხოვნილება გაჩნდა ლითონის ნაკეთობებზე. ამასთან ბარში სახნავ-სათესები გამოიფიტა, მესაქონლეობის გაზრდის გამო მოსახლეობამ მთისკენ გადაინაცვლა და ძველი საცხოვრებელი გორაკები მიატოვა. ამ ხანას შუა ბრინჯაოს ხანას ეძახიან. ამ დროს სწრაფი ტემპით იწყო განვითარება მეტალურგიამ, უფრო სრულყოფილი გახდა ბრინჯაოს იარაღები. მაგრამ მთაში გაჩენილ ჭარბ მოსახლეობას აღარ ჰყოფნიდა მთის პატარა სახნავი მიწები, ამის გამო ისევ ბარში დაბრუნდა. განვითარებული შრომის იარაღების წყალობით სახნავ-სათესებისათვის საჭირო არხები გათხარა და ხელმეორედ აითვისა მიტოვებული საცხოვრებელი ადგილები, ეს მოხდა 3400 წლის წინ. ამ პერიოდს მეცნიერები გვიანბრინჯაოს ხანის დასაწყისად თვლიან. სწორედ ერთ-ერთი ასეთი საცხოვრებელი გორა არის ჩვენი თხრობის საგანი. ამ გორას ადგილობრივი მოსახლეობა ციხია-გორას უწოდებს.

ციხია-გორა მდებარეობს სოფელ კავთისხევის ჩრდილოეთით, მდ. კავთურას მარცხენა სანაპიროს სახნავ მიწებში. ამ გორის საშუალო სიმაღლეა 12 მეტრი, თხემის ფართობი 0,5 ჰექტარი. ამ გორაზე ადამიანი დასახლებულა ადრებრინჯაოს ხანის ადრეულ ეტაპზე, ძვ. წ. IV ათასწლეულის ბოლო საუკუნეებში. დასახლებას III ათასწლეულის პირველ ნახევრამდე გაუძლია. ამის შემდეგ ცხოვრება გორაზე კარგა ხნით წყდება. ადგილის ხელახალი ათვისება ხდება უკვე ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლოს.

გორას აღმოსავლეთიდან და ჩრდილოეთიდან აკრავს საკმაოდ დიდი ნასოფლარი, რომლის ტერიტორიაზე აღმოჩენილი მასალის მიხედვით, იგი შეიძლება ძვ. წ. VI-IV და III-II საუკუნეებით დავათარიღოთ.

ძვ. წ. VII-IV საუკუნეებში გორა აღარ ასრულებდა საცხოვრებლის როლს და რაღაც სხვა დანიშნულება მიეცა. მეცნიერები ფიქრობენ, რომ ის საერთო სალოცავ ხატად იქცა და სწორედ ამ ციხე-ხატის გამო უნდა დარქმეოდა ამ გორას „ციხია გორა“.

გორაზე გათხრილი ტერიტორია თითქმის მთლიანად უჭირავს დიდი და რთული გეგმარებისა და კონსტრუქციის კომპლექსს, რომლის შემადგენლობაში შედის „ტაძარი“, „ბეღელი“, „სათონე“ და სხვა შენობები. ყველაფერი ეს შემოზღუდულია ალიზით ნაგები ერთი გალავნით, რომელიც გორის თხემს კიდეზე გასდევს. კომპლექსი მიეკუთვნება ძვ. წ. IV-III საუკუნეებს. მასში ცენტრალური ადგილი უკავია საკუთარი გალავნით შემოზღუდულ სამსათავსოიან ტაძარს. ტაძრისა და მისი გალავნის კედლები ნაგებია კლდის ნატეხი ქვითა და ალიზით. შენობათა კედლებში სიმაგრისათვის დატანებული ხის ძელები დღესდღეობით უმეტეს ადგილას ჩაფერფლილია; საერთოდ მთელ კომპლექსს აშკარად ეტყობა დიდი ხანძრის კვალი — არა მარტო ძელები, არამედ მთელი კედლებია დეფორმირებული. ზოგ ადგილას ეზოში დგას



ძვ. წ. III საუკუნის რიგითი მოქალაქის სამარხის ინვენტარი: თიხის ნაირ-ნაირი ჭურჭელი, საყურე რგოლები, ბეჭედი და გრინჯაოს საგეჭდავი, რომელზედაც ადამიანის გამოსახულებაა ამოკვეთილი.

ისეთივე ქვით ნაგები, გეგმაში სწორკუთხა, ორი მეტრი სიმაღლის საკურთხეველი. როგორც ჩანს, აქ ანთებდნენ ცეცხლს — მზის მიწიერ განსახიერებას. მზისა და ცეცხლის განუყოფელობაზე მეტყველებს თუნდაც ძველი ბერძნული მითი, რომლის მიხედვითაც ჰელიოსი (მზის ღმერთი) ყოველდღიურად აღმოსავლეთიდან მობრძანდებოდა ეტლით, რომელშიც ცეცხლისმფრქვეველი ცხენები იყვნენ შებმულნი, და საღამოს დასავლეთით ოკეანეში ეშვებოდა. მზეს გამოსახავდნენ სხვადასხვა ნიშნებით: ჯვრებით, ბორჯღალებით და სხვა.

ციხია გორაზე ბევრია ჯვრის გამოსახულებიანი თიხის დისკოები; ეტყობა ეს ტაძარი მზის ღვთაებისადმი იყო მიძღვნილი. ჯვრები, ბორჯღალები და სხვა ნიშნები მუდმივი მოძრაობის სიმბოლო ანუ მხატვრული გამოსახულება იყო და რაკი ადამიანთა წარმოდგენაში დედამიწა უძრავი იყო, და მის გარშემო მუდმივად მოძრაობდა სიცოცხლის მომნიჭებელი ცხოველმყოფელი მზე, მზეს სწორედ ამ ნიშნებით გამოსახავდნენ.

ციხია გორის ეზოს სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში 25 სმ სიმაღლის, 2 მეტრი სიგანისა და სიგრძის ქვითა და თიხით მოწყობილი მოედანია. ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით საკურთხევლის გვერდით ასეთი წესით მოწყობილ შემაღლებულ ადგილებს სამსხვერპლოების დანიშნულება ჰქონდათ.

ტაძრის გალავანში შესასვლელი კარები გაჭრილია დასავლეთ და აღმოსავლეთ კედლებში. თვით ტაძრის ძირითად სათავსოში კარი სამხრეთიდან არის გაჭრილი, სარკმლები კი დასავლეთ და აღმოსავლეთ კედლებშია. ამ ტაძარს აღმოსავლეთიდან აკრავს ორსართულიანი სწორკუთხა ნაგებობა. კარი დასავლეთ კედელში აქვს გაჭრილი. ქვის კედლებზე დევს სართულთშორისი გადახურვის კოჭების ნაშთები. მეორე სართულის კედლები ნაგებია ალიზის აგურით. სათავსოში აღმოჩნდა კირქვისაგან გამოთლილი სვეტის კაპიტელი ზურგშექცევით გამოსახული ორი ნახევარხარის სახით. ეს კაპიტელი ძალიან გავს აქემენიდური ირანის, კერძოდ, არტაქსერქსე II-ის (მეფობის წლები ძვ. წ. 404-359) სუზაში არსებული სასახლის სვეტის თავებს.

კომპლექსის გალავნის აღმოსავლეთ კედელზე მიდგმულია კიდევ ერთი მრავალსათავსოიანი კომპლექსი, რომელიც შედგება ორი დიდი ოთახისა და ექვსი პატარა 1,5×2 მ.-ზე ზომის სათავსოსაგან. ამ პატარა სათავსოების იატაკზე აღმოჩნდა დამწვარი ხორბლის ნაშთები. როგორც ჩანს, ეს კომპლექსი ტაძრის ბეღელი იყო. ყველა ეს შენობა გადახურულია წითელი კრამიტით. კრამიტი ორგვარია, ბრტყელი და ღარისებური. ზოგიერთ კრამიტზე გვხვდება ბერძნული ასო-ნიშნები, რომლებიც თითით არის დატანილი. როგორც ჩანს, ოსტატ-ალბომი ნავდა მის მიერ დამზადებული კრამიტების რაოდენობას. მაგალითად ერთ-ერთ კრამიტზე ბერძნული ასო-ნიშანი „ომიკრონი“ წაშლილია და მის გვერდით წერია „ქსი“. ომიკრონი ნიშნავს 70-ათს, ქსი — 60-ს. ეტყობა ოსტატს თვლა შეშლია და შეუსწორებია. აღსანიშნავია ისიც, რომ არ გვხვდება ერთეულის აღმნიშვნელი არც ერთი ასონიშანი და ყველა აღმოჩენილი ასონიშანი მხოლოდ ათეულსა და ასეულს აღნიშნავს. ტაძრის დასავლეთით 25-ოდე მეტრის მანძილზე გაითხარა კიდევ ერთი შენობა, სადაც აღმოჩნდა კედლის გასწვრივ ჩადგმული ხუთი თონე. საფიქრებელია, რომ ეს საერთო სატაძრო სათონე იყო, რომელიც ხატობაზე მოსულთ ემსახურებოდა.

მთელ ამ განათხარ ტერიტორიაზე დიდი რაოდენობით მოიპოვებოდა თიხის ჯამები, დოქები, ფიალები, ჭინჭილები და სხვა. ძირითადად ეს ჭურჭელი ან წითლად გამომწვარია ან წითლად შეღებილი და წითელი საღებავით მოხატული. კერამიკული მასალის შესწავლის შემდეგ იგი ძვ. წ. IV-III საუკუნეებით იქნა დათარიღებული.

ციხია გორის გარშემო მდებარე ნასოფლარის გვერდით აღმოჩნდა სამაროვანი, რომლის გათხრისას იქ იპოვნეს ქვის ყუთები, ქვევრები და ორმოებში დასაფლავებულ ადამიანთა ჩონჩხები. სამარხები ძვ. წ. XII და ახ. წ. I საუკუნეებს მიეკუთვნება, ე. ი. აქ მიცვალებულები იმარხებოდნენ იმ დროიდან, როდესაც ბარში ჩამოსულმა მოსახლეობამ ხელმეორედ აითვისა ძველი საცხოვრისი. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ნასოფლარის გაჩენის შემდეგ გორა, როგორც საცხოვრებელი ადგილი, ადამიანმა საბოლოოდ მიატოვა, ის საერთო სალოცავად იქცა. მაგრამ ციხია გორის მასშტაბი იმოდენაა, რომ იგი მხოლოდ ერთი სოფლის რელიგიური სიწმინდე, ხატი ვერ იქნებოდა. ფიქრობენ, რომ ციხია გორა ამ დროისათვის ერთი ხევის, ამ შემთხვევაში კავთურას მთელი ხეობის — კავთისხევის სალოცავი იყო.

ჯერჯერობით ციხია გორის ტერიტორიის მხოლოდ ერთი შესამედია გათხრილი, დანარჩენი კი მიწით არის დაფარული. ამიტომაც ვიმედოვნებთ, რომ უახლეს დროში, როცა მეცნიერები მთელ მის ტერიტორიას გათხრიან, კიდევ რაიმე საინტერესოსა და ახალს შევიტყობთ ამ მეტად მრავალისმთქმელი ძეგლის შესახებ.

რ. კვიტაშვილი



ძვ. წ. III საუკუნის სამარხებში აღმოჩენილი ოქროს ნივთები: საყურე რგოლები, საყურე საკიდი, ოქროს მძივები.

ხუნამოს მინის ჭურჭლები. ახ. წ. I-III საუკუნეები.

ᲨᲝᲗᲐ ᲒᲐᲒᲝᲨᲘᲫᲔ

ᲪᲘᲡᲤᲔᲠᲘ ᲛᲜᲐᲗᲝᲒᲘ ᲐᲛᲘᲠᲐᲜᲘ

ᲧᲝᲕᲔᲚ ᲗᲥᲕᲔᲜᲒᲐᲜᲡ ᲣᲗᲨᲝᲓ ᲒᲐᲣᲒᲝᲜᲘᲐ ᲗᲥᲛᲣᲚᲔᲑᲐ ᲐᲛᲘᲠᲐᲜᲖᲔ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲙᲔᲗᲘᲚᲓᲦᲔᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲘᲑᲠᲫᲝᲚᲓᲐ, ᲦᲛᲔᲠᲗᲡ ᲨᲔᲔᲭᲘᲓᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲝᲜᲖᲔ ᲛᲘᲐᲯᲐᲭᲕᲔᲡ. ᲛᲔᲨᲕᲘᲓᲔ ᲙᲚᲐᲡᲘᲡ ᲛᲨᲝᲑᲚᲘᲣᲠᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐᲨᲘ ᲐᲛᲘᲠᲐᲜᲘᲡ ᲗᲐᲕᲒᲐᲓᲐᲡᲐᲕᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲬᲐᲕᲚᲐᲡ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲡᲐᲐᲗᲘ ᲔᲗᲛᲝᲛᲑᲐ.

ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲔᲡ ᲗᲥᲛᲣᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲣᲓᲝ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲚᲐᲓ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲤᲐᲜᲢᲐᲡᲢᲘᲙᲣᲠ ᲛᲝᲗᲮᲠᲝᲑᲐᲡ „ᲪᲘᲡᲤᲔᲠᲘ ᲛᲜᲐᲗᲝᲒᲘ ᲐᲛᲘᲠᲐᲜᲘ“ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲛᲐ ᲨᲝᲗᲐ ᲒᲐᲒᲝᲨᲘᲫᲔᲛ (ᲩᲕᲔᲜᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡ ᲛᲔ-3 ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ ᲓᲐᲘᲑᲔᲭᲓᲐ ᲐᲛ ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲡ ᲤᲐᲜᲢᲐᲡᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲝᲗᲮᲠᲝᲑᲐ „ᲡᲐᲜᲐᲫᲚᲔᲝ“). ᲒᲐᲠᲓᲐ ᲐᲛᲘᲠᲐᲜᲘᲡᲐ, ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲨᲘ ᲨᲔᲮᲕᲓᲔᲑᲘᲗ ᲡᲮᲕᲐ ᲜᲐᲪᲜᲝᲑ ᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲡᲐᲪ — ᲡᲣᲚᲙᲐᲚᲛᲐᲮᲡ, ᲓᲐᲠᲔᲯᲐᲜᲡ, ᲑᲐᲓᲠᲘᲡ, ᲣᲡᲘᲑᲡ, ᲧᲐᲛᲐᲠᲡ, ᲓᲐᲚᲡ. ᲓᲐᲚᲘ ᲨᲝᲠᲔᲣᲚᲘ ᲞᲚᲐᲜᲔᲢᲘᲓᲐᲜ ᲛᲝᲛᲠᲗᲔᲜᲘᲚᲘ ᲙᲝᲡᲛᲝᲜᲐᲕᲢᲘᲐ, ᲛᲐᲡ ᲓᲔᲓᲐᲛᲘᲬᲐᲖᲔ ᲨᲔᲔᲫᲘᲜᲐ ᲕᲐᲣᲘ ᲐᲛᲘᲠᲐᲜᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲡ ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲓᲐᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲐᲡ ᲨᲔᲐᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡ. ᲐᲛᲘᲠᲐᲜᲘᲡ ᲐᲛᲑᲐᲕᲗᲐᲜ ᲛᲝᲮᲔᲠᲮᲔᲑᲣᲚᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲘᲗᲘ ᲐᲠᲒᲝᲜᲐᲕᲢᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

ᲒᲐᲠᲓᲐ ᲮᲡᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡᲐ, Ш. ᲒᲐᲒᲝᲨᲘᲫᲘᲡ ᲬᲘ�გᲜᲨᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲘᲗ ᲬᲐᲘᲙᲘᲗᲮᲐᲕᲗ „ᲯᲐᲓᲝᲡᲜᲣᲠ ᲑᲒᲔᲠᲔᲑᲡ“, „ᲝᲠᲛᲮᲠᲘᲕ ᲨᲔᲪᲓᲝᲛᲐᲡ“, „ᲣᲙᲔᲗᲔᲡ ᲕᲐᲠᲘᲐᲜᲢᲡ“ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲛᲝᲗᲮᲠᲝᲑᲔᲑᲡ. ᲬᲘᲗᲮᲜᲘ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲬᲔᲚᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲪᲐ „ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲛ“.

ᲚᲣᲓᲕᲘᲙ ᲔᲣᲘ ᲙᲔᲠᲜᲘ

ᲞᲘᲜᲘᲐ ᲑᲘᲭᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲤᲐᲘᲤᲣᲠᲘᲡ ᲡᲞᲘᲚᲝᲡ ᲗᲐᲕᲒᲐᲓᲐᲡᲐᲕᲐᲚᲘ

ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲞᲔᲢᲠᲔᲛ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲛᲝᲤᲔᲠᲔᲑᲘᲗ ᲞᲘᲜᲘᲐᲡ ᲔᲫᲐᲮᲘᲐᲜ, ᲡᲮᲕᲔᲜᲖᲔ ᲤᲐᲘᲤᲣᲠᲘᲡ ᲡᲞᲘᲚᲝ ᲘᲞᲝᲕᲜᲐ. ᲑᲘᲭᲘ ᲢᲐᲜᲛᲝᲠᲩᲘᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲓᲐ ᲛᲨᲝᲑᲚᲔᲑᲘ ᲕᲘᲢᲐᲛᲘᲜᲔᲑᲡ ᲐᲫᲐᲚᲔᲑᲓᲜᲔᲜ, ᲘᲥᲜᲔᲑ ᲒᲐᲘᲖᲐᲠᲓᲝᲡᲝ. ᲞᲘᲜᲘᲐᲡ ᲐᲑᲔᲑᲘᲡ ᲧᲚᲐᲞᲕᲐ ᲐᲠ ᲣᲧᲕᲐᲠᲓᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲠᲐᲪ ᲡᲞᲘᲚᲝ ᲘᲞᲝᲕᲜᲐ, ᲛᲘᲡ ᲮᲝᲠᲗᲣᲛᲨᲘ ᲩᲐᲯᲓᲐ ᲮᲝᲚᲛᲔ. ᲓᲐ ᲛᲝᲮᲓᲐ ᲡᲐᲝᲪᲠᲔᲑᲐ: ᲓᲝᲛᲘᲜᲘᲙᲘᲡᲐ (ᲐᲡᲔ ᲔᲠᲥᲕᲐ ᲡᲞᲘᲚᲝᲡ) ᲖᲠᲓᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲓᲐ ᲛᲐᲚᲔ ᲘᲛᲝᲓᲔᲜᲐ ᲒᲐᲮᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲬᲝᲜᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲓᲘᲓᲘᲗ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲨᲘ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲞᲘᲚᲝᲡ ᲒᲐᲓᲐᲐᲭᲐᲠᲑᲐ.

ᲓᲝᲛᲘᲜᲘᲙᲘ ᲫᲐᲚᲖᲔ ᲭᲙᲕᲘᲐᲜᲘ ᲘᲧᲝ ᲓᲐ ᲛᲝᲙᲚᲔ ᲮᲐᲜᲨᲘ

ᲔᲜᲐ ᲐᲛᲝᲘᲓᲒᲐ, ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲙᲘ ᲡᲘᲐᲠᲣᲚᲘᲪ ᲘᲡᲬᲐᲕᲚᲐ ᲓᲐ ᲐᲥᲔᲓᲐᲜ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲛᲘᲡᲘ ᲣᲪᲜᲐᲣᲠᲘ ᲗᲐᲕᲒᲐᲓᲐᲡᲐᲕᲐᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ, ᲔᲤᲕᲘᲪ ᲐᲠ ᲒᲕᲔᲞᲐᲠᲔᲑᲐ, ᲓᲘᲓᲘ ᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲔᲑᲘᲗ ᲬᲐᲘᲙᲘᲗᲮᲐᲕᲗ.

ᲔᲡ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲬᲘ�გᲜᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ „ᲜᲐᲙᲐᲓᲣᲚᲛᲐ“ ᲒᲐᲛᲝᲡᲪᲐ, ᲞᲝᲚᲝᲜᲣᲠᲘᲓᲐᲜ ᲗᲐᲠᲒᲛᲜᲐ ᲖᲔᲘᲜᲐᲑ ᲒᲘᲝᲠᲒᲝᲑᲘᲐᲜᲛᲐ, ᲛᲮᲐᲢᲒᲠᲣᲚᲐᲓ ᲙᲘ ᲨᲐᲓᲘᲛᲐᲜ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲔᲛ ᲒᲐᲐᲤᲝᲠᲛᲐ.

ᲑᲘᲭᲣᲜᲐᲡ ᲞᲘᲢᲜᲘᲡ ᲙᲐᲜᲤᲔᲢᲘ ᲛᲘᲡᲪᲔᲡ, ᲛᲐᲜ ᲛᲝᲬᲣᲬᲜᲐ ᲓᲐ ᲢᲣᲩᲘ ᲐᲘᲑᲖᲣᲐ:

— ᲤᲣᲰ, ᲠᲝ�გᲝᲠ ᲣᲑᲔᲠᲐᲕᲡ!

●

— ᲒᲐᲙᲕᲔᲗᲘᲚᲔᲑᲡ ᲠᲝᲛ ᲛᲝᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑ, ᲔᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲬᲐᲘᲚᲔ ᲓᲐ ᲡᲐᲤᲝᲡᲢᲝ ᲧᲣᲗᲨᲘ ᲩᲐᲣᲨᲕᲘ.

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲓᲦᲔᲡ:

— ᲩᲐᲐᲒᲓᲔ ᲒᲣᲨᲘᲜ ᲩᲔᲛᲘ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ?

— ᲘᲪᲘ ᲠᲐ, ᲛᲐᲛᲐ, ᲒᲣᲨᲘᲜ ᲒᲐᲙᲕᲔᲗᲘᲚᲔᲑᲘ ᲐᲠ ᲛᲝᲛᲘᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲐ.

●

— ᲠᲐᲢᲝᲛ ᲐᲥᲕᲡ ᲡᲘᲠᲐᲥᲚᲔᲛᲐᲡ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲒᲠᲫᲔᲚᲘ ᲙᲘᲡᲔᲠᲘ?

— ᲘᲛᲘᲢᲝᲛ, ᲠᲝᲛ ᲗᲐᲕᲘ ᲫᲐᲚᲖᲔ ᲨᲝᲠᲡᲐ ᲐᲥᲕᲡ ᲡᲮᲔᲣᲚᲘᲡᲐᲒᲐᲜ.

ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ: ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲡᲐᲐᲗᲘᲐ ᲓᲦᲔ-ᲦᲐᲛᲔᲨᲘ?

ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔ: ᲝᲪᲓᲐᲝᲠᲘ.

ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ: ᲝᲪᲓᲐᲝᲠᲘ? ᲔᲡ ᲠᲝᲒᲝᲠ?

ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔ: ᲗᲥᲕᲔᲜ ᲮᲝᲛ ᲗᲥᲕᲘᲗ ᲐᲛᲐᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ, ᲐᲮᲚᲐ ᲓᲦᲔ ᲝᲠᲘ ᲡᲐᲐᲗᲘᲗ ᲛᲝᲙᲚᲔᲐᲝ.

●

— ᲒᲘᲚᲝᲪᲐᲕᲗ, ᲢᲝᲛᲘ — ᲐᲗᲘ ᲬᲚᲘᲡᲐ ᲒᲐᲮᲓᲘ! ᲒᲘᲜᲓᲐ ᲛᲝᲒᲐᲠᲗᲕᲐᲗ ᲦᲕᲔᲖᲔᲚᲘ ᲐᲗᲘ ᲡᲐᲜᲗᲚᲘᲗ?

— ᲛᲘᲠᲩᲔᲕᲜᲘᲐ ᲐᲗᲘ ᲦᲕᲔᲖᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲜᲗᲔᲚᲘ!

●

— ᲒᲖᲐᲖᲔ ᲔᲠᲗᲘ ᲛᲔᲝᲠᲘᲡ ᲛᲘᲧᲝᲚᲔᲑᲘᲗ ᲨᲕᲘᲓᲘ ᲓᲠᲝᲮᲐ ᲛᲘᲓᲘᲡ. ᲠᲝᲛᲔᲚᲡ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ ᲗᲐᲕᲘ ᲛᲝᲐᲑᲠᲣᲜᲝᲡ ᲓᲐ ᲗᲥᲕᲐᲡ: ᲛᲔ ᲕᲮᲔᲓᲐᲕ ᲔᲥᲕᲡ ᲬᲧᲕᲘᲚ ᲠᲥᲐᲡᲝ?

— ᲠᲐᲡᲐᲙᲕᲘᲠᲕᲔᲚᲘᲐ, ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲡ.

— ᲐᲠᲐ, ᲮᲐᲠ ᲡᲬᲝᲠᲘ, ᲑᲝᲑᲘ, ᲫᲠᲝᲮᲔᲑᲘ ᲡᲐᲔᲠᲗᲝᲓ ᲐᲠ ᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲝᲑᲔᲜ.

●

ᲓᲔᲓᲐ: (ᲩᲣᲠᲩᲣᲚᲘᲗ): ᲢᲝᲛᲘ, ᲞᲐᲞᲐᲨᲔᲜᲘ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲐᲕᲐᲓᲐᲐ, ᲣᲗᲮᲐᲠᲘ ᲠᲐᲘᲛᲔ ᲒᲐᲛᲐᲛᲮᲜᲔᲕᲔᲑᲔᲚᲘ.

ᲢᲝᲛᲘ: ᲞᲐᲞᲐ, ᲮᲝᲛ ᲐᲠ ᲒᲘᲜᲓᲐ ᲨᲔᲜᲡ ᲓᲐᲙᲠᲫᲐᲚᲕᲐᲖᲔ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲝᲠᲙᲔᲡᲢᲠᲛᲐ ᲓᲐᲣᲙᲠᲐᲡ?



ბანსაკუთრება

ნინო
ემელიანოვა

მხატვარი
დ. ზარაფიშვილი

მოთხრობა

სულითა და გულით მინდოდა დეიდა ვარიას ნახვა, ვორონეჟიდან მატარებლით უნდა წავსულიყავი სადგურ ანამდე, — მთელი ასი კილომეტრი... აქედან ფეხით კიდევ, ხუთი კილომეტრი უნდა გამევლო იმ სახლამდე, სადაც ცხოვრობდა დეიდაჩემი თავისი შვილებით — ლოლიათი და ვალიათი.

მაგრამ დედაჩემი თავს იკავებდა იმიტომ, რომ სამოქალაქო ომის მრისხანე დღეებში მატარებლები არეულად დადიოდნენ. უჭირდა ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკას. წითელი არმია დენიკინსა და კოლჩაკს ებრძოდა. თეთრგვარდიელთა ბანდები ტამბოვს უახლოვდებოდნენ.

— ამას გარდა, — ამბობდა დედა, — იმათთან წასვლა იმიტომაცაა საფრთხილო, რომ საღამო ხანს უნდა გადაიარო მინდორი და ტყე, ისიც მარტომ.

— არაფერია, მოვახერხებ, — ვუპასუხე, — გავაგზავნოთ ბარათი და შევატყობინოთ, რომ ლოლია და ვალია სადგურში დამხვდნენ.

ასეც მოვიქეცით. პასუხმა დაგვიანა. წასვლამდე კი სამი დღეღა მრჩებოდა. დედამ გამოსავალი იპოვა: პირობა ჩამომართვა, თუ არავინ დამხვდებოდა, ღამის გასათევად სადგურში დავრჩენილიყავი.

დეიდა ვარიასთან არაერთხელ ვყოფილვარ დედასთან ერთად. სადგური ვიცოდი: ქვის შენობა იყო. ფართო შესასვლელი და მაღალი ფანჯრები ჰქონდა, მახსოვს დარბაზში საბილეთო სალაროც იყო.

— იქ, — მითხრა დედამ, — მგონი სავარძელიც უნდა იდგეს. ღამეს გაგათევინებენ, რა თქმა უნდა, განთიადისას კი წახვალ.

მეც სიტყვა მივეცი.

ჩემი მატარებელი დღის პირველ საათზე გავიდა. ალბათ, გგონიათ, რომ მატარებელი სადგურ ანამდე ორ-სამ საათში ჩავიდოდა. სრულებითაც არა! სადგურ საგრაფოში მეორე მატარებელში გადაჯდომას სამ საათს მოვუნდით და წინ კიდევ ხუთი გაჩერება იყო.

მივდივართ... ღია ფანჯარაში თავგაყოფილი აქეთ-იქით ვიცქირები.

— გოგონავ, როცა მატარებელი გადის, ფანჯარაში თავის გაყოფა არ შეიძლება, თვალები ჭვარტლით აგევსება, — ჩამილაპარაკა კონდუქტორმა. ერთი კია, მშვენივრად მოჩანს ყველაფერი: ფიჭვის ტყე, მდელო, არყის ხეები. მე იმათ ვეალერსები, ვეჩურჩულები. აი, სწორედ ეს მინდოდა მე, პირისპირ ვესალმები მწვანე სამყაროს.

საგრაფომდე სულ ტყე იყო, ახლა კი პურის ყანების სხვადასხვაფერი ზოლები გამოჩნდა...

ჩემი თანამგზავრი, ვარდისფერთავსაფრიანი სოფლელი ქალი ანამდე ერთი სადგურით ადრე უნდა ჩასულიყო. იგი აუჩქარებლად ალაგებდა ბარგს და ამბობდა:

— რა მეჩქარება? მატარებელი ხომ არ გაფრინდება? — დაგიცდიან.

— ბოდიში, თქვენ ხომ არ იცით, — ვკითხე, — ანში რომ გვიან ჩავიდეთ, სადგურში გამათევინებენ?

— რას ამბობ! — მიპასუხა, — იქ ღამეს, ვინ ათევს? ეს ხომ უკანასკნელი სადგურია. ყველანი მიდიან, ღამით სადგურიც იკეტება.

— კი მაგრამ, იქ ხომ მორიგეა? ტელეგრაფისტიც...

სოფლელმა ქალმა ხელები გაასავსავა და გაიცინა:

—ვერ გამიგია, ვის უნდა უმორიგეონ? ან ვისი დეპეშები უნდა მიიღონ? იქ არავინ არ რჩება.

— კი მაგრამ, თუ ადამიანს არავინ დახვდა! ისიც საღამოს!..

— განა საღამო გვიანია? შენ, საით?

მე ვუპასუხე.

— მიხვალ, არ დაიკარგები.

— არა, თუ არ დამიხვდნენ, მარტო ვერ წავალ...

— რატომ? გზა არ იცი, თუ რა!

— ვიცი, მაგრამ წასვლა არ შემიძლია.

— აი, სასწაული! — ქალმა ახლა მუხლებზე დაირტყა ხელი.

ჩვენს საუბარში ფანჯარასთან მჯდომი მამაკაცი ჩაერია, რომელიც ვაჭარს ჰგავდა:

— არაფერია, შენ ოღონდ დარაჯს უთხარი, უეჭველად შეგიშვებს. ღამით სადგურს დაკეტავს, იქ გაათენებ. დილით კი გააღებს.

აი, ესეც ანის წინა გაჩერება. ჩემი თანამგზავრები ჩავიდნენ... ფანჯარაში ვიცქირები და ვგრძნობ, არავინ მხვდება. ალბათ, სადგურში მომიხდება ღამის გათევა.



მზე უკვე ჰორიზონტზე დაეშვა.

მინდვრის სიმწვანე ბინდმა დაფარა.

წითელი ზოლი გასდევდა ღრუბლებს. აი, ისიც... შორიდან სადგური გამოჩნდა.

მაგრამ ის არის განა? მახსოვს: ადრე აგურისა იყო, მუქი, ახლა კი თეთრია, როგორც ეკლესია. ამის ახსნა უბრალოდ შეიძლებოდა, შენობა შეუთეთრებიათ. მაგრამ მაშინ ეს აზრადაც არ მომსვლია!

...შიგ დარბაზია, სად უნდა გავათიო ღამე, თუ კარზე ბოქლომი ადევს? რა საშინელებაა! ვფიქრობ, მაგრამ იქვე თავს ვიიმედებ, — იმ დარბაზში ყოვლად შეუძლებელია, რაიმე საშიში იყოს, ის კი ცუდია, რომ ღამით შუქი ჩაქრება, სიბნელეში ყოფნა მუდამ სახათაბალო საქმეა. რა თქმა უნდა, ეს იმიტომ, რომ მარტო ვიქნები ჩაკეტილში. ნუთუ დეიდა ვარიამდე ვერ მივაღწევ? ტყუილად ეშინოდა დედას, მერე რა რომ საღამოა, ჩაბნელებულ ველზე ხომ ბილიკებია, გზაც კარგად ვიცი.

მაგრამ დედას სიტყვა მივეცი, არაფრის შეცვლა არ შეიძლება. რაც იქნება-იქნება! ღამეს სადგურში ვათევ. პატარა იმედი მომეცა. როცა ძალიან დაღამდება, ფანჯარაში ვარსკვლავთა ანარეკლი შემოიჭყიტავს — დიდი, ნათელი ვარსკვლავებისა. შევაჩერდები მათ და შიშიც გაქრება!

მატარებელი ნელ-ნელა გაჩერდა. ვაგონებიდან მგზავრები ჩამოდიოდნენ. ყველა თანდათან წავიდ-წამოვიდა და ბაქანი დაცარიელდა. არავინაც არ დამხვედრია. შიშით დავავლე ხელი ჩემს პატარა ჩემოდანს და გასასვლელთან გავედი. კიბეზე რომ ჩავდიოდი, გული, ლამის იყო, ამომვარდნოდა, ვფიქრობდი, რომ რაღაც საშინელება მელის, რომელსაც გვერდს ვერ ავუვლი. მაგრამ უკან დახევა აღარ შეიძლებოდა. სიტყვა სიტყვაა!

და უცბად...

— აი, ისიც! — მომესმა წკრიალა ხმა — იმ ვაგონშია...

— ღმერთო ჩემო, ნუთუ მე მეძებენ! გული ვეღარ ითმენდა, მაგრამ ვაი თუ მე არ მხვდებიან?! და ამ დროს ორივე დაიკო დავინახე, ლოლია მორბოდა, თან ზურგზე გრძელი ნაწნავები უთამაშებდა.

— თქვენი წერილი მხოლოდ დღეს მოიტანეს, — ყვიროდა იგი.— ძლივს მოვასწარით, გვეგონა დაგვაგვიანდებოდა.

სიხარულისაგან ხტუნვა-ხტუნვით შემეგებნენ: როგორ იყვნენ გაწითლებულები! თავსაფრებს აფრიალებდნენ, ოფლიან შუბლსა და სახეს იმშრალებდნენ. ეტყობოდათ შეუჩერებლივ ერბინათ, რა ყოჩაღები არიან, აი, განსაცდელისაგან მიხსნეს. ბაქნიდან სადგურის დიდი ფანჯრისაკენ გავიხედე, მთელი ღამე ხომ აქ უნდა მეყურყუტა. და უცებ ძალიან დამენანა, რომ აღარ დავრჩებოდი და ვერ გავიგებდი, როგორ იღება და იხურება მძიმე კარი, ან რკინის გასაღები როგორ ტრიალებს ბოქლომში, ხომ შემეძლო არაჩვეულებრივ პირობებში გამომეცადა ჩემი თავი, მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ მოხდა!

— რას მისჩერებიხარ იმ ფანჯარას? — ხელით შემაჯანჯღარა უფროსმა დამ, ლოლიამ — წავიდეთ, წავიდეთ, თორემ დაგვაგვიანდება.

ერთხელ კიდევ გულდაწყვეტილმა შევხედე ფანჯარას, მაგრამ დები არ მაცლიდნენ. ჩამავლეს ხელი და გზაზე სულ სირბილ-სირბილით გამიყვანეს:

ეჰ, ყველაფერი კარგია ამ ქვეყანაზე! სამივემ ერთად ვიაროთ და ვიაროთ ტყისპირას, თან მუხის შეჭრილ-შემოჭრილი ხეშეში ფოთლები მოვწყვიტოთ.

მე გოგონებს მოვუყევი, როგორ შევპირდი დედას სადგურში ღამის გათევას, თუ არავინ დამხვდებოდა.

— მერე მართლა დარჩებოდი აქ ღამის გასათევად მარტო?! — შემეკითხა უმცროსი — ვალია.

— რა თქმა უნდა, — ვუპასუხე მსუბუქი, მხიარული ხმით. მაგრამ გულში კი სულ სხვა გრძნობა გამიჩნდა. თითქოს რაღაც დავკარგე... დაე იცოდნენ, რომ სიამოვნებით ჩავიკეტებოდი მძიმე გასაღებით დაკეტილი სადგურის დარბაზში და როცა დაბნელდებოდა, მაშინ ფანჯარაში დავინახავდი მოკიაფე ვარსკვლავების ანარეკლს.

თუმცა რა საჭიროა ამაზე ლაპარაკი... და დიახაც რომ არ ვილაპარაკე. ამჯერად ასე იყოს!

მაგრამ განმეორდება კი ოდესმე ასეთი შემთხვევა?

თარგმნა კ. გოგიაშვილმა

საინტერესო რამეები

უცნაური ხეები

მცენარეთა სამყარო რომ არ არსებობდეს, დედამიწაზე სიცოცხლე ჩაქრებოდა. ამ თვალსაზრისით ადამიანისთვის სასარგებლოა ყველა ხე, ბუჩქი, თითოეული ბალახის ღერო. მაგრამ არის ზოგიერთი ჯიშის ხე, რომელთაც განსაკუთრებული ღირებულება აქვთ ჩვენთვის.

აი, რამდენიმე მათგანი:

პურის ხე. ხარობს ინდოეთში და მალაის არქიპელაგის კუნძულებზე, ისხამს 25 კილოგრამამდე წონის, გარეგნულად გოგრის მსგავს ნაყოფს, რომელიც სახამებლის შემცველობით ხორბალს არ ჩამოუვარდება. ნაყოფს პატარა ნაჭრებად ჭრიან და ხარშავენ. ხან ასეც იქცევიან: რამდენიმე ცალს ჩააწყობენ ღრმასა და გრილ ორმოში, დააცდიან, ვიდრე სახამებელი წამოდუღდებოდეს, შემდეგ კი მიღებული მომუავო ცომისაგან გემრიელ ლავაშებს დააცხობენ.

ყვავილთცვენის შემდეგ მოსახლეობა აგროვებს თესლს, რომელშიც ბევრი ზეთოვანი ნივთიერებაა, და შემწვარს ან სულაც უმს შეექცევა. ერთ ძირ ხეს ოცი წლის ასაკში შეუძლია 3-4 კაცის გამოკვება მთელი წლის მანძილზე.

რძის ხე. მიეკუთვნება თუთისებრთა ოჯახს. მისი სამშობლოა სამხრეთ ამერიკა. ფესვის განასერიდან გამოიყოფა სქელი წვენი, რომელიც გარეგნულად რძეს წააგავს, თუმცა ქიმიური შედგენილობით საკმაოდ განსხვავდება მისგან: ცხიმის ნაცვლად რძის ხის წვენი შეიცავს ცვილისებურ ცხიმოვან შენაერთს, ხოლო რძის ცილის — კაზეინის ნაცვლად — სისხლის ცილასთან ახლომდგომ აზოტოვან ნივთიერებას.

ხის წვენი ადულებისას არ დედდება, მაგრამ სქელდება და გამოჰყოფს ქონში შემწვარი ახალი ხორცის სასიამოვნო სუნს.

ამ საოცარ ხეს განსაკუთრებული მოვლა და ნიადაგი არ სჭირდება და მშვენივრად ხარობს კორდილიერების უნაყოფო ფერდობებზე. მისი სიმაღლე აქ 25 მეტრს აღწევს. ფესვების სისტემა მძლავრია და მიწაში ღრმად ჩადის.

დაფნა. ხარობს ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნებში, ყირიმში, კავკასიაში, დიდი ბრიტანეთის კუნძულებზე, აშშ-ის სამხრეთში. მისი ფოთლები არ ჭკნება, ამიტომ ძველთაგანვე დაფნის გვირგვინით ამკობდნენ სახელოვან მეცნიერებს, მხედართმთავრებს, პოეტებს, სპორტსმენებს, რათა ხაზი გაესვათ მათი უჭკნობი დიდებისათვის. ეს ხე 20 მეტრ სიმაღლეს აღწევს, ყვავილობისას მოყვითალო ყვავილებით იმოსება. ფოთლები ეთეროვან ზეთს შეიცავს, ხოლო თესლისა და ნაყოფის ნივთიერება გამოიყენება მედიცინაში, პარფიუმერიაში, ვეტერინარიაში.

ქაფურის ხე. ეს ტანმაღალი (50 მეტრამდე) მარადმწვანე ხე ხარობს ჩინეთში, იაპონიაში, ინდოეთსა და ამერიკაში, აგრეთვე კავკასიაში. მისი ფოთლები, ტანი და ფესვები გაჟღენთილია სამკურნალო ეთეროვანი ზეთით. ფოთოლს სინათლეზე თუ გავხედავთ, შევნიშნავთ უამრავ ნათელ წერტილს — თითოეული მათგანი თითქოს პაწია საწყობია ეთეროვანი ზეთისა, რომელიც ძირითადად შეიცავს ქაფურს და, მის გარდა, კიდევ ოცამდე ძვირფას ნივთიერებას.

ქაფური აღაგზნებს ცენტრალურ ნერვულ სისტემას, აფართოებს გულის სისხლძარღვებს, ჰკურნავს ორგანიზმის ანთებით პროცესებს. ამიტომ ქაფურის ხეებს დაუნდობელ ექსპლოატაციას უწევდნენ. მაგრამ მალე ქიმიკოსებმა გაშიფრეს ქაფურის ფორმულა და ახლა მას სხვადასხვა პროდუქტისაგან ღებულობენ. ქაფურს იყენებენ პლასტმასებისა და კინოფირების დასამზადებლადაც.

ავოკადო. ეს მარადმწვანე ხე ხარობს აშშ-ში, მექსიკასა და სამხრეთ ამერიკაში. მისი 600 გრამამდე წონის ნაყოფი მდიდარია ზეთებით, ცილებით, შაქრითა და სხვადასხვა ვიტამინით. ერთი კილოგრამი ავოკადო 2160 კილოკალორიას შეიცავს და ამით მხოლოდ პურსა და ბრინჯს ჩამორჩება. ერთი ძირი ხე ერთ დაკრეფაზე 50 კილოგრამამდე მოსავალს იძლევა.

ფიჯვი. ვითომ სავსებით ჩვეულებრივი ხეა, მაგრამ...

მეცნიერები დიდხანს დავობდნენ ქარვის წარმოშობის თაობაზე. ჯერ კიდევ ძველმა ბერძნებმა აღმოაჩინეს, რომ შალით გახეხილი ქარვა ისევე იზიდავს თივის ღერებს, როგორც მაგნიტი — რკინას. ამით დაიწყო ელექტრომაგნეტიზმის შესწავლა.

ქარვისაგან ისეთსავე თვალწარმტაც სამკაულებს ამზადებენ, როგორსაც ძვირფასი ქვებისაგან, მაგრამ... ქვაა ვითომ ქარვა?.. რომაელი პოეტი ოვიდიუსი ამტკიცებდა, ქარვა მზის ღმერთ ჰელიოსის ქალიშვილების ცრემლმა წარმოშვაო: ჰელიოსმა თავისი ქალიშვილები თურმე ალვის ხეებად გადააქცია და დაუწესა, რომ განუწყვეტლივ დაიტირონ დაღუპული ძმა — ფაეტონი...

მ. ლომონოსოვმა თავის ნაშრომში „დედამიწის ფენების შესახებ“ გამოთქვა აზრი, რომ ქარვა არის ნამარხი პროდუქტი, იგი წიწვოვან მცენარეთა გაქვავებული ზინთია.

ფიჭვის ზინთი ფრიად მდიდარი ქიმიური ნედლეულია. მისგან მზადდება ფისის სპირტები, მუავები, ეთერები, აგრეთვე ტერპენტინი, რომელიც იხმარება სკიპიდარის, კანიფოლის, ლაქების, საღებავების დასამზადებლად. ქარვა ხელს უშლის სისხლის წითელი ბურთულების დაშლას, ამიტომ მისგან აკეთებენ სისხლის გადასხმისას აუცილებელ სამედიცინო ჭურჭელსა და ხელსაწყოებს ქარვის მუავისაგან, რომელიც კარგი ბიოსტიმულატორია, მზადდება სამკურნალო პრეპარატები. ხოლო თუ დათესვამდე ქარვით დავამუშავებთ სოიის, შვრიის, ქერის თესლს, მოსავალი მაღალი იქნება, მარცვალი კი — მსხვილი და ცილებით მდიდარი.

კორპის ხე. ეს ხე მარადმწვანეა. მისი სიმაღლე 70 მეტრს, ტანის სისქე კი — ერთ მეტრს აღწევს. ნაყოფი — რკოა. 3-4 წლის ხეს ტანზე სქელი კორპის ფენა წარმოექმნება. ცოცხლობს 400 წლამდე. ხარობს ესპანეთში, იტალიაში, საფრანგეთში, მაროკოში, ალჟირში, ჩვენში — ბათუმსა და მის ახლომახლო ადგილებში. ამ ხის ქერქისაგან მაღალხარისხოვანი კორპი მზადდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინ დათვლის!..

რამდენი მწერი ბინადრობს ჩვენს პლანეტაზე? ამ კითხვაზე ზუსტი პასუხის გაცემა, ცხადია, ძალზე ძნელია, თუნდაც იმიტომ, რომ მწერების დიდი ნაწილი პაწაწკინტელა არსებებია და ელექტროგამომთვლელი მანქანაც რომ დაიხმარო, ყველას ვერ აღრიცხავ. და მაინც შეიძლება მწერთა რაოდენობის განსაზღვრა — ოღონდ არა აბსოლუტური, არამედ შეფარდებითი რაოდენობისა. თურმე დედამიწის ზედაპირის თითოეულ კვადრატულ კილომეტრზე საშუალოდ 21 მილიარდ 760 მილიონი მწერი ბინადრობს, ჰაერში — 25 მილიონი, ნიადაგში 2 მილიონ 225 ათასი. მივუმატოთ ეს რიცხვები ერთმანეთს. ბევრია, ხომ? მიღებული ჯამი რომ გავამრავლოთ იმდენ კვადრატულ კილომეტრზე, რამდენსაც უდრის მთელი ხმელეთის ზედაპირი? მერე წყლის მწერების რაოდენობაც რომ განვსაზღვროთ და ისიც მივუმატოთ? მივიღებთ ასტრონომიულ რიცხვს!..

თაგვები იხსნიან თვითმფრინავებს

საჰაერო ტერორიზმი ერთ-ერთი მწვავე და მტკივნეული პრობლემაა საზღვარგარეთის ავიატრასებზე. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მებაჟეები ტყუილად როდი მიმართავენ ნაირ-ნაირ ხრიკებს, რათა მანამდე განაიარაღონ ბოროტგანმზრახველები, სანამ ისინი თვითმფრინავში შეაღწევენ. ამისათვის იყენებენ რენტგენულ დანადგარებს, გაზანალიზატორებს, სპეციალურად გაწვრთნილ მეძებარ ძაღლებს. მაგრამ აი, რა საინტერესო დასკვნამდე მივიდნენ ამერიკის აეროპორტების უშიშროების სამსახურის სპეციალისტები. თურმე ფეთქებად ნივთიერებათა საუკეთესო „დეტექტორები" არიან არა ხელსაწყოები ან მეძებრები, არამედ... პაწაწინა თეთრფეხება თაგვები. საკმარისია ამ ცხოველებმა ასაფეთქებელი ნივთიერების სულ უმნიშვნელო სუნი იგრძნონ, რომ მაშინვე აწრიალდებიან გალიაში. არც ერთი სხვა ნივთიერების სუნი არ მოქმედებს თეთრფეხებიან თაგვებზე ასე გამალიზიანებლად.



აბა დაგვაცადე, ზვიგენო!

მეწამულ ზღვაში დაცურავს პატარა ზომის თევზი, რომელსაც „მოსეს ტერფს" ეძახიან. ეს ბრტყელი თევზი იმით არის ღირსშესანიშნავი, რომ მას სრულებითაც არ ეშინია ზვიგენისა, რომლებითაც სავსეა იქაური წყლები. იქნებ გგონიათ, ამ თევზს ჩხვლეტია ქიცვები ან მაგარი ჯავშანი იცავდეს! მოხვდება თუ არა მტაცებლის პირის ღრუში, იგი გამოყოფს შხამს, რომელიც მყისვე ადამბლავებს ზვიგენის ყბებს და ზვიგენი ვერაფრით ვეღარ კუმავს პირს. საოცარმა „მოსეს ტერფმა" სერიოზულად დააინტერესა ბიოლოგები. მისი შხამი, მეცნიერების აზრით, პრაქტიკულად უსაშიშროა ადამიანისათვის. ამჟამად სპეციალისტები მის ქიმიურ შემადგენლობას იკვლევენ. თუ მოხერხდა ამ შხამის ხელოვნური გზით მიღება, ადამიანები მიიღებენ ახალ ეფექტიან საშუალებას ზღვის სისხლისმსმელ ცხოველებთან საბრძოლველად.



დედამიწამ ტრიალს მოუჩქარა?

ზამთარი ყოველწლიურად უფრო და უფრო მკაცრი ხდება, გვალვები — უფრო ხანგრძლივი, მიწისძვრები — ხშირდება, ზღვის დინებები მიმართულებას იცვლიან... რა არის ყოველივე ამის მიზეზი? იქნებ ადამიანი მეტი ყურადღებით აკვირდება ბუნების მოვლენებს, ვიდრე წინათ, ოღონდ არავითარი განსაკუთრებული ცვლილებები არა ხდება ჩვენს ირგვლივ? როგორ არა! — აცხადებს შვედი კლიმატოლოგი კარლ ლუნდკვისტი. სტიქიურ უბედურებათა გახშირება შემთხვევითი როდია. და ამის ახსნა შეიძლება იმით, რომ დედამიწამ უფრო სწრაფი ბრუნვა დაიწყო თავისი ღერძის გარშემო. კლიმატოლოგმა ეს დასკვნა მას შემდეგ გააკეთა, რაც გულმოდგინედ შეისწავლა დედამიწის თანამგზავრების მიერ გადაღებული მრავალი ფოტოსურათი. ამ მოსაზრებას ადასტურებს ეკვატორზე ჩატარებული საგანგებო აწონვებიც. მაგალითად, ერთი ტონა ქვა იქ ახლა 0,4 გრამით ნაკლებს იწონის, ვიდრე წინათ. ცხადია, დედამიწის ბრუნვის შენელება ადამიანს ჯერჯერობით არ ძალუძს, ამიტომ, ლუნდკვისტის აზრით, მომავალში მოსალოდნელია ახალი დამანგრეველი და მრისხანე უბედურებები. მართალია თუ არა შვედი კლიმატოლოგი, ამას დრო გვიჩვენებს.

ელექტრონული გუშაგი

მიუხედავად ბევრი ცდისა და მოწადინებისა, მეცნიერებმა დღემდე ვერ გამოიგონეს ისეთი საშუალება, რომელიც ნათესებს და ბაღჩა-ბაღებს გადაარჩენდა კალიის უეცარი და გამაჩანაგებელი თავდასხმებისაგან. მთავარი სიძნელე ის არის, რომ ეს გაუმაძღარი მავნებლები ერთი ადგილიდან მეორეზე ღამე მიფრინავენ და იმის დადგენა, თუ რა მიმართულებით გაფრინდებიან, ძალზე ძნელია. კალიასთან ბრძოლის ახალი ეფექტიანი იარაღი შესაძლოა გახდეს სპეციალური რადიოლოკატორი, რომელიც ლონდონის საკვლევ-სამეცნიერო ცენტრში შექმნეს. იგი ისეთი მგრძნობიარეა, რომ მის ეკრანზე შეიძლება დავინახოთ სამი კილომეტრის დაშორებით ამოძრავებული ცალკეული კალია. ამ მწერების მუდმივი სამკვიდროს საზღვრებთან დადგმული ასეთი რადიოდანადგარები ადამიანებს დაეხმარება, თავის დროზე შენიშნონ კალიების სახიფათო თავმოყრა და აფრენამდე მოსპონ ისინი.

ფრთხილად ავტომობილია!

განყოფილებას ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ შსს სახელმწიფო ავტოინსპექციის სააღრიცხვო-საგამოცდო ქვეგანყოფილების სახ. ინსპექტორი კ. კანდელაკი.

„პრიორიტეტის ნიშნები»

„პრიორიტეტის ნიშნები“ უჩვენებენ გზაჯვარედინის გავლის და ქუჩის ცალკეული სამოძრაო ნაწილის გადაკვეთის თანამიმდევრობას.

„მთავარი გზა“ — 2.1

გზის დასაწყისი, რომელზედაც მძღოლს ენიჭება მოუწესრიგებელი გზაჯვარედინების გავლის უპირატესობა.

„მთავარი გზის დასასრული“ — 2.2

ამ ნიშნით აღნიშნულია გზის დასასრული.

„მეორეხარისხოვანი გზის გადაკვეთა“ — 2.3.1

მთავარი გზის და მეორეხარისხოვანი გზის გადაკვეთის ადგილი.

„მეორეხარისხოვანი გზების შეერთება“ — 2.3.2—2.3.3

მთავარ გზასთან მეორეხარისხოვანი გზის შეერთების ადგილი: მარჯვნიდან — 2.3.2, მარცხნიდან — 2.3.3.

„დაუთმეთ გზა“ — 2.4

ეს ნიშანი აღნიშნავს იმ გზის გადაკვეთის ადგილს, რომელზე მოძრავ სატრანსპორტო საშუალებებსაც მინიჭებული აქვთ მოცემული გზაჯვარედინის გავლის უპირატესობა. მძღოლი ვალდებულია გზა დაუთმოს მათ.

„გაუჩერებლად გავლა აკრძალულია“ — 2.5

აკრძალულია მოძრაობა „სდექ“ ხაზთან გაუჩერებლად, ხოლო თუ ეს ხაზი არ არის, საჭიროა გაჩერება ნიშანთან. მძღოლი ვალდებულია გზა დაუთმოს გადამკვეთ გზაზე მოძრავ სატრანსპორტო საშუალებებს.

„შემხვედრ სატრანსპორტო საშუალებათა მოძრაობის უპირატესობა“ — 2.6

აკრძალულია გასვლა გზის ვიწრო უბანზე, თუ ეს გამოიწვევს შემხვედრი მოძრაობის შეფერხებას. მძღოლები ვალდებულნი არიან გზა დაუთმონ შემხვედრ სატრანსპორტო საშუალებებს.

„მოძრაობის უპირატესობა შემხვედრი სატრანსპორტო საშუალებების მიმართ“ — 2.7

გზის ვიწრო უბანი, რომელზე მოძრაობის დროსაც მძღოლს აქვს გავლის უპირატესობა შემხვედრ სატრანსპორტო საშუალებებთან შედარებით.

საძიებელი

აფხაზავა ნ. — ლამაზი, შინაარსიანი ზაფხული (ნარკვევი) . . . . . გარეკ. 2
იმედიძე ა. — ფერხული მზის სადიდებლად (მოთხრობა, გაგრძელება) 3
ხარაზიშვილი ნ. — მორბედები (ნარკვევი) . . 9
სოლომნიშვილი ზ. — (ლექსები) 11
ჩაჩუა მ. — (ლექსები) 11
აისი 12
ვადაჭკორია დ. — კლავდია დევდარიანი (წერილი) 14
ხერგიანი მ. — უვალ მწვერვალთა მოლაშქრენი (ნარკვევი) 15
შენი უცხოელი თანატოლები . . . 18
ჯორჯაძე ა. — ბიჭო-გოგია (მოთხრობა) . . . 13
კვიტაშვილი რ. — ციხია-გორა (წერილი) . . . 25
ახალი წიგნები 27
უცხოური იუმორი 27
ემელიანოვა ნ. — განსაცდელი (მოთხრობა) . . . 28
საინტერესო თემაზე 30
ჯადოსნური სარკე 31
ფრთხილად, ავტომობილია! . . 32
ცხრაკლიტული . . . . . გარეკ. 3

გარეკანის პირველი გვერდის მხატვრობა დიმიტრი ზარაფიშვილისა,

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია

სარედაქციო კოლეგია: ნუგზარ აფხაზავა, ზურაბ ბოცვაძე, ავთანდილ გურგენიძე, დოდო ვადაჭკორია, გაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი), გიორგი ქლიბაძე, როგერტ ღარიბაშვილი, ნოდარ შამანაძე, სიმონ შამფრიანი (პ/მგ. მდივანი), ლიანა შეწირული, ზურაბ წვერიკმაზაშვილი, ზურაბ ჭუმბურიძე.

ჩვენი მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის 93-97-05, 93-31-81, პ/მგ. მდივნის 93-97-03, 93-53-05, განყოფილებების 93-97-02, 93-97-01

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი. ლენინის ქ. № 14
«ПИОНЕРИ», на грузинском языке. Издательство ЦК КП Грузии
Типография изд-ва ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина № 14.
გადაეცა ასაწყობად 26 VI-80 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 18/VIII-80 წ. ქაღალდის ფორმატი 60×90 1/8. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,35.
შეკვ. № 1840. ტირ. 151.750. უე 07589.

ფასი 20 კაპიკი

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.
თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.

© „პიონერი“, 1980 წ.



„პრიორიტეტის ნიშნები“ იდგმება:



2.1 და 2.2 — შესაბამისად გზის ან დასახლებული პუნქტის დასაწყისში ან ბოლოში. ნიშანი 2.1 შეიძლება გამეორდეს გზაჯვარედინის წინ.

2.3.1 — 2.3.3 — დასახლებული პუნქტის გარეთ, სახიფათო უბნამდე 150-300 მეტრზე, დასახლებულ პუნქტებში კი 50-100 მეტრზე.

2.4 და 2.5. — უშუალოდ მთავარი გზის გადაკვეთის წინ.

2.6—2.7 — უშუალოდ გზის ვიწრო უბნის დასაწყისში.

ანბარული გამოცანები

წყალში გაივლის,
არ დასველდება.

●

თავშეხვეული თავდალმა
გარბის.

●

თოკი სვამს, ხბო იბერება.

●

დიდია და მრგვალი,
კბილები აქვს შავი,
სტუმარია ზაფხულის,
სახელი აქვს ზამთრის.

●

ოთხი ოთახი გავჭედე
ალისფერი
მარცვლებითა.

●

წერს და მწერალი არაა,
რქები აქვს — ცხვარი
არა,
ხეზე ადის — კაცი არაა.

კვალი ხელისგულზე

აქ გამოხატულმა შენთვის ნაცნობმა თოთხმეტივე საგანმა: კარის სახელურმა, ფანქარმა, ქოლგამ, კბილის ჯაგრისმა, გაზმა, ჩაქუჩმა, კოვზმა, ფინჯანმა, გასაღებმა, ტელეფონის ყურმილმა, ელექტრონათურამ, ბოთლმა, მაკრატელმა, სახრახნისმა ხელისგულს თავისი კვალი დაატყო.

ხელისგულებზე დარჩენილი ანაბეჭდებით მიხვდი: რომელ ხელს რომელი საგანი ეჭირა?



პასუხი № 7-ში მოთავსებულ „ცხრაკლიბულზე“

კროსვორდი

ჰორიზონტალურად: 6. მანტისა; 9. ეროზია; 10. ნოველა; 12. წავი; 13. ამპლიტუდა; 14. თასი; 17. ნავრი; 20. არმია; 22. სიენიტი; 23. ხანი; 24. ლირა; 25. არმაზი; 26. ბორილა; 27. იდეა; 29. ოსლო; 30. ანარქია; 31. ირემი; 33. ლიტვა; 37. გემი; 38. ფილოსოფია; 39. აპრა; 42. უნდილი; 45. მოტორი; 46. აკოლადა.

ვერტიკალურად: 1. ბონი; 2. ტუია; 3. საზი; 4. ნევა; 5. ტრავმა; 6. მაგმა; 7. ანოდი; 8. ალმასი; 11. ლიმონი; 15. ლოგარითმი; 16. არტილერია; 17. ნანსენი; 18. რიაზანი; 19. ატროფია; 21. ალიასკა; 28. არაქსი; 32. რომანი; 34. ვებერი; 35. სირია; 36. დიუმა; 40. აისი; 41. ეტნა; 43. ნოტა; 44. განა.

გამოცანა

კვერცხი და წიწილა.



რგოლა. მხატვარი ელისო ცაბაძე.